

რამაზ ხალვაში

**ტბელ  
აბუსერიძის  
სახისმეტყველება**



ს.ს. „ბამ(ო)მცემლობა აჭარა“  
ბათუმი – 1998

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს XIII საუკუნის მოღვაწის, ტბელ აბუსერისძის თხზულებათა სახისმეტყველების შესწავლას. „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნის“ ტექსტთან ერთად, წიგნში გაანალიზებულია ჰიმნოგრაფიული კანონი „გალობანი წმიდათა იოვანეთა“, ასევე „ქრონიკონის“ სახისმეტყველებითი ასპექტები. განხილულია ხელნაწერის (A-85) „ანდერძი“, რომელიც ძვირფას ცნობებს შეიცავს მწერლის ბიოგრაფიის შესახებ.

ნაშრომს ერთვის აბუსერისძის მხატვრული თხზულებები: „სასწაულნის“ ახალი რედაქცია, რუსულ თარგმანთან ერთად და „გალობათა“ ტექსტი ორი ძირითადი ხელნაწერის მიხედვით.

**რედაქტორი: პროფ. რეზაზ სირაძე**

## შესავალი

XIII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ქართველი მწერლის, ტბელ აბუსერისძის შემოქმედება ჯერჯერობით საძიო თხზულებით არის ცნობილი, რომლებიც შეტანილია მის მიერ 1233 წელს შედგენილ A-85 ხელნაწერში<sup>1</sup>. ესენია: 1. პასქალურ-კალენდარული ნაშრომი „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებლითა განგებითა“; 2. პიმნოგრაფიული კანონი „გალობანი წმიდათა იოვანეთა: ნათლისმცემელისა, მახარებელისა და ოქროპირისა“; 3. აგიოგრაფიული ნაწარმოები „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“. ამას გარდა, ხელნაწერში დაცულია აბუსერისძის მრავალი რედაქტორული შენიშვნა და კომენტარი. მნიშვნელოვანია ხელნაწერის „ანდერძი“, რომელიც შეიცავს ბიოგრაფიულ ცნობებს მწერლის შესახებ.

ტბელ აბუსერისძის მიერ შედგენილი ხელნაწერი კრებული და „ანდერძი“ გვიდასტურებს, რომ ავტორი სასულიერო მოღვაწე იყო, ეკუთვნოდა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს დიდგვაროვან ფეოდალთა ოჯახს.

ქართულ ისტორიულ წყაროებში აბუსერისძეები XI საუკუნიდან ფიგურირებენ. ყველაზე ადრეულია „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობა იოანე აბუსერის შესახებ: „ციხე არტანუჯისა კქონდა იოვანეს ერისთავსა აბუსერსა“. სწორედ მას მიიჩნევენ აბუსერისძეთა მამამთავრად. ისტორიულ არენაზე გამოსვლისთანავე, ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდში, აბუსერისძეები თავიანთი

---

<sup>1</sup> A-85 ხელნაწერი აღწერილი აქვთ: ო. ფორდნას - იხ. მისი წიგნი ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წ. II, 1997, გვ. 103-111; ო. ბრეჯაძე - იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, უფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, კლ. მეტრეველის რედაქციით, ტ. I, თბ., 1973, გვ. 282-297.

ხელნაწერის შედგენაში ტბელ აბუსერისძის შიერ გაწეული სამუშაო სრულად არის წარმოსაჩინელი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანაშრომელთა მიერ მომოსაღებულ გამოცემაში: აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკლევდა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს: ნ. გოგუაძე, მ. ჭავჭავაძე და რ. ზაგუნაძე, ბათუმი, 1998, გვ. 312-323. მეკლევართა დაკვირვებით, აბუსერისძეს A-85 ხელნაწერის დღნად გამოუყენებია 1172 წელს შედგენილი ლიტურგიკული კრებული, რომლისთვისაც შეუმატებია ახალი მასალა რედაქტორული შენიშვნების და კომენტარების ძირითადი ნაწილი 1172 წლის შესაძებ დაწერილ თხზულებებს ერთიან.

პოლიტიკური გაელენის ზენიტს აღწევენ. 1045 წელს აბუსერ აბუსერისძე მარიამ დედოფალმა ანისის გამგებლად დანიშნა. იგი, ამავე დროს, არის „ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხის-ჯუარისა და აწყვერისა ციხის პატრონი“. აბუსერ აბუსერისძე ბაგრატ IV-ს გვერდში უდგას ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგ ბრძოლაში და, სამაგიეროდ, მეფეც, დიდ ყურადღებას იჩენს მის მიმართ. ამის დასტურია ბაგრატ მეფესთან მძევლად მყოფი ივანე ბაღვაშის, ლიპარიტის ძის გაშვება და სანაცვლოდ აბუსერის გამოხსნა. სასირეთის ბრძოლაში (1047 წ.), ბაგრატ მეფისა და ლიპარიტის ჯარებს შორის შეტაკების დროს, აბუსერის ხელახალი დატყვევების შესახებ მემპტიანე გვაუწყებს: „ომსა ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი მისთანა“. საგულისხმოა, რომ 1046 წელს, ღრტილის კრებაზე, სადაც საერო საქმეებთან ერთად საეკლესიო საკითხებიც განხილულა, მონაწილეობდა ამ საგვარეულოს ორი წარმომადგენელი – გრიგოლ აბუსერისძე და სანანო ყველელი<sup>1</sup>.

აბუსერისძეთა საგვარეულო XIII საუკუნეში განაგებდა ხიხანს – მთავარ ციხესიმაგრეს აჭარის, სამცხის და შავშეთის საზღვარზე. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მტრის ხელში ჩაეარდნილი ხიხანის გამოსხნით საქართველოს მეფეები - თამარი და დავით-სოსლანი დაინტერესებულან. მათი ბრძანებით „მტერთა ზედა გაცემული“ ციხესიმაგრე მწერლის პაპებს გაუთავისუფლებიათ.

ტბელ აბუსერისძის მოღვაწეობა უშუალოდ არის დაკავშირებული ხიხანთან. მისი ხელმძღვანელობით ციხესიმაგრის ტერიტორიაზე XIII საუკუნის 30-იან წლებში წმ. გიორგის ეკლესია აუგიათ. A-85 ხელნაწერის თავდაპირველი ადგილსამყოფელიც სწორედ ხიხათა ტაძარი გამხდარა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> აბუსერისძე ტბელი, ბოლოკაიხილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულოს მატთანე, 1233 წ., ტექსტი, გამოცემა ლ. მუსხელიშვილმა, 1941, გვ. 17-20; ი. ხახარულიძე, ტბელ აბუსერისძე - XIII საუკუნის მწერალი, თბ., 1963, გვ. 5-21.

<sup>2</sup> ხელნაწერი 1233 წლიდან XV საუკუნის დამდეგამდე ინახებოდა ხიხანში. XV საუკუნიდან ვიდრე XVI საუკუნის 40-იან წლებამდე – საფარის მონასტრის წმ. საბას ლავრაში, სადაც ამჟერკო იშხელის დაკვეთით სვიმონ კარგარეთის ხელნაწერისთვის დაუმატებია ახალი ნაწილი (ქალაქის უფრც. 386-488). XVI საუკუნის 40-იანი წლებიდან XVII საუკუნის მიწურულამდე ხელნაწერი ინახებოდა გელათში. 1699 წლიდან XVIII საუკუნის შუა წლებამდე – მოსკოვში. XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან – მცხეთაში, საიდანაც XIX საუკუნის 90-იან წლებში მოხვდა საეკლესიო მუზეუმში A-85 ჩომრით. ამჟამად ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში - იხ. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 324-333.

ტბელ აბუსერისძის ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერულ შესწავლას აკად. მარი ბროსემ ჩაუყარა საფუძველი. მას შემდეგ ამ საკითხს მრავალი გამოკვლევა მიუძღვნეს: ა. ხახანაშვილმა, ივ. ჯაფარიშვილმა, კ. კეკელიძემ, ლ. მუსხელიშვილმა, მ. ჩიქოვანმა, ი. სიხარულიძემ, დ. ცხაკაიამ, ხ. ახელედიანმა, ლ. შენაბდემ, პრ. რატიანმა, რ. თვარაძემ, რ. სირაძემ, ა. ხალვაშმა, ნ. კახიძემ, მ. ბარამიძემ, ო. სურმანიძემ, ნ. სულავამ და სხვ. გამოიცა აბუსერისძის თხზულებათა სრული კრებული. ჩატარებული კვლევა-ძიების საფუძველზე ტბელ აბუსერისძე წარმოჩნდა, როგორც დიდი მეცნიერი, ლიტერატორი და მწერალი.

აბუსერისძის შემოქმედების მხატვრული ასპექტების შესწავლას არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია გააჩნია. უკანასკნელ დრომდე გამოუქვეყნებელი იყო მისი პიმნოგრაფიული კანონი. აგიოგრაფიული თხზულება კი, უმთავრესად, განიხილებოდა როგორც ისტორიული წყარო.

წინამდებარე წიგნი მიზნად ისახავს ტბელ აბუსერისძის შემოქმედების მხატვრული სამყაროს შესწავლას. აგიოგრაფიულ ტექსტთან ერთად გაანალიზებულია პიმნოგრაფიული კანონი, ასევე, „ქრონიკონის“ სახისმეტყველებითი ასპექტები. გამოკვლევას თან ერთვის „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნის“ ტექსტის ახალი რედაქცია რუსულ თარგმანთან ერთად და საგალობლის ტექსტი ორი ძირითადი ხელნაწერის მიხედვით.

„სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ დღემდე განხორციელებულ გამოცემებში ქვეყნდებოდა A-85 ხელნაწერის „ანდერძთან“ ერთად, რაც ართულებდა აგიოგრაფიული თხზულების მხატვრული და კომპოზიციური მთლიანობის აღქმას. „სასწაულნი“ პირველად ჩვენს გამოცემაში ქვეყნდება დამოუკიდებელი სახით. ამგვარი რედაქციული ცვლილების შეტანისას ვეწყარებით ტექსტოლოგიურ ანალიზს და თავად აბუსერისძისეულ შენიშვნას.

## მრი და ეკლესია

ტბელ აბუსერისძის შემოქმედების ხასიათი მრავალმხრივ განსაზღვრა XIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს უმძიმესმა მდგომარეობამ. 1220-21 წლებში ქვეყანას მონღოლთა ლაშქარი შემოესია. 1225-30 წლების განმავლობაში კი საქართველო გააპარტახეს ხვარაზმელებმა. რუსუდან დედოფალი სამეფო კართან ერთად ქუთაისში გაიხიზნა. მწვავედ დაისვა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. რუსუდანმა დახმარებისათვის რამდენჯერმე მიმართა რომის პაპს, მაგრამ უშედეგოდ. მონღოლები ხელახალი შემოსევისთვის ემზადებოდნენ. უმძიმესი ყამი ედგა ქართველ ერს და ქართულ ქრისტიანულ ეკლესიას. ასეთ ვითარებაში ტბელ აბუსერისძემ და მისმა ძმებმა, ერისთავთ-ერისთავებმა – აბუსერმა და ვარდანმა, ინტენსიური ურთიერთობა დაამყარეს გელათში მყოფ საქართველოს კათალიკოს არსენ ბულმანისძისძესთან, ასევე კარის ეპისკოპოს საბასზინგელოზთან და ისინი ერთიანი ძალისხმევით შეუდგნენ ერის სულიერი კონსოლიდაციისათვის ზრუნვას.

აბუსერისა და ვარდანის ინიციატივით, არსენ ბულმანისძისძემ და საბა სვინგელოზმა ეროვნულ-მესიანისტური შინაარსის საგალობელთა მთელი ციკლი შექმნეს, რომელიც ტბელ აბუსერისძემ თავის ლიტურგიკულ კრებულში შეიტანა. საგალობლები ეძღვნება ანტონ მარტყოფელის მიერ ქართლში ხელთუქმნელი ხატის შემოსვენებას. აქ გატარებული მესიანისტური იდეის თანახმად, ხელთუქმნელი ხატი საქართველოს ძლიერების საწინდარია:

„ერნო ქართლისანო, გიხაროდენ და  
აღაპყრენით ჴელნი და მადლობაჲ შეწირეთ  
ხატსა ამას ყოვლად უხრწნელსა ჴელთუქმნელსა,

რამეთუ ესე არს სამეუფეოღსა  
ამის სიმტკიცე, ძალი და ღიღებად.  
და ჳმობდით: მოანიჭე  
მეფესა ჩუენსა ძლევად,  
ქრისტეს ღმრთისა ხატო საშინელო<sup>1</sup>.

ანტონ მარტყოფელის სენაქსარული ცხოვრების მიხედვით, რომლის ავტორსაც წყაროდ გამოუყენებია არსენ კათალიკოსის საგალობლები, ხელთუქმნელი ხატი მაცხოვარმა მოციქულ თადეოზის ხელით გაუგზავნა ავგაროზს, რის მეოხებითაც მთავარი კეთრისგან განიკურნა. ამის შემდეგ „ხატი იგი ტილოფსი, ფიცარსა ზედა გარდართხმოლი“ ქალაქის „ბჭეთა ზედა“ დაასვენეს. ხატს მალე საფრთხე შეექმნა ავგაროზის კერპთთაყვანისმცემელი შვილი-შვილისაგან, ამიტომ ეპისკოპოსმა კეცი აათარა წინ და ამოყორა. წლების განმავლობაში კეცზე გამოისახა „ხატი და მსგავსება წმიდისა მის საუფლოღსა ხატისა“. ხელთუქმნელი ხატი კონსტანტინოპოლში გადაასვენეს. კეცზე გამოსახული ხატი კინესტორიანელთა ეკლესიაში აღმოჩნდა. იოანე ზედაზნელის მოწათყემ, ანტონ მარტყოფელმა სწორედ ეს კეცის ხატი ჩამოიტანა ქართლში<sup>2</sup>.

<sup>1</sup> აბუსერისე ტბელა. თხზულებანი, გვ. 119. დასახელებულ წიგნში გამოქვეყნდა არსენ ბულმაისიმიძის და საბა სინეგლოზის ყველა საგალობელი, რომელთა დაწერის ინიციატივა აბუსერსა და ვარდანს ეკუთვნით (გვ.104-152). გამოშვებულა მოსაზრებით, „იდეა ქართლში ხელთუქმნელი ხატის მოსვენებისა (მესიანიტური იდეა), დღესასწაულის შექმნისა და მასში ერთიანი განწყობის შეტანისა ეკუთვნის აბუსერისე ტბელს“ (გვ. 92). არსენ ბულმაისიმიძის შემოქმედებას ეხება გ. შაქაძე - იხ. მისი ნაშრომი: არსენ ბულმაისიმიძის, ლიტერატურული ძეგ-ბანი, ტ. XV. თბ., 1964, გვ. 115-140.

<sup>2</sup> ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი IV, სენაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოქვეყნდა დაურთო ვ. გაბაიაშვილმა, თბ., 1968, გვ. 393-399. საინტერესოა, რომ ქართულ ეკლესიის მხატვრობაში ხელთუქმნელი ხატის გამოსახულებები თითქმის იმავე პერიოდში დასტურდება - იხ. ქ. შაქაძე. „ხელთუქმნელი ხატის“ გამოსახულება XII-XIII საუკუნეების ქართულ ეკლესიის მხატვრობაში, ერვრ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, №3, 1991, 210-222. თვით ედესის ხატი იკონოკლასტური (ხატმბრძალიური) ერესის დროს ხატის თაყვანისმცემელია ერო-ერთ მოთავარ საბუთად გვევლინება - იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების სუსტი გადმოცემა, წიგნი III, თ. 16.

ეროვნული იდეა ამგვარად დაუკავშირდა ერთ-ერთი ასურელი მოღვაწის სახელს, რაც ქართული ლიტერატურული ტრადიციის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს. რამდენიმე საუკუნით ადრე, მსგავსი მოსაზრებით, ქართველმა ავტორებმა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ აგიოგრაფიულ ციკლში ჩართეს გადმოცემა ქრისტეს კვართის შესახებ. ასე რომ, მესიანისტური იდეა თანდათან მოიცავდა ერის სულიერი ისტორიის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას<sup>1</sup>.

წმ. ნინომ ქართული ქრისტიანული ეკლესია დააფუძნა, ხოლო ცამეტმა ასურელმა მამამ საქართველოში სამონასტრო ცხოვრებას ჩაუყარა საფუძველი. ამდენად, მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს ისეთივე მნიშვნელობა უნდა შეეძინა ასურელ მამათა ღვაწლის მესიანისტურ გააზრებაში, რაც საუფლო კვართს გააჩნდა „ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში. ნიკოლოზ გულაბერისძის შემოქმედება „ნინოს ცხოვრების“ ეროვნულ-მესიანისტური გააზრების დამაგვირგვინებელ ეტაპად იქცა. ასურელ მამათა ლიტერატურული ისტორიის ეროვნული ასპექტებით გაძლიერება კი აბუსერისძეთა დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ იმჟამინდელი შეჭირვების მიუხედავად, საქართველოს სამეფო მზადყოფნას გამოთქვამდა შეერთებოდა ჯვაროსნულ მოძრაობას და მონაწილეობა მიეღო სირიის წმინდა ადგილების განთავისუფლებაში. 1224 წელს რუსუდან დედოფალი რომის პაპს – ჰონორიუს III-ს სწერდა: „დიდად გავიხარეთ, რა შევეტყვეთ, რომ თქვენის ბრძანებით იმპერატორი სირიაში უნდა წავიდეს წმიდა ადგილების დასახსნელად. გთხოვთ გვაცნობოთ, თუ როდის უნდა გამოიაროს იმპერატორმა, რათა ჩვენც წმიდა ადგილების დასახსნელად გავგზავნოთ ჩვენი მხედართმთავარი ივანე მთელის ჯარით იმ ადგილს, საცა თქვენ იხებებთ. ეგრეთვე გაუწ-

<sup>1</sup> ქართული მესიანისტური იდეის შესახებ იხ: ქართული მწერლობა, წ. V, ა. ბაქრაძის წინასიტყვაობა, თბ., 1988; ვ. ჯელოჭი, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიო-ოლა. ჟურნ. „საქართველოს საპატრიარქო“, №1, 1997, გვ. 6-16.



ყებთ, რომ ამ ჩვენმა მხედართმთავარმა და ჩვენის სამეფოს სხვა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა და წასვლას ელიან<sup>1</sup>. ქართველ მთავართა რიგში სხვებთან ერთად უნდა მდგარიყვნენ ერისთავთ-ერისთავი აბუსერისძეებიც, რომელთა ინიციატივით დაიწყო ასურული ტრადიციის აღორძინებისთვის ზრუნვა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ერთი ეპისტოლე, რომელშიც რუსუდან დედოფლის პირველი ვაზირი, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი – არსენ ბულმაისიმისძე აბუსერს „დიდგვარიან“ და „სახელმალალ“ მთავარს უწოდებს<sup>2</sup>.

ბერძნული კულტურის „ექსპანსია“ ზოგჯერ არაკეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა ქართველთა ეროვნული სრულფასოვნების შეგნებაზე. ამას ვერ გაურბის ნიკოლოზ გულაბერისძეც. ხელთუქმნელი ხატის საგალობელთა ციკლში სრულიად სხვა შინაარსის „ღალადისი“ გაისმის. არსენ ბულმაისიმისძე ქართველებს „ახალ ისრაელს“ და „საზებურო ერს“ უწოდებს, რომელიც „არასადა უმძრქემეს ყო ქრისტემან“<sup>3</sup>. ამ მხრივ აბუსერისძეთა ლიტერატურული დასი იოანე-ზოსიმეს ტრადიციას აგრძელებს.

ეროვნულ-ქრისტიანული განწყობილება მსჭვალავს ტბელ აბუსერისძის შემოქმედებასაც. ერი და ეკლესია – ეს ორი ცნება განუყოფლად ფიგურირებს „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნის“ ტექსტში, სადაც საქართველოს ხვარაზმელთაგან განთავისუფლება და ტაძარში ჯვრის დასვენება ერთიან სიბრტყეში განიხილება: „ოდეს, მოგებისათჳს ცოდვათა ჩუენთაჲსა, სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოჲსაჲ ივლტოდა ხიზნობად შიშისათჳს ხუარაზმელთაჲსა... ესე ჯუარი ქვისაჲ, რომელი ესუენა სახელსა ზედა წმიდისა მოწამისასა... არა დამორჩილებულ იყო ტაძარსა შინა საკვრველებით აღშენებულსა დასუენებასა, ხოლო ჩუენებით ხილვითა ნეტარისა

<sup>1</sup> შ. თამარიშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1993, გვ. 475.

<sup>2</sup> რ. ზაღვაში, არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი, ბათუმის სახ. უნივერსიტეტის „საისტორიო მაცნე“, ბათუმი, 1996, №4, გვ. 38-41.

<sup>3</sup> კ. ყეპელიძე, ეტიუდები ქველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 196-198.

იოსებისითა და ხარებითა სამცხესა ზედა მშუდობისაჲთა, რომელი საქმითცა აღესრულა, მასლა ჟამსა შეესუენა ნამუშავესა თვისსა“ (34)<sup>1</sup> – წერს აბუსერიძე.

იგივე აზრია გატარებული „ანდერძში“, სადაც მწერალი ხიხათა წმ. გიორგის ეკლესიაზე მოგვითხრობს. ტაძრის მშენებლობის სასწაულებს და „სრული საქართველოს“ მტრისაგან გათავისუფლებას აბუსერიძე აქაც ერთიან კონტექსტში მოიხსენიებს: „ჩემგან სამუშაოდ კადრებულისა ხიხათა ეკლესიისა... მუშაკობასა შინა მრავალნი სასწაულნი აღესრულნეს, მრავალთა კაცთა ფათერაკთაგან წსნისანი: ქვისა, დასაცემლად განმზადებულისა, მრავალთა არღარა მოსაწყეუდელად გარეუქუქევიანი; და წამოქცეულთა კლდეთაგან მშუდობით წსნანი მრავალთანი; და ზარის განსაჯდელად მაღალსა და ტიალსა ადგილსა შთასაჭრელად განმზადებულთა კაცთა და ფერწეცათუმილთა აღმოყვანებით წსნანი; და მრავალთა მუშაკობით მოქმედთა, ქვისმქნელთა და თანაშემწეთა მათთა, ხანგძლად სასნეულოდ განმზადებულთა, მეყსეულნი კურნებანი; და კაცის მჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოჲსათა წინაშე მისსა ლიტანიობითა“<sup>2</sup>.

მოვლენათა ამგვარი, ერთი შეხედვით უჩვეულო, თანწყობა ადგილი ასახსნელია, რადგან აბუსერიძე ერის გადარჩენის უმთავრეს ადგილად ქრისტიანული ეკლესიის წიაღს სახავს. მისი შემოქმედების საგანმანათლებლო შინაარსსაც უმთავრესად ეროვნულ-ქრისტიანული იდეა განსაზღვრავს.

<sup>1</sup> ეს ნომერი მიუთითებს „სასწაულნის“ ჩვენეული გამოცემის თავს. შემდგომშიც ტექსტის ადგილებს მიუთითებთ ამავე პრინციპით.

<sup>2</sup> ტბელ აბუსერიძის „ანდერძი“ „სასწაულნის“ ექვლა გამოცემას ახლავს. ტექსტს ჩვენ გამოწამებთ უკანასკნელი გამოცემის მიხედვით: აბუსერიძე ტბელი. თხზულებანი, გვ. 67-70.

ტბელ აბუსერისძის ლიტურგიკულ კრებულში დიდი ადგილი უჭირავს საეკლესიო-პასქალურ თხზულებას „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებლითა განგებითა“<sup>1</sup>. იგი შედგება 11 თავისგან: 1. „სრული ქრონიკონი“; 2. „ზედნადებთათს“; 3. უწყებად დიდისა მცხრალისად, თუ რადთა დაიყენების დიდი იგი პასექი და ცხოველს-მყოფელი აღდგომაჲ“; 4. „დიდისა მცხრალისათს“; 5. „მარხვათა დაყენებისათს“; 6. „უწყებად დღისსაძიებელთათს, თუ რადსა მიზეზისაგან შეიქმნებიან“; 7. „უგანცხადებულესადრე ჯერ-არს გამოთქუმად დღისსაძიებელთათსვე, რომელთათს პირველსა საუწყებელსა შინა აღვწერე“; 8. „მიზეზისათს, თუ რად მოიწმარებიან ზედნადებნი“; 9. „უწყებად დასაბამითგანთა წელთაღვანცა მასწავებელი, უკუეთუ შეგცილდენ ესე ყოველნივე რიცხუნი ამის ზემოთწერილისანი“; 10. „ძიებისათს და შემოწმებისა ბერძენთა და ქართველთა სათუალავისა“; 11. „ასურული კვკლოსი მისითა განგებითა“. გადამწერის შეცდომის გამო, ხელნაწერში გამოტოვებულია ერთი თავი — „ჟამთა თვსთა ქრონიკონი“<sup>2</sup>.

თხზულება პასქალური ცხრილების (532 წლიანი დიდი ინდიქტიონის ანუ „სრული ქრონიკონის“ და „ასურული კვკლოსის“) განმარტებისათვის არის დაწერილი და წარმოადგენს სასწავლო-პედაგოგიურ ნაშრომს. ავტორი უფრო ფართო მიზანს ისახავს — ერთმანეთს უფარდებს ბერძნულ და ქართულ წელთაღრიცხვას და პასქალურ სისტემას. არკვევს, თუ „რადლა ერთითა კალიბითა იარების მარხვად ბერძენთად და ჩუენი“, მაშინ როცა ქართული წელთაღრიცხვა 96 წლით უსწრებს ბერძნულს. ამ თემაზე განსჯას აბუსერისძე დიდ

<sup>1</sup> „ქრონიკონი“ პირველად გამოხცა მ. ბროსემ — იხ. M. Brosset, Traite de comput Ecclesiastique, Etudes: de Cronologie technique, Memoires de l'Academie Imperiale des sciences de St.-Peterbourg, VII<sup>e</sup> serie, T XI, № 13. St. -Peterbourg, 1868, გვ. 21-56. აკადემიურად დადგენილი ტექსტი იხ. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 12-57.

<sup>2</sup> აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 211-215.

პატივად მიიჩნევს, რაც ნათლად მეტყველებს მის დიდ მეცნიერულ ინტერესზე – „არაჲ საკურველ არს მათგან დატევებულიისა ნეშტისა ჩემგან ჴელ-ყოფაჲ საკადრებელად, ვინაჲთგან ძაღლთაცა მიეცა ნამუსრევთაგან ტაბლისა (შდრ. მათე 15.27, მრ. 7.28) და მზეცა სწორებით ჰნათობს მაღალთა ადგილთა და მდაბალთა მოფენითა ღღისადთა“<sup>1</sup>, – წერს იგი.

„ქრონიკონის“ ტექსტის ძირითადი ნაწილი მათემატიკურ გამოთვლებს ეთმობა. ამასთან დაკავშირებით, ავტორი იყენებს მრავალ მათემატიკურ ტერმინს („გამოთუალვა“, „განტევება“, „გაყოფა“, „დაკლება“, „დამატება“ და სხვა). „გონიერად გულისწმის-ყოფელთათჳს“ მოცემულია პასქალურ-კალენდარული მახასიათებლების გამოყვანის სხვადასხვა წესი. რიცხვებით გატაცებისას აბუსერისძე სცილდება პასქალური გამოანგარიშების საზღვრებს და ასეულ მილიონებში („ბევრის ბევრული“) გადადის. იგი არც მზა კალენდარული მაჩვენებლებით შემოიფარგლება და ინტერესდება სინოდური თვის ზუსტი მონაცემით<sup>2</sup>.

როგორც მიუთითებენ, ესქატოლოგიური თემებისადმი ინტერესი თავს იჩენს ხოლმე მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის დროს. არაბთა აუტანელი ბატონობა ამბაფრებს იოანე საბანისძის ესქატოლოგიურ რწმენას. მსგავსი ვითარებაა ტბელ აბუსერისძის, საბა წყაროსთაველის და ჟამთააღმწერლის შემთხვევაში. მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევები მწვავე ესქატოლოგიურ განცდებს აღძრავდა ეროვნულ-ქრისტიანული იდეით გამსჭვალულ მოღვაწეთა შორის<sup>3</sup>.

ტბელ აბუსერისძე ლიტერატურული ტრადიციის კვალობაზე ქვეყნის აღსასრულის და ქრისტეს მეორედ მოსვლის დროდ 1396 წელს

<sup>1</sup> აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 48.

<sup>2</sup> ა. სხარულიძე, ტბელ აბუსერისძე XIII საუკუნის ქართველი მწერალი, გვ. 67-80; აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 272-296.

<sup>3</sup> ა. კაკაბაძე, ვტიულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957, გვ. 106-109.

მიიჩნევს (XIV მოქცევის 84 ქრონიკონი, დასაბამითგან 7000 წელი): „წელთა დასაბამითგანთა შუდ ათასთა იტყვან წმიდანი წერილნი ვიდრე აღსასრულადმდე“<sup>1</sup>. თუმცა იქვე დასძენს: „გარნა ვინ უწყის, უკუეთუ აწცა მოიწიოს ჟამსა, რომელსა არა ვჰგონებდეთ, სიტყვსა-ებრ წმიდისა სახარებისა, ვინადგან კაცად-კაცადისათჳსცა ჟამსა არასაექუელსა მოიწივის წამისყოფად სოფლით განსლვისაჲ; და არცა წმიდანი წერილნი წამებენ ამათ ოთხმეოცდროთხთა წელთა მოქცევასა“<sup>2</sup>. იგივე აზრია გატარებული „ანდერძში“: „ვითარცა სოფლისა დასასრული მოგვწოდებდეს, გინა თუ ცოცხალ ვიყუნეთ რომელნიმე სადამდინცალა, წაკითხვითა ამისითა ყოველთა დღესასწაულთა წმიდისა გიორგისთა დაგულოცევდით“. ესქატოლოგიური მოტივი დასტურდება აბუსერისძის პიმნოგრაფიულ კანონშიც:

„რომლისა სულსა წინასწარმეტყუელთა  
სულები დაემორჩილა,  
და რომელმანცა  
სამშუვნელი ყოვლისა მპყრობელისაჲ შეიწყნარე;  
და რომელი ჳორცსა  
ღმრთისსა განჰყოფდ,  
და ც ვ ა დ ა მ ა თ ი ი თ ხ ო ვ ე ჩ ე მ თ ჳ ს  
დ დ ე დ მ დ ე უ ფ ლ ი ს ა, წინამორბედო,  
ღმრთისმეტყუელო და ოქროპირო“. (VIII2)<sup>3</sup>

ესქატოლოგიურ რწმენაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მეორედ მოსვლის ზუსტ თარიღს, არამედ ქვეყნის აღსასრულის მოახლოებას „ჟამსა, რომელსა არა ვჰგონებდეთ“ (შდრ. ლკუა 12. 40), რაც ლიტურგიკული ცნობიერების დამახასიათებელი ნიშანია.

ლიტურგიკა აბუსერისძის განსაკუთრებული დაინტერესების სფეროს წარმოადგენს. მისი ინიციატივით, არსენ ბულმაისიძისძემ გან-

<sup>1</sup> აბუსერიძე ტბელი. თხზულებანი, გვ. 31.

<sup>2</sup> „ქვე. გვ. 32.

<sup>3</sup> „რამაული“ ცაყური აღნიშნავს გადლობას, მეორე - დასდებულს.

აგრძო იოანე პეტრიწის დაწყებული საქმე და თარგმნა „გალობანი ყოველთა წმიდათანი“ (თებერვალ-მაისის თვეების იამბიკური სვინაქსარი). მწერალი ლიტურგიკულ კრებულსაც „ყოველთა წმიდათა“ პიმნოგრაფიული კანონებით იწყებს და ასრულებს. წმიდათა ღვთისათა თაყვანისცემის არსზე საუბრობს იგი „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნის“ წინასიტყვაობაში. სამ წმინდანს კი ცალკე საგალობელს უძღვნის. ეს არის „გალობანი სამთა იოვანეთანი“, რომელიც წარმოადგენს სამოდვრებო-მოთხრობითი პოეზიის ნიმუშს<sup>1</sup>.

პიმნოგრაფიულ კანონში აბუსერიძე ხოტბას ასხამს „ეკლესიის სამყაროს“ უდიდეს წარმომადგენლებს: იოანე ნათლისმცემელს, იოანე მახარებელს და იოანე ოქროპირს, რომელთაც აერთიანებს „ერთ მოსეხნაეობისათუს და ერთ მადლისათუს“. სამი წმინდანის „ერთ მოსეხნაობაშივე“ მდგომარეობს მათი „ერთ მადლის“ საიდუმლოც, რაც გაცხადებულია სხეელ „იოვანეს“ ეტიმოლოგიაში – ებრაულად „ღვთის მადლი“:

„მადლთა ტაკუკნი

განზავენეს ღირსთა

მ ა დ ლ ი ს ა ღ მ რ თ ი ს ა მ ო ს ა ხ ე ლ ე თ ა სამთა“ (11)

„გალობანი წმიდათა იოვანეთა“ შესდგება 8 გალობისაგან. გამოტოვებულია მეორე გალობა – „მოიხილესა“. ავტორი „მადლისა ღმრთისა მოსახელეთა სამთა“ ერთ მთლიანობაში აქებს, მაგრამ გამოპყოფს თითოეულს ცალ-ცალკე. დასდებლებში მათი შესხმა ხდება იერარქიის პრინციპით, რომლის თავშიც ნათლისმცემელი დგას. მას მოჰყვება იოანე მახარებელი, შემდეგ – ოქროპირი. მაგალითად, მეშვიდე გალობაში სამი იოანე შედარებულია ანგელოზთა დასებთან. პირველ დასდებელში: „უპირატესთა სამმწყობრთა დასთა

<sup>1</sup> ტბელ აბუსერიძე, გალობანი წმიდათა იოვანეთა, გამოსაცემად მოამზადა და გამოქვეყნა დ. ურთო რ. ხალვაშია, ბათუმი, 1992, გვ. 10-13; აბუსერიძე ტბელა, თხზულებანი, გვ. 153-160.

შორის“, ანუ ანგელოზთა უმაღლეს იერარქიაში ნათლისმცემელი „ს ა ყ დ ა რ ი ა ღმრთისა განსასუენებელი“; მახარებელი – „ქ ე რ - ო ბ ი ნ ე ბ რ ი პირი“; ოქროპირი – „ს ე რ ა ბ ი ნ ი“. მეორე დასდებულში ისინი წარმოგვიდგებიან საშუალო იერარქიის წევრებად: „უ ფ ლ ე ბ ა დ“, „ძ ა ლ ა დ“ და „ჯ ე ლ მ წ ი ფ ე თ ა მწყობრად“. მესამე დასდებულში ავტორი მათ აღარებს დაბალი იერარქიის დასებს:

„მთავარ-მყავ ჯორცთა

ზრახვასა, ვითარცა ამიერ

სახემან მთავრობათამან,

წინამორბედო,

დამთავრანგელოზებრ

პბრძვე მბრძოლთა ჩემთა,

ღმრთისმეტყუელო, და მიჯსენ

ანგელოზებრ მათგან, ოქროსახელო“. (VII.3)

ჰიმნოგრაფიულ კანონში ამგვარი იერარქია ბოლომდე განუხრელად არის დაცული. მესამე-მეორე გალობების ბოლო დასდებელი წარმოადგენს ერთგვარ მიმართვას და თხოვნას თანამოსახელებებისადმი:

„კეთილთა დასაბამისა,

ვითარცა დასაბამმან მაღლისამან,

მოგებად გულსმოდგინე მყავ,

წინამორბედო,

და განზოგებად, ვითარცა საშუვალმან,

ღმრთისმეტყუელო, და სრულ-ყოფად მისსა

ვითარცა დასასრულმან, ოქროპირო“. (IV.3)

რიცხვი სამი („რიცხვ სამებისად“) საგალობელში შექებულ პირთა ერთიანობას თვითკმარობას ანიჭებს და „სამთა იოვანეთა“ შესხმა ამავედროულად იქცევა ქრისტიანული სამების სადიდებლად:

„რიცხვთა სამებისადთა

ღმრთიე-ცემულთა შესხმათა მიერ,

სამთა ცნობისა უფსკრულთა

ქების-ვმეტყუელებ“. (IV.1)

აბუსერისძე ნათლისმცემლის, მახარებლის და ოქროპირის ცნობილ ეპითეტებს უმატებს სხვა ტრიადებსაც, როგორცაა: ნი ა ვ ს უ ლ ნ ე ლ ი, ღ რ უ ბ ე ლ ი, ც უ ა რ ი (III,1), ს ა ს უ ფ ე ე ლ ი ღ მ რ თ ი ს ა, ს ა ს უ ფ ე ე ლ ი ც ა თ ა, ს ა მ ო თ ხ ე ღ მ რ თ ი ს ა (III,2), ს ი ტ ყ ჯ ს ა ჯ მ ა, ს ი ტ ყ უ ა, პ ი რ ი ქ რ ი ს ტ ე ს ი (III, 3), ს ი ბ რ ძ ნ ე, გ უ ლ ი ს ჯ მ ი ს ყ ო ფ ა, მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა (IV, 1), ე ლ ვ ა, ც უ ა რ ი, მ ა რ გ ა ლ ი ტ ი (IV,2), რ წ მ ე ნ ა, ი მ ე ღ ი და ს ი ყ ვ ა - რ უ ლ ი (1 კორ. 13.13):

ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი ს ა დიდად

სახის დასაბამად – წინამორბედსა,

და ს ა ს ო ე ბ ი ს ა მდიდრად

და ვრცელად უფსკრულად – ღმრთისმეტყუელსა,

ხოლო ოქროვსა

ნესტუსა ღმრთის სახისა

ს ი ყ უ ა რ უ ლ ი ს ა სეხნად ვდებ. (V.1)

საგალობელში გადმოცემულია იქამინდელი ტრიოდოლოგიური მოძღვრება, რაც საღვთისმეტყველო ცნებებთან ერთად: ს უ ლ ი, ს ა მ შ უ ნ ვ ე ლ ი, ჯ ო რ ც ი (VIII,3); ს უ ლ ი, გ ო ნ ე ბ ა, ს ი ტ ყ ვ ა (IX,1) – მოიცავს „გრძნობად ხატთა“ ტრიადებს: წ ყ ა - რ ო, მ დ ი ნ ა რ ე, ზ ღ ვ ა (V.2), მ ზ ე, შ ა რ ა ვ ა ნ - დ ე ღ ი, მ ც ხ ი ნ ვ ა რ ე ბ ა (VII.1), რითაც „გალობანი წმიდათა იოვანეთა“ იოანე პეტრიწის ცნობილ „ბოლო-სიტყვას“ ენათესავება.

„სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ ავტორს ჩაუფიქრებია, როგორც ქადაგება-მოძღვრება, ალევგორიული სახეებით და მორალური მაგალითებით მოცემული „სიტყუაჲ ჯვრის შესახებ“.



ტროპოლოგიური მნიშვნელობის გასამკვეთრებლად ავტორს თხზულებაში შეაქვს „ბესტიარის“ ელემენტები. ამის შესანიშნავი მაგალითია „კერძოკარაულის“ ეპიზოდი: „ბასილი სადაცა წაროყვანის ჯგორი იგი და სთხოის საწმარი რაჟმე სამუშაოჲ, მათ აჰკიდიან და მარტოებით მიართუს კერძოკარაულმან ნეტარსა ბასილის და არაგინ იკადრის წინაწარზიდვად, ვითარცა არს წესი ჩუეულებისად ცხენთა და კარაულთათჳს“ (27). „ბესტიარები“ (იგივე „ფიზიოლოგი“ ანუ „სახის-მეტყველი“) დიდ ზეგავლენას ახდენდა შუასაუკუნეების იკონოგრაფიაზე. ამ თვალსაზრისით თხზულებაში ყურადღებას იქცევს წმ. გიორგის სახის ახლებური გააზრება. აბუსერისძე წმ. გიორგის იკონოგრაფიულ ტიპს ამდიდრებს ახალი ატრიბუტებით, როგორცაა: „ჭარმაგი“ ცხენი, ფარისოდენა თვალებიანი გველი და სხვა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ უშუალოდ უკავშირდება ასურელ მამათა აგიოგრაფიულ ციკლს.

## „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა ბიორგინისნი“ და ასურელ მამათა აგიოგრაფიული ციკლი

ჩვენამდე მოღწეულია ასურელ მამათა ცხოვრების ამსახველი ოთხი უძველესი ტექსტი, რამდენიმე რედაქციით. ესენია იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის „ცხოვრებანი“ და აბიბოს ნეკრესელის „წამება“ ისინი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორის მიერ არის შესრულებული და არსენ კათალიკოსს X საუკუნეში გაუერთიანებია ერთ მთლიან აგიოგრაფიულ თხზულებად, როგორც ამას მიუთითებს ე. გაბიძაშვილი<sup>1</sup>.

ასურელი მამებისადმი მიძღვნილ აგიოგრაფიულ ტექსტებში გამოირჩევა ბასილ ვაჩესძის თხზულება „თხრობაჲ სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა შიოღსთაჲ“<sup>2</sup>. იგი ახალი ეტაპის დასაწყისია ქართულ აგიოლოგიაში. მანამდე სასწაულთა ციკლები „ცხოვრებათა“ ტექსტებში შედიოდა. ბასილ ვაჩესძის თხზულება კი სასწაულთა დამოუკიდებელ ციკლს წარმოადგენს.

ტბელ აბუსერისძე აგიოგრაფიაში ბასილ ვაჩესძის მიერ დაწყებულ საქმეს განაგრძობს. ამაზე მიახიშნებს „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნის“ ჟანრიც და თემატიკაც. ეს აგიოგრაფიული ძეგლი სასწაულთა ჟანრის განვითარების ახალი საფეხურია. სასწაულები უკავშირდება საერთო სიუჟეტს, რომელიც შეეხება ბიოლოკ-ბასილის მიერ შუარტყლის წმ. გიორგის ტაძრის მშენებლობას და მასში ჯვრის დასვენებას.

<sup>1</sup> ე. გაბიძაშვილი, ასურელი მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე. წ. არქეტიპების ურთიერთ-მიმართებისათვის, „მაცნე“, ვნისა და ლიტერატურის სერია, №4, 1982, გვ. 61-67.

<sup>2</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ა. აბულაძე, თბ., 1955, გვ. 197-213.

შუარტყლის ტაძარში დასვენებული ქვის ჯვარი „სახელსა ზედა არს ალავერდისა მთავარმოწამისსა“. ჯვრის ტაძარში შესვენების შესახებ ავტორი წერს: „ესევითარითავე საკურველებითა დაესუენა (ჯუარი - რ.ხ.) ნამუშაქევსა თუსსა წმიდასა“ (37). „ნამუშაქევი თუსი“ აღნიშნავს ჯვრის, წმიდა გიორგის ნამუშაქევს. ეს არის ალავერდის მთავარმოწამე, რადგან ჯვარი მისი სახელობისა იყო. ასეა გაშინაარსებული ნაწარმოებში საღვთო მადლის განფენა ერთი ტაძრიდან მეორეში. თვით ალავერდის ეკლესია დაარსებულია VI საუკუნეში ერთ-ერთი ასურელი მამის, იოსებ ალავერდელის მიერ. ტბელ აბუსერისძე თხზულებაში ავითარებს „იოვანე ზედაზნელის ცხორებაში“ მოცემულ თემას: „ამის ნეტარისა იოვანეს მოწაფეთაგანმან აღაშენა ალავერდი, რომლისგან გამოვლენ დიდნი საკურველებანი, ვიდრე დღენდელად დღედმდე“<sup>1</sup>. ამდენად, „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“, ფაქტობრივად, წარმოადგენს ალავერდის წმ. გიორგის სასწაულებს.

აბუსერისძის აგიოგრაფიულ თხზულებაში მოცემული წმ. გიორგის სახე ფრესკულია. ფრესკებზე მას თეთრ ცხენზე ამხედრებულს გამოხატავენ. აქ კი ცხენი „ჭარმაგია“: „მოვიდა წმიდაჲ ახოვანი და მისცა ჴელთა ცხენი თუსი ჴარმაგი“ „ჭარმაგი“ არის „თეთრზე შავით დაწინწკლოლი“<sup>2</sup> – განმარტავს საბა. სავარაუდოა, რომ იმ პერიოდში ალავერდის ტაძრის ერთ-ერთ ფრესკაზე წმ. გიორგის ცხენი სწორედ ასეთი სახით ყოფილიყო გამოსახული.

ამგვარი იკონოგრაფიული ტრადიციის არსებობას ადასტურებს ალავერდის ტაძრის საკურთხევლის აფსიდში, ჩრდილო სარკმლის თავთან დაფიქსირებული XI საუკუნის მხატვრობის ფრაგმენტი, სადაც ორნამენტის სპეციფიკას ქმნის ლურჯ ფონზე არსებული თეთრი წინწკლები. რაც შეეხება ალავერდის წმ. გიორგის „ჭარმაგ“

<sup>1</sup> „იოვანე ზედაზნელის ცხორება“, ასურელ მოღვაწეთა ცხიერების წიგნთა ძველი რედაქციები. გვ. 66-67.

<sup>2</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი IV, თბ., 1966, გვ. 397.

ცხენს, ეს ტრადიცია შეუნარჩუნებიათ XVI საუკუნეში შესრულებულ ფრესკაზე, რომელიც ტაძრის დასავლეთ კარიბჭეზეა გამოხატული.

„ჭარმაგი“ ცხენი მატერიალური ცის, სამყაროს სიმბოლოა. ცხენზე ამხედრება ამქვეყნიურ ყოფაზე, მატერიალურ სამყაროზე ამაღლებას გულისხმობს<sup>1</sup>. ასე რომ, ალავერდის იკონოგრაფიული ტრადიცია, რომელთანაც ტბელ აბუსერიძე უშუალო მიმართებას ამყარებს, ეხმიანება ასურელ მამათა მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურის ერთ-ერთ უძველეს თემას, როგორცაა ბუნების ოთხ სტიქიაზე, მატერიაზე ამაღლების იდეა.

„ეჰა დიდებული საკურველი!.. ერთი ჰაერსა წარმოადგინებს მსახურად და მეორე ცეცხლისა ბუნებასა დაშრეტს და წარსდევნის მწურვალებასა მისსა, სხვაჲ წყალსა და მიწისა ბუნებასა დაიმორჩილებს!“ – წერს აგიოგრაფი, როცა იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის და ისე წილკნელის სასწაულებს აღწერს (იოანე ჭიქას ჰაერში გააჩერებს, შიო ხელზე ნაკვერჩხალს დაიდებს და ზედ საკმეველს დაისხამს, ისე მდინარე ქსანს კვერთხით წილკნის ტაძრამდე მიიყვანს)<sup>2</sup>. ამგვარად აისახება სასწაულის „ბუნებათა უაღრესობა“ ასურელ მამათა აგიოგრაფიულ ციკლში.

აღსანიშნავია, რომ თვით სასწაულის „პროვინდენციალური“ ხასიათი შეიცავს ერთგვარ გამოწვევას მატერიალური წესრიგის მიმართ – სულიერების სამყაროში ბუნების კანონები არ მოქმედებენ. თავის მხრივ, მატერიალურ ყოფაზე ამაღლების თემა ასურელ მამათა

<sup>1</sup> მსგავსი სიმბოლური დატვირთვა აქვს ეფუხის ტყავს. წმ. გიორგის იკონოგრაფიაში დასტურდება დრაკონი, დაწინწკლული ქერკებიტო. მრავალპალის გელესისი (XI ს.) სამხრეთი კედლის რელიეფზე წმ. გიორგი შუბით კლავს დაწინწკლულ ეფუხს (და არა დრაკონს) ზ. გამახურდია, ეფუხისტკაოსნის სახისმეტყველება, თბ., 1991, გვ. 200-209.

„ჭარმაგი“ ცხენის სიმბოლო „ამირანდარეჯანიანშიც“ გვხვდება: „ი(ი) ვინმე ჭარმაგსა (ცხენსა) ჯდა,“ „ჭარმაგოსანი კაოს“.. „ეფუხისტკაოსანში“ „ჭარმაგოსანი“ აეთანდლილი (1355) „ჭარმაგოსანი“ ამ შემთხვევაშიც უნდა გამოხატავდეს „შევით დაწინწკლულ თუფორ ცხენზე მედომს“.

<sup>2</sup> ლ. თვარაძე, თხუთმეტსაუკუნეიანი მთლიანობა, თბ., 1985, გვ. 166-167.

მოღვაწეობის (მათი „ქვაბებში“ განმარტოების და „ხორცთა განლევის“) სიმბოლურ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ.

კომპოზიციით ტბელ აბუსერისძის „სასწაულნი წმიდისა მთავარ მოწამისა გიორგისნი“ „ნინოს ცხორებას“ უახლოვდება. „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ სასწაულთა ორი მთავარი ციკლია მოცემული, რომლებიც უკავშირდება სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობას და მასში ჯვრების დასვენებას. ასევეა ტბელ აბუსერისძის თხზულებაშიც: ტექსტის პირველი ნაწილი ეძღვნება წმ. გიორგის ტაძრის მშენებლობას, მეორე ნაწილი კი – ტაძარში ალავერდის მთავარმოწამის ჯვრის დასვენებას.

აბუსერისძე ჯვრის ციკლს ანიჭებს პრიორიტეტს, რითაც აგრძელებს „მოკლე ქართლის მოქცევის“ და აბიათარ მღვდლის „საკითხავში“ დამკვიდრებულ ტრადიციას. ამასთანავე, ემიჯნება არსენ ბერის „ნინოს ცხორებას“, სადაც ჯვრის სასწაულები შეკვეცილია და მინიმუმამდეა დაყვანილი. ტბელ აბუსერისძე, ამის საპირისპიროდ, ტექსტში აღწერილ ყველა სასწაულს ალავერდის მთავარმოწამის სახელზე არსებულ ჯვარს მიაწერს. ამგვარად, ტაძრის მშენებლობის ეპიზოდებიც კი, ამის თხზულებაში გაიაზრება, როგორც ჯვრის სასწაულები.

„სასწაულთა“ აღწერისას აბუსერისძე ასურელი მამების ცხოვრების წიგნთა გავლენას განიცდის. ეს მისი ტექსტის წარდგინებასათაურიდანვე ხდება საცნაური: „ჯერ-არს წსენებაჲ შუენიერისა და ღიდისა ახოვანისაჲ, რამეთუ ესე არიან სასწაულნი წმიდისა მთავარ მოწამისა გიორგისნი“. თითქმის ამგვარადვე იწყება „აბიბოს ნეკრესელის წამების“ მეტაფრასული რედაქცია: „ჯერ-არს წსენებაჲ წმიდისა მღვდელთ-მოძღურისაჲ და უბიწოჲსა და ახოვანისა მოწამისაჲ“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „აბიბოს ნეკრესელის წამება“, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 189.

ამ ორ ტექსტს შორის საერთოა, ასევე, წინასწარმეტყველების თემა. შუარტყლის წმ. გიორგის ტაძრის მშენებლის – ბასილის შილიშვილს, იოსებს ჩვენებაში ეხარა ხეარაზმელთა განდევნა საქართველოდან, „რომელი საქმითცა აღესრულა“. ანალოგიურია „აბიბოს ნეკრესელის წამების“ შემდეგი ეპიზოდი: „დედაკაცსაცა მას უწინასწარმეტყუელა შემდგომად მისა მოსლვად ბერძენთაჲ და დაპყრობად ქუეყანისა ამის ჩუენისაჲ, რომელიცა-იგი იქმნა მსწრათლ. მასვე დედაკაცისა ზე მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი“<sup>1</sup>.

ტრადიცია ანტონ მარტყოფელს უკავშირებს „აბიბოს ნეკრესელას წამებაში“ და „იოვანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ არსებულ ცსობას ერთ-ერთი ასურელი მამის მიერ „ზენა სოფლის“ მონასტრის დაარსების შესახებ: „ერთმან მათგანმან ზენა სოფელს აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა დედალი არარაჲ შევალს და არცა მფრინველი იკადრებს დაბუდებასა“<sup>2</sup>. პატრიარქალური განწყობილება და ფრინველის სასწაულის თემა ვითარდება აბუსერისძის თს.ზულეებაშიც - „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“. არ იცნობს არცერთ პერსონაჟქალს და მასში აღწერილი ფრინველის სასწაულიც ანალოგიურია „ზენა სოფლის“ მონასტრის სასწაულისა: „ვიდრე ჯუარი ესე წმიდისაჲ გარეთ ესუენა, მას ზედა მფრინველმან ვერ იკადრის გარდაფრენად“ (25).

მრავალი თანხვედრა არსებობს ტბელ აბუსერისძის ტექსტსა და „დავით გარეჯელის ცხოვრებას“ შორის. ასეთია მსგავსება ლუკიანეს და ბოლოკ-ბასილის სახეებს შორის – ლუკიანეს შეაძრწუნებს ვეშაპის ხილვა: „ხოლო სლვასა მის ვეშაპისასა ლოდნი მის ადგილი-სანი ირყეოდეს; და იხილა რაჲ ესე ლუკიანე, დაეცა პირსა ზედა და

<sup>1</sup> „აბიბოს ნეკრესელის წამება“. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. გვ. 194.

<sup>2</sup> „იოვანე ზედაზნელის ცხოვრება“. დასახ. გამოცემა. გვ. 67.

იღვა ვითარცა მკუდარი“<sup>1</sup>. ასევე შეაძრწუნებს ბასილს გველის საოცრების ხილვა. რაც შეეხება ლოდის თემას, აბუსერისძე მას სხვა ეპიზოდში ავითარებს გარკვეული ტრანსფორმაციით: „მეყსეულად ეცა ქვაჲ ბასილის და იქმნა ვითარცა მკუდარი მყუარ ქაჲ“ (16).

„ცხოვრების“ მიხედვით, ვეშაპი დავით გარეჯელს სთხოვს, წყალში ჩასვლამდე თვალი არ მოაშოროს მას. მაგრამ ვეშაპის განდევნის შემდეგ, ანგელოზი მოუხმობს დავით გარეჯელს „და მიხედვასა მას მისსა ვეშაპსა მას ეცა მეხი და დაიწყო იკი სრულიად“<sup>2</sup>. ტბელ აბუსერისძის ტექსტში გველის „ოტების“ ანალოგიური სურათია მოცემული: წმ. გიორგიმ „საოცარი“ ხიხათა ზურგიდან განდევნა პრასინაულის მთისაკენ და, თითქოს დავით გარეჯელის მსგავსად, თვალს არ აშორებს მას: „და იტყოდა: „ვხედვედიო წარსრულსა აღმოსავალით კერძო და გარდაეფარა თუალთაგან ჩემთა, რაქამს გარდავლო მთად იგი ჭარალისად“ (11).

ნიშანდობლივია, აგრეთვე, მსგავსება „ვეშაპის“ და „გუელის“ აღწერილობებს შორის: „საოცარი სახითა საზარელისა გუელისაჲთა, რომელსა ესხნეს თუალნი დიდისა დარაკისა ოდენნი“ (11) – „ვეშაპი დიდი და საზარელი, რამეთუ აქუნდეს თუალნი დიდნი“<sup>3</sup>.

„სულმოკლე“ ლუკიანეს უდაბნოში ზრუნვა შეიპყრობს, რადგან შიმშილის ეშინია. დავით გარეჯელი მას ღმერთზე მინდობას ურჩევს და გამოქვაბულში ყოფნისას ისინი მართლაც იხუტეშებენ თავს: „საზრდელი მოიწიან ძირთაგან რათმე მდელითა. რამეთუ იყო ქაჲი გაზაფხულისად და უხუებით პოვიან ხუტეშინის-საცემელი ჯორცთად“. ზამთარში კი უფალი მათ სამ ირემს მოუვლენს<sup>4</sup>. მსგავ-

<sup>1</sup> „დავით გარეჯელის ცხოვრება“. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. გვ. 160.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 160-161.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 158.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 154-156. „გუელი, რომელსა ესხნეს თუალნი დიდისა დარაკისა ოდენნი“ გარეჯელი აღწერილობით წააგავს ქართული მითოსიდან ცნობილ შუბნურ გველს, რომელსაც ასევე უარისოდნა თვადები აქვს - იხ. მ. ოზაური, მთოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967. გვ. 185-186.

სად ამისა, აბუსერისძის ტექსტში ბოლოკ-ბასილის ხორციელ მოთხოვნებზე წმ. გიორგი ზრუნავს: „ხოლო იყო მათ ქამთა შინა სიყმილი და სიძვრე პურისაჲ... და ხილი მოართუს წმიდამან, ოდესმე ყურძენი და ოდესმე ნაყოფი მთისაჲ, რომელსა ეწოდების ყოლი“(17). სხვა ადგილას კი, „დავით გარეჯელის ცხოვრების“ ანალოგიით, ტბელ აბუსერისძე წერს: „და მოკლებასა შინა ჯორცისასა .ირეშიცა წარმოუდგინა წმიდამან ბოლოკ-ბასილის და მის თანავე მუშაკთა“<sup>1</sup>.

აბუსერისძე, როგორც ითქვა, ბასილ ვაჩესძის ლიტერატურული ტრადიციის მიმდევარია. ამდენად, მოულოდნელი არ ჩანს ის ფაქტი, რომ მათ თხზულებებს მრავალი საერთო ნიშანი ახასიათებთ. ასეთია იუმორისტული განწყობილებები, რაზეც ცალკე შევხერხდებით. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ სახეობრივ ერთიანობაზე.

ტბელ აბუსერისძე წერს: „ამას ნეტარსა იოსებს, ვითარცა პაპასა მისსა ბასილის და მამასა მისსა იოვანეს, ჩუენებით ეზრახებოდის წმიდაჲ ესე, ვითარცა ნივთიერი და ხილულთა ჯორცთა შინა მყოფი. და ოდესმე ჳმად ესმოდის მოწამისაჲ და ოდესმე თუალითა იხილის სხუთა და სხუთა ხატითა, და ყოვლადვე არა უკვრდის, ვითარცა ჯორციელისა მეგობრისაჲ. ნეტარი იოსებ დაღაცათუ არა ცხად ჰყოფდა, გარნა მამად დაფარულთაჲ მოაგებდა მას ცხადად, სიტყუსაებრ საღმრთოჲსა პირისა“(38). წმინდანის გამოცხადების თემა მსგავსადვე ვითარდება ბასილ ვაჩესძის ტექსტში, კერძოდ, სტეფანოზ ერისმთავრის ეპიზოდში („სასწაული მერვე“): „მიაღვა ვინმე დიდებული კაცი სახითა მონაზონისაჲთა და აქუნდა ჳელთა შინა მისთა კუერთხი ოქროჲსაჲ და ჰრქუა“, „გამოუჩნდა სტეფანოზს ძილსა შინა მონაჲ ღმრთისაჲ შიო მითვე პირველ ხილულითა სახითა“, „კუალად მიერულა მას და მყის წარმოუდგა მას ნეტარი შიო არღარა ძილსა შინა, არამედ ცხადად, განაღუძა იგი და ჰრქუა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შიღრ.: აბუსერისძე ტბელი, ოხსულებანი, გვ. 336-337.

<sup>2</sup> ბასილ ვაჩესძე, „შიო მღვიმელის სასწაულნი“, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა აქელი რედაქციები, გვ. 204.



თვალშისაცემია, წმინდანის გამოჩენის სასწაულის აბუსერისძისეული გადაზრების სიახლეებიც. ასეთია „სხვთა და სხვთა ხატითა“ გამოცხადება, მეგობრობის თემა და ბიბლიური ციტატაცია (მათე 6.4).

ბასილ ვაჩესძის იმავე სასწაულის ანალოგიით ჩანს დაწერილი თხზულების შემდეგი ეპიზოდი: „იოვანეს ვალისა მისისა წილ ერთი ძელი წარულო უნებლიეთ ვინმე კაცმან, სიცოცხლესავე შინა მამისა ბასილისსა. ხოლო წმიდაჲ ესე მივიდა უდეს ჩუენებით, მწუხრსა, სახლსა შინა მის კაცისსა, რაჟამს ღამე იქმნა დღე იგი, რომელი განთენდებოდა კურიაკედ, და ჰრქუა წმიდამან: „მოიყდე სხუად უმძიმესი ძელი და აღიტურთე ზურგითა შენითა, რათა მოაწიო წინაშე ტაძრისა ჩემისა. და ამისი არა მყოფელი მოგწყვდო უეტჳელად ყოვლითურთ რადცა არს შენი“. და მოაწია უდით ზურგითა თვისითა მრავალთაგან ძნიად სატურთაფი ძელი წინაშე ამის ტაძრისა, შეწე-ვნითავე წმიდისადთა“ (22). შიოს სასწაულებში ძელის ნაცვლად აგარაკთა თემა გვხვდება. სტეფანოზ ერისმთავარი განრისხდება და აგარაკებს წაართმევს სარკინის მონასტერს. მას შიო მღვიმელი გამოეცხადება და შერისხავს: „უკუეთუ არა უკომცნე ორნი სხუანი აგარაკნი შენნი მათ ზედა, და უკუეთუ ესე არა ჰყო, საწყალობელ გყო ყოველთა მხილველთა შენთა და მოვაწიო მოულოდნელი მწუხარება შენ ზედა“<sup>1</sup>. ტბელ აბუსერისძესთან „კურიაკის“ ღამის თემაც ანალოგიურია ბასილის ტექსტისა. შიო მღვიმელი მხოლოდ კვირა დღეს „ეზრახებოდა“ ევაგრეს და მხოლოდ ამ დღეს შეეძლოთ დავრდომილთ კურნებათა მიღება<sup>2</sup>.

ფრაზეოლოგიური თანხვედრები შეინიშნება აგრეთვე ბასილ ვაჩესძის თხზულების სხვა თავებთან, რაც არ უნდა იყოს შემთხვევითი:

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 200-202.

„მაშინლა ძლით მოეგნეს გონებასა“<sup>1</sup> – შღრ „მაშინლა ძლით მოეეგე გონებასა“(31); „რომელსა ეწოდა ხრისტოდოლე, ხოლო მეორესა ქრისტეფორე“<sup>2</sup> – შღრ: „ეწოდა კაცსა ამას კუანილი. ხოლო მეორე... კაცსა ეწოდებოდა პონილი“(32) და სხვა.

ამ გვარად, „სასწაულნი წმიდისა მთავარ-მოწამისა გიორგისნი“ არა მხოლოდ თემატიკით, არამედ ნიშანთა სისტემითაც ასურელ მამათა ციკლის გაგრძელებას წარმოადგენს. ამას გარდა, აბუსერისძე იძლევა „ქართლის მოქცევის“ და „ასურელ მამათა“ აგიოგრაფიულ ციკლებში განვითარებული ტენდენციების შეჯერების ცდას.

---

<sup>1</sup> ბასილ ვაჩესძე, „შიო მღუესემლის სასწაულნი“, დასახ. გამოცემა, გვ. 206.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 207.

## ხალხურ-ქარნავალური ელემენტები აბიოგრაფიაში

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ სიცილის წინააღმდეგ მიმართული ტრაქტატი ქრისტიანობას არ შეუქმნია. სიცილს არ უარყოფს არც იოანე ოქროპირი, რომელიც ღვთისმეტყველთაგან ყველაზე ხშირად ეხება ამ საკითხს: „მე არა ამას გეტყვ, რადთა ყოლაღვე არა იცინოდი, არამედ რადთა არა იყოს სიცილი შენი განტევებულად და განცხრომით კაცთა ბასრობისათჳს უგუნურად“<sup>1</sup>. აქედან ჩანს, რომ წმინდა მამა წინააღმდეგია „კაცთა ბასრობისა“ (ე.ი. დაცინვისა). სჯულისკანონები უფრო აკონკრეტებენ ამ აზრს და მიუტევებელ ცოდვად აცხადებენ უძლურთა დაცინვას<sup>2</sup>. ამით ქრისტიანობა ემიჯნება „ჰომერულ“ სიცილს, რომლის თვალნათლივი მაგალითია „ილიადას“ ცნობილი ეპიზოდი, სადაც ღმერთები დასცინიან კოჭლ ჰეფესტოს:

„ცის ნეტარ ღმერთებს აუვარდათ სიცილ-ხარხარი,

როცა ჰეფესტო თასით ხელში დაკელანობდა“<sup>3</sup>.

სიცილს, მეტწილად, სამონასტრო წესები კრძალავდა. ეფრემ ასურის თქმით, მოურიდებელი სიცილით ბერის სულიერი გახრწნა იწყება<sup>4</sup>. ცნობილი მეუღაბნოე ანტონ დიდი ბერებს მოუწოდებდა, მაქსიმალურად შეეკავებინათ თავი ხუმრობისა და გასართობი სიტყვებისაგან<sup>5</sup>. იგივე აზრია გატარებული „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებაში“, სადაც სამონასტრო განაწესზეა საუბარი<sup>6</sup>.

არ არის გასაკვირი, რომ წმინდა წერილში უფრო ხშირია „უგუ-

<sup>1</sup> ოქმიული იოანე ოქროპირისაჲ ღიანულისთჳს, მამათა სწავლანი, X და XI ს.-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ა. აბულაძე, თბ., 1955, გვ. 133.

<sup>2</sup> დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ვ. გაბაიაშვილმა, ვ. გუნაშვილმა, მ. დოლაძემ, ვ. ნანუამ, თბ., 1975, გვ. 125.

<sup>3</sup> პომეროსი, ილიადა, I, 595,600, რომან მიმინოშვილის თარგმანი, თბ., 1979, გვ. 69.

<sup>4</sup> Христианская жизнь по добротолосию, Москва, 1991, стр. 121.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 122.

<sup>6</sup> გიორგი მთაწმინდელი, „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრება“, ძეგლები, II, გვ. 72, 75.

ნურის“ სიცილი, ვიდრე „მართლისა“<sup>1</sup>. „უგუნური“ დაცინვით პასუხობს ღვთის სიტყვის გამოცხადებას (იერ. 20.7), მკვდრებით აღდგომის უწყებებს (საქმე 17.32), დარბილებას (ფს. 1.1, იგავნი 13.1; 15.12...). წმინდა წერილის ამ ეპიზოდებში დაცინვა რწმენის უარყოფის ტოლფასია.

დაცინვა საგნის ან მოვლენის უარყოფითი შეფასებაა. „უგუნურისთვის“ საღვთო სამყაროს რეალიები არ მნიშვნელობენ. ამიტომ იგი ნეგატიურად მიიჩნევს ყველაფერს, რაც მოკლებულია მატერიალურ-ყოფით და ამქვეყნიურ-პრაგმატულ ინტერესს. ეს ქმნის რწმენისძიერის სასაცილოდ მიჩნევის საწინდარს. ამიტომ მოსალოდნელი ჩანს „უგუნურის“ რეაქცია, თუნდაც დაუნდობელი, როცა ის დასცინის „მართალს“ წამების დროს (ფს. 21.8; 34.26; გოდება 3.14).

თუკი „უგუნურისთვის“ ნეგატიურია ღვთის რწმენაზე დამყარებული ზნეობა, „მართალი“, ამის საპირისპიროდ, ბოროტებად სახაფს ამქვეყნიურ დიდებას და „მძლავრობას“: ბიბლიაში ელია დასცინის ცრულმერთებს (3 მეფ. 18.27), ასევე იქცევა ბარუქი (6). ხოლო მაკაბელი მოწამეები დასცინიან მღვწეულებს (2 მაკ. 7. 39)<sup>2</sup>.

ბიბლიის კვალობაზე, აგიოგრაფიაში გავრცელებულია წარმართობის, ეშმაკის თუ სხვა ნეგატიური ძალის „განბასრვა“. სიცილს და „ბასრობას“ დიდი ადგილი ეთმობა „აბოს წამებაში“, სადაც ბოროტ ძალასთან დაპირისპირება განიხილება ესქატოლოგიურ პლანში, როგორც დაპირისპირება ნეგატიურ საწყისთან, ეშმაკთან. აბო ტფილელს სურს თავისი წამებით „განბასროს“ ეშმაკის მანქანებანი: „თანა მაც, რადთა განუხდე ბრძოლად მტერსა მას ქრისტეანეთა და ქრისტესათჳს დათხევითა სისხლთა ჩემთადთა საცინელ და საკიცხელ ვყო იგი ყოველთა ქრისტეანეთა“<sup>3</sup> - ამბობს წმინდანი.

1 Словарь библейского богословия, под редакцией Ксавье Леон-Дюфура, Брюссель, 1974, стр. 1072.

2 იქვე.

3 *თანე ხანახანზე*, „აბოს წამება“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1, დასაბუჯლად მოაწიადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. ცოცუაქემ, ლ. ქაჯიამ, ც. ჭანკიევამ და ც. ჯღამაიამ, თბ., 1963, გვ. 68.

პოლემიკის დროს აგიოგრაფები უფრო შორს მიდიან. ამის შესა-  
ნიშნავი მაგალითია სტეფანე მტბევიანის „გობრონის წამება“, სადაც  
ავტორი სომხურ ეკლესიასთან პოლემიკის დროს ასეთ ფრაზასაც კი  
წერს: „რომელთათვის ქრისტე ცუდად მოკუდა“<sup>1</sup>.

აგიოგრაფიულ თხზულებებში არაქრისტიანები ხშირად „მხეცებ-  
თან“ და „პირუტყუებთან“ არიან შედარებულნი. ამგვარ სახეობრიო-  
ბაში უთუოდ დევს მძაფრი პოლემიკა და მათში შესაძლებელია სა-  
ტირის ელემენტებიც ვეძიოთ.

„წამების“ ჟანრის თხზულებებში თითქმის არ გვხვდება სიტუა-  
ციის კომიკურად გააზრების პრეცედენტები<sup>2</sup>. სიცილის ცნობილი  
თეორეტიკოსის ა. ბერგსონის განსაზღვრება აქ არსებითია: „გრძნო-  
ბები მომაკვდინებელია სიცილისათვის“<sup>3</sup>. მარტვილოლოგიური ლი-  
ტერატურის ღრმა რელიგიური გრძნობებით გამსჭვალვა სასაცილო-  
სთვის ადგილს არ ტოვებდა.

განსხვავებული ვითარებაა „ცხორებათა“ ტექსტებში, სადაც დას-  
ტურდება იუმორის ელემენტები – ეპიზოდები, რომელიც მკითხვე-  
ლისაგან კომიკურ შეფასებას მოითხოვს<sup>4</sup>. ამ მხრივ მთავარ მასაზ-  
რდობელ წყაროდ იქცევა ხალხური სამყარო.

ეკლესიის „გარეშე“ (საერო) სამყაროში სიცილი არავითარ ცოდ-  
ვად არ ითვლებოდა. ამიტომ არც მისი ნეგატიურობის საკითხი დამ-  
დგარა. მეტიც, საერო საზოგადოების წიაღში, კარნავალურ ცნობი-  
ერებაზე დამყარებული ხალხური კულტურა სიცილის უნივერსა-

1 სტეფანე მტბევიანი. „გობრონის წამება“, ძველები, 1, გვ. 175.

2 ვრ. კიკნაძე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისთვის, თბ., 1953, გვ. 92; ვ. აფციაური, კომიკურის ელემენტები უძველეს ქართულ პროზაში, ჟურნ. „ცისკარი“, №11, 1980, გვ. 147-155; ვ. აფციაურის წყვილში, ჩვენი ასრით, ბოლომდე არ არის გათვალისწინებული მარტვილოლოგიური ტექსტების სპეციფიკა. ზ. ჭავჭავაძემ ხელაღებით უარყო ვ. აფციაურის მისაზრებები აგიოგრაფიაში არსებული კომიკური ელემენტების შესახებ – ზ. ჭავჭავაძე, რა გვიჩინებს?, „ცისკარი“, №8, 1982, გვ. 125-130. გაუგებრობები უმოაფრესად უაქტუო დიკური მასალის სათანადო გაუთვალისწინებლობამ წარმოიშვა. არც ერთი მკვლევარი ყურადღებას არ ამახვილებს ბასილ ვანესისს და ტბელ აბუსერიხის ტექსტებზე.

3 A. Bergson, Смех, собрание сочинений, т. 5, стр. 98-99.

4 შ. ლ. ვ. აფციაური, დასახელებული ნაშრომი, გვ. 149-153; ზ. ჭავჭავაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 128-130.

ლურობას აღიარებდა<sup>1</sup>. ამგვარი ცნობიერება თვით რელიგიურ დღე-სასწაულებსაც სიცილში გადაიაზრებდა, რის დასტურიც არის პასქალური სიცილი – Risus Paschalis<sup>2</sup>.

თავის მხრივ, თვით სამონასტრო კოლექსებიც გვიჩვენებს, რომ არსებობდა გარკვეული აკრძალვების შემოღების საჭიროება და ეს აკრძალვები ირღვეოდა კიდევც, რისთვისაც სჯულისკანონებით გათვალისწინებული იყო სხვადასხვაგვარი სასჯელი. სამონასტრო კოლექსების ნებისმიერი აკრძალვის უკან იმალება პრეცედენტები, რომლებიც ბერ-მონაზონთა ცხოვრების შუქ-ჩრდილებს გვიცნაურებს. ამ გაგებით, „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვებაში“ დაცული ათონის მონასტრის შიდაგანაწესი თვალწინ გვიშლის „მეორე სამყაროს“, რომელიც მონასტრებში არსებობდა. ამდენად, სიცილის წმინდა ფსიქოლოგიური მოთხოვნილება, ყოველგვარი აკრძალვის მიუხედავად, არსებობას განაგრძობდა და რეალიზდებოდა სამონასტრო წიაღშიც. შუასაუკუნეთა მონასტრების შესახებ ამგვარ თვალსაზრისს ავითარებს იტალიელი მწერალი და მეცნიერი უმბერტო ეკო თავის რომანში „ვარდის სახელი“<sup>3</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიის ბევრი ღვთივსულიერი სტრიქონი გაჯერებულია იუმორით<sup>4</sup>. მაგალითად, ისაკის შობა 90 წლის სარას მიერ (დაბადება 17.17, 18.12-25...), რომლის სახელიც (ისაკი) ებრაულად „სიცილს“ ნიშნავს; ბალაამის სახედრის ამეტყველება (რიცხვნი 22.27-30) და სხვა.

პასქალური სიცილის გამოძახილი „წამების“ ჟანრის თხზულებებ-

1 М. Бадтин, Литературно-критические статьи, М., 1986, стр. 300.

2 Л. Карасаев, Парадокс о смехе, журн. «Вопросы философии», №5, 1989, стр. 58; პასქალურ დაღებში, ტრადიციის მიხედვით. ნებადართული იყო ეკლესიაში სიცილი. მოსლყარი საეკლესიო კათედრიდან ღაღაღ ხუმრობდა და პევებოდა ანეკდოტებს, რათა მრევლის სიცილი გამოეწვია, რაც: გააზარებოდა ერთგვარ მხიარულ აღიარებებზედ მოწყენილი დაღებების და მარხვის შემდეგ. შუასაუკუნეების მრავალი პაროდული-ტრაგედული ნაწარმოები პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდებოდა „პასქალურ სიცილს“ – მ. ბახტინი, დასახელებული წიგნი, გვ. 381.

3 Умберто Эко, «Имя розы» (Роман. Перевод с итальянского Е. Костокивич), ж. «Иностранная литература», №№8-10, 1988.

4 Словарь библейского богословия, с. 1071-1072.

შიც იგრძნობა. ამის მაგალითია იოანე საბანისძის „აბოს წამება“, ს.ა. დაც მკვეთრად არის აქცენტირებული სიცილის როლი. ეშმაკის „თითით საჩუენებელ-ყოფა“ ემსგავსება დაცინვის კარნავალურ-მოედნურ ფორმებს. ამავე კონტექსტშია მოსაზრებელი თბილისის ქრისტიანთა ამაღლებული განწყობა და „სიხარულითა და მადლობითა ქრისტესითა“ სვლა აბოს დაწვის ადგილისაკენ: „მოხუცებულნი მირბიოდეს კუერთხებითა თვისითა, მკელობელნი ვლდომით, ვითარცა ირემნი, ჭაბუკნი სრბით, ყრმანი ჳლომით ურთიერთას“. ნიშანდობლივია, რომ იოანე საბანისძე ამ ეპიზოდში პარალელს ავლებს ქრისტეს აღდგომასთან - „დედანი მსგავს იყვნენ წმიდათა მათ მენელსაცხებლეთა, რომელთა სრბით მიაქუნდა სულნელები იგი წმიდასა მას ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა საფლავსა“<sup>1</sup>. ვნების კვირასთან სიმბოლური პარალელიზმი კი „აბოს წამებაში“ იმთავითვე იგულისხმება. თვით პასქალურ სიცილში გამოიხატება სადღესასწაულო მოვლენის არსის ხალხური გაგება: აღდგა ქრისტე, „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“; სიკვდილის უკეთურება განადგურდა, შერცხვენილ იქნა; დაბადება და სიცოცხლე ზეიმობენ თავიანთ გამარჯვებას საივლაფზე და სიკვდილზე<sup>2</sup>.

„აბოს წამებაში“ სიცილის ეთიკურ ალტერნატივად სირცხვილიაა საგულვებელი. ამგვარ ფენომენოლოგიურ ერთიანობაზე მიგვანიშნებს შემდეგი ეპიზოდი: წმინდანის სიკვდილით დამსჯელნი მანამდე ხედავენ აბოს დაწვის ადგილზე გადმოვლენილ „მოტყინარე ვარსკულავს“ - „ვიდრემდე ჰკდემებოდამცა (სანამ არ შერცხვათ) მძლავრთა მათ“<sup>3</sup>. ამ ეპიზოდში, ხალხის ალტყინების და სიხარულის ფონზე, „მოტყინარე ვარსკულავი“ აღიქმება, როგორც „კარნავალური დაცინვის ნაპერწკალი“. ყოველ შემთხვევაში, ვარსკულავის სასწაულოთ გამოწვეული „მძლავრთა“ სირცხვილი ადეკვატურია იმისა, რაც სიცილის შემთხვევაში გვექნებოდა.

1 იოანე საბანისძე, „აბოს წამება“, ძეგლები, I, გვ. 74.

2 Л. Карасев, Парадокс о смехе, стр. 58.

3 იოანე საბანისძე, „აბოს წამება“, გვ. 75.

ავიოგრაფიულ ძეგლებში იუმორი მეტწილად ყოფითის და სულიერის კონტრასტს შეაქვს. ამქვეყნიური ინტერესების მატარებელი პერსონაჟები ხშირად ქმნიან ერთგვარ „ფონს“ ცენტრალური გმირის სიდიადის წარმოსაჩენად. „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ ასეთია ლუკიანეს სახე<sup>1</sup>. მისი ხორციელი მისწრაფებები და ზრუნვა ხალხურ-კარნავალურ განწყობილებებს გამოხატავს.

ამ მხრივ ფრიად საინტერესო მასალა დასტურდება „დავით გარეჯელის ცხოვრების“ კომენტარულ რედაქციაში, კერძოდ, ბუბაქთან დაკავშირებულ ეპიზოდებში, რომლებიც გამოირჩევა „გასტრონომიული“ თემის უჩვეულო ხაზგასმით. ნიშანდობლივია, რომ მეტაფორასტი წმენდს „სოფლურითა და უშუერითა სიტყვთა აღწერილ“ ადგილებს:

„იგი (ბუბაქრი) წარვიდა განმხიარულებული სახედ თვსად, რამეთუ ნადირნიცა ფრიად ენადირა“ მეტაფორასულ რედაქციაშია: „იგი (ბუბაქრი) წარვიდა აღვსებული ფრიადითა სიხარულითა მადიდებელი ღმრთისად ესევეითართა სასწაულთა საკვრველთა ხილვისათვს“<sup>2</sup>;

„ვითარცა განთენა, აჰვიდა საწეღართა ფრიად საწმარნი: ჰ უ რ ი და ღ ვ ი ნ ო მ, თ ე ვ ზ ი და ხ ი ლ ი მ რ ა ვ ა ლ ფ ე რ ი და წარვიდა მამისა დავითისსა“. მეტაფორ.: „ვითარცა განთიადი იქმნა, აღტვირთნა საწეღარნი ფრიადითა საწმრითა და ჰ უ რ ი თ ა და მ ხ ლ ი თ ა და წარვიდა წმიდისა მის ბერისა“<sup>3</sup>;

„ბერმან შეკრიბნა ყოველნი ძმანი და ჭ ა მ ე ს და ს უ ე ს და გ ა ნ ძ ღ ე ს“. – მეტაფორ.: „წმიდამან დავით შეკრიბნა ყოველნი ძმანი და გ ა ნ უ ს უ ე ნ ა მათ ბუბაქრის მიერ მოღებულთა ს ა ზ რ დ ე ლ ი თ ა“<sup>4</sup>.

ბასილ ვაჩესძის ტექსტში ირონია გადაზრდილია სატირაში. ავტორი არ იფარგლებს მხოლოდ შეფასებებით და პერსონაჟებს „საბას-

1 გ. ფარულავა, მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბ., 1982, გვ. 216.

2 „დავით გარეჯელის ცხოვრება“, ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქცია, გვ. 172.

3 იქვე, გვ. 173.

4 იქვე, გვ. 173.



რობელ-ყოფს“ მათი ქმედების დასურათებით. ამდენად, გვიაშკარა-  
ვებს მათ ნეგატიურ ხასიათს. ავტორი ფართო პლანით გვიჩვენებს  
ცნობილი ისტორიული პირის, სტეფანოზ მამფალის მანკიერ თვისე-  
ბებს – „ამპარტავენებას და მოშურნეობას“ სატირულია სტეფანოზის  
„განლიგება“ (გაშტერებით დამუნჯება) და გაცოფება წმ. შიო  
მღვიმელის გამოცხადების შემდეგ<sup>1</sup>.

„შიო მღვიმელის სასწაულებში“ ფიქსირდება კარნავალური სამ-  
ყაროს სხვა ნიშნებიც. მაგალითად ისეთი, როგორცაა, იოანე კათა-  
ლიკოსის ჩასახვა, სარკინის მონასტერთან მისი მშობლების „თანა-  
ყოფის“ შედეგად. ბასილ ვაჩესძე აღწერს სქესობრივ აქტს: „აღდგა  
კაცი ესე განცუფრებული და ზარ-ტეხილი და მივიდა მრავლითა სი-  
რცხვლითა და ცრემლითა და ჭუევილითა გულისადათა და დასხნა დე-  
დაკაცსა მას ჳელნი. ხოლო ღმერთმან დასდგა დედაკაცსა მის ზედა  
ხშირი ძილი, ვიდრემდის უკვრდაცა კაცსა მას. და თანა-ეყო რაჟ, მე-  
ყუსეულად განჰკრთა დედაკაცსა მას და იკრჩხიალა უშუერად“<sup>2</sup>.  
შემდეგ კი, ამის შესახებ ცალ-ცალკე მოაყოლებს კათალიკოსის  
მშობლებს, რომლებსაც კარგა ხანს ჰგონიათ, რომ სხვასთან  
იმრუშეს<sup>3</sup>.

საერო ძეგლებში რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა. „ამირ-  
ანდარეჯანიანის“ მეორეხარისხოვანი პერსონაჟები კარნავალური სა-  
მყაროს წარმომადგენლები არიან (უსიბი, „ორპირი კაცი ხუმარი“ და  
გზის მაჩვენებლები – „ეტიკნი“). მთავარი პერსონაჟები კი ისეთივე  
სერიოზულობას იჩენენ, როგორც ახასიათებთ აგიოგრაფიაში სასუ-  
ლიერო პირებს და წმინდანებს. ამ ორ უკიდურესობას შორის დგას  
ქაოზ ქოსისძე, რომელიც, ავტორის დახასიათებით, „მლადობელი“  
იყო.

1 ბასილ ვაჩესძე, „შიო მღვიმელის სასწაულები“, გვ. 204.

2 ი. ი. ბე. 208.

3 რ. ხალვაში, ტბელ აბუსერისის „სასწაულები წმიდისა მოაქარმისწამისა გიორგისნი“ და  
ქართული ლიტერატურული ტრადიცია, საღისურთაყო ნაშრომი (ხელნაწერი), 1998, გვ. 55-56.  
71-72.

„თამარიანში“ და „ვეფხისტყაოსანში“ სიცილი მითოლოგიურად არის გადაზრებული, როგორც სიხარულის, ნათლის და ჰარმონიის გამოხატულება. ამგვარი სემანტიკის მომცველია „თამარიანის“ „მ ზ ე მ ც ი ნ ა რ ი“ (მოცინარი თამარი) და „ვეფხისტყაოსნის“ „შ უ ქ - ნ ა თ ე ნ ი მ ზ ე“ (მოცინარი ტარიელი).

წმ. გიორგის „წამების“ მეტაფრასული რედაქციის ის ვერსია, რომელიც პეტრიწონული სკოლის წარმომადგენელს უთარგმნია ქართულად, გამოირჩევა სიცილსა და ირონიაზე აქცენტირებით. გამორიცხული არ არის, ამ მხრივ, მასში ორიგინალური შემოქმედების ნაკვალევიც ვეძიოთ. ტექსტის დასაწყისშივე წმინდანი წარმოგვიდგება „ბრწყინვალითა პირითა და ლალითა ცნობითა“<sup>1</sup>.

ამ თხზულების ფონზეა განსახილველი ტბელ აბუსერისძის „სასწაულებში“ მოცემული „რეცა მოცინარი და მლალობელი“ წმ. გიორგის სახე: „მუშაკობასა შინა ქვაჲ განებო. ხოლო წმიდამან მოწამემან ჰრქუა: „შთადეგ, ბასილი, და განზომე ეგე რაოდენი არსო“. და შთადგა მას შინა და შემოაჭირა წმიდამან იმიერ და ამიერ მით განაპებითა ქვათაჲთა. ბასილი ჴმაყო „ვადმე, რად მომკალ საწყალობელი და საბრალოჲ, წმიდაო მოწამეო!“. ხოლო წ მ ი დ ა - მ ა ნ , რ ე ც ა ს ი ც ი ლ ი ს ს ა ხ ე დ და ლ ა ღ ო ბ ი ს ა , განზინა მას განაპებსა ქვათასა და ჰრქუა: „აღმოვედ და ნუ ხარ მოწყინარე მსახურებისა ჩემისა და სრულქმენ ტაძარი ჩემიო“. მ. ჩიქოვანი მოცემულ ეპიზოდს „კაცისა და ეშმაკის“ არაკს ადარებს, რომლის მიხედვით, მოტყუებული ეშმაკი ხის განაპებში ხელს ჩადებს და ამ დროს კაცი სოლს ამოაცლის. მკვლევარი დასძენს, რომ ანალოგიური სიუჟეტი აღმოსავლურ ფოლკლორშიც გვხვდება და შესულია „ქილილა და დამანას“ კრებულში<sup>2</sup>.

ეპიზოდში ყურადღებას იქცევს წმინდანის სიცილის ამბივალენ-

1 წმინდა გიორგი ტბელ ქართულ მწერლობაში, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბაშვილმა, თბ., 1991, გვ. 181.  
2 მ. ჩიქოვანი, აბუსერისძე ტბელის თხზულების ფოლკლორული წყაროები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, №7, 1944, გვ. 755.

ტურობა – პოლემიკურობა გადაიწონება ფამილარობით. თვით „ლა-ლობის“ (ხუმრობის) ფაქტი ფამილარობის მომენტს წამოსწევს წინა პლანზე. ეს კი მიანიშნებს წმინდანის სიცილის ხალხურ-კარნავალურ ბუნებაზე.

აბუსერისძის ტექსტში მოცემულია წმინდანის სხვა ხუმრობაც: როცა წმ. გიორგი ბასილს თითქოს საჩუქრად ხილის პირთმეფას დაუბირებდა, ბავშვივით („ვითარცა ყრმამან ჩხვლმან“) დაუძახებდა ხოლმე „მცირედ ენაბრგვილ“ ქვითხუროს: - „ბაჩილო!“<sup>1</sup>. ამგვარი მიმართვის ფამილარული ხასიათი არავითარ ეჭვს არ იწვევს. საგულისხმოა, რომ იგი თან ახლავს ბასილის გასტრონომიულ მოთხოვნილებებზე აქცენტირებას. ყოველივე ამით ს ი ც ი ლ ი ა გ ი ო - ლ ო გ ი უ რ გ ა რ ე მ ო შ ი გ ა დ ა ი ნ ა ც ვ ლ ე ბ ს და წ მ - ი ნ დ ა ნ ი ე რ თ ვ ე ბ ა ხ ა ლ ხ უ რ - კ ა რ ნ ა ვ ა ლ უ რ უ ნ ი - ვ ე რ ს ა ლ ი ზ მ შ ი . ს წ ო რ ე დ ე ს შ ე ა დ გ ე ნ ს ა ბ უ ს - ე რ ი ს ძ ი ს ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ე რ თ - ე რ თ მ თ ა - ვ ა რ თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ს .

ამ მხრივ ტბელ აბუსერისძის ნაწარმოებში იმთავითვე იქცევა ყურადღებას სახელი ბოლოკ-ბასილი<sup>2</sup>, რომელიც ტექსტში ოთხჯერ ფიგურირებს. მას ავტორი თხრობის დასაწყისშივე გვიძხვებს, როცა ბასილი წმინდა გიორგის მუქარას თავის მართლებით პასუხობს: „ამან ნეტარმან ბასილი ჰრქეა, რომელსა მახლობელნი მისნი ბოლოკ-ბასილობით უწოდდეს“.

ჩვენთვის უცნობი რჩება თუ რატომ შეარქვეს ახლობლებმა ბასილს ეს მეტსახელი დიდი თავის (შდრ. „ბოლოკა“) თუ რაიმე შემთხვევის გამო. ნათელია მხოლოდ ის, რომ ავტორი მას გარკვეულ კონტექსტში მოიხმობს, როგორც ფამილარულ, ხალხურ-

<sup>1</sup> შდრ.: რ. თვარაძე, აბუსერისძე ტბელის ნოველა, ჟურნ. „კოროხი“, №5, 1983, გვ. 85; რ. ხალვაში, ტბელ აბუსერისძის „წმიდა გიორგის სასწაულთა“ სახისმეტყველებისთვის, ჟურნ. „ჯეორი ელისა“, 1998, №1, გვ. 107.

<sup>2</sup> А. Халаиом, Очерки по истории грузинской словесности, вып. I, Народный эпос и апокрифы, Москва, 1895, стр. 327; რ. თვარაძე, აბუსერისძე ტბელის ნოველა, გვ. 84.

კარნავალურ სამყაროში მყოფობის ნიშანს. წმ. გიორგი ბასილს მეტსახელით ამ სამყაროდან გამოსვლის წინ მიმართავს: „ისმინე ჩემი, ბოლოკ-ბასილი, და წარვედ უდაბნოსა კლარჯეთისსა“. ავტორი ქვეთხუროს „გამოსვლის“ სიუჟეტურ მოდელირებას ბიბლიურ-არქეტაპული „გამოსვლის“ კვალობაზე ახდენს. ამ გზაზე დადგომა, რაც მოცემულ ტექსტში კონკრეტიზებულია მარტოდ ეკლესიის აგების ფაქტით, ხალხურ-კარნავალური („მახლობელთა“) სამყაროსთვის გაუცხოებას ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ „ძმანი“ და „ყოველნი სასლელუნნი მისნი“ ბასილს ჩათვლიან „ცნობითა ვნებულად განცუბრებისა მიერ“, როცა იგი წმინდა გიორგის გამოცხადების შესახებ მიუთხრობს მათ. „ცნობითა ვნებულად“ მიჩნევა უკვე მიუთითებს ბასილის დადგომას „მახლობელთა“ საყოველთაოობის გარეთ<sup>1</sup>.

ტექსტში ბასილის მეტსახელით მოხსენიების დანარჩენი ორი შემთხვევაც „მახლობელთა“ კონტექსტს გულისხმობს: „შეილი იოვანე შეიწია, რომელი იყო უსწავლელი და ერის-კაცი, ვითარცა მამად თვისი ბოლოკ-ბასილი“; „ირემიცა წარმოუდგინა წმიდამან ბოლოკ-ბასილის და მის თანავე მუშაკთა“ - აქ უკვე საუბარია მეორე ტაძარზე, რომლის მშენებლობისას წმინდანმა ბასილს „კაცთა თანაშეწევნა“ შეუხდო. გარდა ამისა, ეპიზოდი ბასილის გასტრონომიულ მოთხოვნილებებს შეეხება, რაც მწერლის ირონიის საგანია.

თვით სახელი „ბოლოკი“ ქართულ აგიოგრაფიაში გასტრონომიულ-კარნავალური თემატიკის განვითარების თვისებრივად ახალი სათქმულია.

ავტორისეული ირონია გამოსჭვივის ორმაგი სახელდების სხვა შემთხვევებშიც: „ესე ბასილი იყო ქვეთხუროდ, რომელსა ეწოდების გალატოზი“; „მას უთქს ერთი კერძოკარაული, რომელსა ეწოდების ჯორი“; „ივანე, რომელსა ამას შინა აღწერისათვის იოანედ უწოდ“. განსაკუთრებით საინტერესოა ბოლო მაგალითი - აბუსერისძე პერსონაჟს (ივანეს) სახელს უცვლის (იოვანეს უწოდებს), რათა უფრო

<sup>1</sup> შდრ. რ. თვარაძე, აბუსერისძეს ტბელის ნოველა, გვ. 83-86.

„გაასერიოზულოს“ იგი.

„ბოლოკ-ბასილობის“ სახისმეტყველებით მნიშვნელობას უფრო საცნაურს ხდის „სასწაულთა“ ტექსტის მთლიანობაში განხილვა. თავდაპირველად ავტორი ყურადღებას ამახვილებს ბასილის ერისკაცობაზე („ერთსა ერისკაცთაგანსაცა ვისმე აღაშენებინა ეკლესიაჲ მისი“) და აღწერს მის მიერ ტაძრის მარტოდ აგების სურათებს. ქვითხუროს მხოლოდ წმიდა გიორგი ეხმარება, მშენებლობისაგან თავისუფალ ღროს კი მოძღვრავს და აიძულებს მას. ამგვარ კონტექსტში ერისკაცი ბასილი გარკვეული გზის გავლის შემდეგ აღმოჩნდა. ეს არის სულიერი სრულყოფის გზა, რომელსაც მწერალი თანმიმდევრულად გვიხატავს. ამის პარალელურად ყურადღებას ამახვილებს ბასილის წარსულზე, რომ იგი იყო ქვითხურო და ამ ხელობით ოჯახისთვის ლუკმა-პურს შოულობდა. სულიერის და ყოფითის კონტრასტი გროტესკს ქმნის. ავტორის ირონია ამქვეყნიური საზრუნავით გამსჭვალული საზოგადოების წარმომადგენლისადმი საგრძნობია. ირონია ღრმავდება, რაც უფრო კონკრეტდება ხელოსნის წარსული ცხოვრების დეტალები: ბასილს „მახლობელნი მისნი ბოლოკ-ბასილობით უწოდდის“, მათვე „ჰგონეს ცნობითა ვნებული განცუბრებისა მიერ“; ქვითხურო შვილს „იძულებით“ მიიყვანს დასახმარებლად, რაც აკრძალული ჰქონდა წმინდანის მიერ, ამიტომაც დაისჯება „ეცა ქვაჲ ბასილის და იქმნა ვითარცა მკუდარ მყუარ ჟამ“ გარდა ამისა, როცა აბუსერისძე წერს, რომ ბასილი თავის ხარებს „სახელითცა უწოდდის: ერთსა „ქურდაობით“ და მეორესა „პირქუშობით“, მის ირონიას საცნაურს ხდის „ც“ ნაწილაკი – „სახელით-ც-ა“.

ტბელ აბუსერისძის ტექსტში ამგვარი ირონია გაწონასწორებულია წმინდანის ხუმრობით და ლაღობით, რაც ხალხურ-კარნავალური სიცილის სასულიერო გარემოში დაკანონებას გულისხმობს. თხზულების სახისმეტყველების ერთიანი გააზრება წარმოაჩენს მწერლისეული იუმორის არსს – ეს უფრო სიცილის და ხუმრობის ირონიაა, ვიდრე ირონია თავისთავად. წმ. გიორგის ფამილარობა

„ქრისტიეში ჩვილებთან“ (1 კორ. 3.1-3) ქადაგების მნიშვნელობას იძენს.

ამ მხრივ, ტბელ აბუსერისძე მდიდარი ხალხური ტრადიციებით საზრდობს, რისი დასტურიცაა ტექსტში არსებული სხვა ნართაული სახელები: „პონილი“ და „კუანილი“. ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევაში ავტორი ეყრდნობა ხალხურ გადმოცემას. იგი ორ ცხმორისელ კაცს შეეხება, რომლებიც წმინდა გიორგიმ სპარსთა ტყვეობიდან გამოიხსნა: ერთი, უფრო გულმოდგინე – კუანილი ცხმორისში დასვა, მეორე – პონილი კი „ურწმუნო ქმნისათვის“ ქრისტიანთა და წარმართთა საზღვრამდე მოიყვანა მხოლოდ. სახელები რომ შერქმეულია, ამას ტექსტიც მიგვანიშნებს: „და ეწოდა კაცსა მას პონილი“ ისინი შეიძლება განვიხილოთ „ბაჩილოს“ ანალოგიურად იუმორისტულ ასპექტში, როგორც „პო(ვ)ნილისა“ და „(გამო)ყვანილის“ „ენამოჩლექითი“ ვარიანტი<sup>1</sup>.

საეკლესიო და ხალხური სამყაროს დაახლოების ანალოგიური ტენდენციები დასტურდება ტბელ აბუსერისძის დროის დასავლურ ეკლესიაში, რის მაგალითიც არის ფრანცისკ ასიზელის (1181-1226 წწ.) მოღვაწეობა. იგი, აბუსერისძისაგან განსხვავებით, პლებეური წარმოშობისა იყო (დაიბადა ვაჭრის ოჯახში). 1208 წელს დააარსა მინორიტების („უმცროსი ძმების“) ორდენი. მ. ბახტინი ასიზელის „სულიერი მხიარულებით“ გამსჭვალულ შეხედულებებს „კარნავალიზებულ კათოლიციზმს“ უწოდებს. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ მინორიტების ორდენის დამაარსებელი თავის მომხრეებს „ღვთის მასხარებად“ სახელდებს<sup>2</sup>. ს. ავერინცევის დახასიათებით, ფრანცისკ ასიზელის მისტიკა ხალხურობის ნიშნებით არის აღბეჭდილი და ქრისტიანული მრწამსის კალაპოტში დარჩენასთან ერთად, იგი აცნობიერებს კულტურის ფორმათა განახლების იმ მოთხოვნილებას, რამაც მოგვიანებით რენესანსი წარმოშვა<sup>3</sup>.

1 ზ. კანაკე, რეცენზია რ. ხალვაშის საღვთისმეტყველო ნაშრომზე (ხელნაწერი), თბ., 1998, გვ. 4.

2 М. Бахтин, Литературно-критические статьи, стр. 351.

3 С. Аверинцев, Франциск Ассизинский, «Философская энциклопедия», т. 5, Москва, 1970, стр. 400.

ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება. საქართველოში კათოლიკე მისიონერები XIII საუკუნის 20-იან წლებში იწყებენ შემოსვლას, როცა ტბელ აბუსერისძე აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა. მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ პირველი მისიონერები სწორედ ფრანცისკ ასიზელის მიერ დაარსებული მინორიტების ორდენის წევრები არიან<sup>1</sup>. არ არის გამორიცხული, აბუსერისძის თხზულების იუმორისტული განწყობილებები მინორიტების მისიონერულ მოღვაწეობას უკავშირდებოდეს. და, კერძოდ, „სულიერი მხიარულებით“ გამსჭვალულ მათ შეხედულებებს. მით უფრო, რომ ტბელ აბუსერისძისა და მინორიტების შესაძლო ურთიერთობაზე სხვა ფაქტებიც მეტყველებენ. ყოველ შემთხვევაში ამგვარი კავშირების არსებობას გვაფიქრებინებს შემდეგი ორი გარემოება: ერთის მხრივ, ამისთვის ხელსაყრელი ნიადაგი უნდა შეექმნა ქართული ეკლესიის ლიბერალურ დამოკიდებულებას კათოლიკური ეკლესიის მიმართ; ხოლო მეორე მხრივ, დასავლური ორიენტაციის გამძლავრებას რუსუდან დედოფლის დროს.

ტბელ აბუსერისძის ხალხურ-კარნავალური განწყობილებები გამოძახილს პოულობენ სხალთის ტაძრის იკონოგრაფიაში, რომელიც XIV საუკუნით არის დათარიღებული. ეს ტაძარი აჭარაში ერთადერთი ქრისტიანული ძეგლია, რომელიც თურქთა ბატონობის პერიოდში დანგრევას გადაურჩა. იგი ხიხათა ციხესიმაგრისგან ოციოდე კილომეტრით არის დაშორებული. დღემდე შემორჩა სხალთის ფრესკების დიდი ნაწილი. ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანია ორი ფრესკული წარწერა, რომლებზეც პეტრე მოციქული და მის ძედ წოდებული (1 პეტრე 5.13) მარკოზ მახარებელი მოიხსენიებიან „ფამილარული“ სახელებით – „სვიმონა“ და „მარკოზა“. სახელების კინობიოალერსობითი ფორმის გარდა, ყურადღებას იქცევს მოციქულის მოხსენება არა პეტრედ, არამედ სიმონად.

<sup>1</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა საქართველოში, ტყ., 1902, გვ. 12.

# „სასწაულნი ვმიღისა მთავარმოწამისა ბიორგისნის“ სახისეპიტყველება

## 1. ვმ. ბიორგი-საქართველოს ზეტიური მფარველი

საქართველოში წმ. გიორგის თაყვანისცემა ადრეულ პერიოდში უნდა დამკვიდრებულიყო. იგი ქართველთა განმანათლებლის, წმ. ნინოს თანამედროვე და თანამემამულე იყო. ტრადიციის მიხედვით, წმ. გიორგის სახელს ატარებდა თხოთის მთაზე აგებული ერთ-ერთი უძველესი ქართული ქრისტიანული ტაძარი.

წმ. გიორგის თაყვანისცემის ახალი ეტაპი იწყება ასურელ მამათა ქართლში შემოსვლის შემდეგ, როცა იოანე ზედაზნელის მოწაფემ, იოსებ ალავერდელმა ალავერდის წმ. გიორგის ტაძარი ააგო.

ბუნებრივია, ეკლესიების დაარსება წმ. გიორგის სახელზე, მის შესახებ ლიტერატურის გავრცელებასაც გულისხმობდა. IV-VI საუკუნეებში კი ცნობილი იყო სპარსთა წინააღმდეგ მებრძოლი წმ. გიორგის აპოკრიფული „წამება“<sup>1</sup>, რომლის მიხედვით, წმ. გიორგის დევნის სპარსი მთავარი დადიანე. მასთან დაპირისპირებული წმინდანის შემწედ მიქაელ მთავარანგელოზი გვევლინება. იგი სამჯერ ეცხადება წმინდანს. ამ სასწაულთა სიმბოლური შინაარსის გაგებაში გვეხმარება წმინდა წერილი: „დანიელის წინასწარმე

<sup>1</sup> „წმიდა გიორგის წამების“ პირველი რედაქციის შემცველი უძველესი ხელნაწერია ევნური პალაიმესესტი, რომელიც მე-4 საუკუნით თარიღდება. მასში მოცემულია დადიანეს ტიპის რამდენიმე ფრაგმენტი. „წამების“ ეს რედაქცია, აკრძალვის მიუხედავად, თარგმნილი იყო ქართულ ენაზე. დღემდე მოაღწია ქართული თარგმანის ერთადერთმა ნუსხამ, რომელიც დატულია გელათის მეტაფრასულ კრებულში: „მოღუაწებაჲ და შესხმაჲ წმიდისა მოწამისა გიორგისი, რომელი იწამა პალესტინეს შინა, აღწერილი ნიკიტა პაულაჯიონიელის მიერ“ (ქუთ. 7, XIII ს., გვ. 170V-184V). როვორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, იგი მეთორმეტე საუკუნეში ქართულად უთარგმნია პეტრიწონის ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთ მიმდევარს (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 435). აღსანიშნავია ასევე, რომ XVI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლის, ტაბაკინის მოხატულობა შეიცავს ორ სცენას, რომლებიც მხოლოდ დადიანეს ტიპში გვხვდება (წ. მამანაშვილი, Роспись Табакини, Тбилиси, 1991, стр. 47).



ტყველების“ მიხედვით, მიქაელ მთავარანგელოზი ერთადერთი ზეციური შექმნა „სპარსეთის მთავართან“ ბრძოლაში (10.13). „წმიდა გიორგის წამების“ კანონიკურ რედაქციებში მიქაელ მთავარანგელოზის გამოჩენის ეპიზოდები ამოღებულია, რადგან სპარსი დაღიანე რომის იმპერატორ დეოკლეტიანეთი იცვლება.

„წამების“ უძველეს რედაქციას, თავისთავად, ხელი უნდა შეეწყოს საქართველოში წმ. გიორგის პოპულარობისთვის, რადგან ეს იყო პერიოდი საქართველოში სპარსთა ბატონობისა. აქვე მოსაგონებელია „აბიბოს ნეკრესელის წამების“ არქეტაპი, რომელშიც უკვე საგრძნობია წმინდა მხედრის კულტი და მასში შეიმჩნევა კიდევ „წმ. გიორგის წამების“ ლიტერატურული გავლენა. ასეთია კერძო დალეწვის სასწაული, რომელიც „აბიბოს ნეკრესელის წამების“ რედაქტირებისას ამოუღიათ. ეს ცვლილება ალბათ იმ შეუსაბამობით უნდა აიხსნას, რომ აბიბოსის ღროს სპარსელები უკვე ცეცხლთაყვანისმცემლები იყვნენ.

წმ. გიორგის თაყვანისცემის საქართველოში დამკვიდრებას კი კეკელიძე VIII საუკუნით ათარიღებს, როცა იერუსალიმის განჩინება ითარგმნა ქართულად. მასში წმ. გიორგის ხსენება 3 ნოემბერს (ლუდიის ტაძრის სატფურების დღეს) არის დადებული<sup>1</sup>. ეს ფაქტი წმინდანის თაყვანისცემის უფრო ადრეული პერიოდით დათარიღებას არ ეწინააღმდეგება. არსებობს ამის ნივთიერი მტკიცებაც: VI-VII საუკუნეების გამოსახულებები წებელდის კანკელზე („მხედარი წმინდა გიორგი ამარცხებს დრაკონს“) და მარტვილის ტაძრის დასავლეთ ფრიზში (მხედართა წყვილი – წმ. გიორგი, წმ. თევდორე)<sup>2</sup>.

ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაცია სწორედ წმ. გიორგის სახელობის ტაძრის აგებით დაიწყო. ეს იყო ხანძთა – „საყოფელი დიდისა მოწამისა გიორგისა“, რომელიც იქცა არა უბრალოდ პირველ, არამედ მთავარ ტაძრად ტაო-კლარჯეთში. ნიშანდობლივია,

<sup>1</sup> კ. კეკელიძე. იტრულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XIV, თბ., 1986, გვ. 193-194.

<sup>2</sup> Е. Привалова, Павлиси, Тбилиси, 1977, стр. 64.

რომ გიორგი მერჩულე კლარჯეთის მეუღაბნოეებს წმ. გიორგის აღარებს<sup>1</sup>.

საქართველოში წმ. გიორგის თაყვანისცემა ძლიერდება X-XI საუკუნეებში, რასაც ფეოდალური მონარქიის აღმავლობას და სამხედრო იდეოლოგიის დამკვიდრებას უკავშირებენ<sup>2</sup>. XI საუკუნეში ლიტერატურულად ფორმდება ტრადიცია, რომლის მიხედვითაც წმ. გიორგი საქართველოს ზეციურ მფარველად გვევლინება. არსენ ბერი წმ. გიორგის შესახებ წერს: „მეოხი და მფარველი და ჭელის-აღმპყრობელი ყოველთა მორწმუნეთაჲ, და უფროდნათესავისა ჩუენისაჲ“<sup>3</sup>.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დიდგორის ომში ქართული მხედრობის გამარჯვებას წმ. გიორგის შემწეობით ხსნის: „წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძლოდა მას და მკლავითა თუსითა მოსრვიდა ზედამოწევენულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თუთ იგი უსჯულონი და უმეტარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგუთხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა“<sup>4</sup>. ანალოგიური ლეგენდა ჯვაროსანთა შესახებაც არსებობდა<sup>5</sup>.

საგულისხმოა, რომ დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული, საქართველოს მეფის პირველი ვაზირი, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ბაგრატ III-ის მიერ აგებულ ბედიასთან ერთად განაგებდა ალავერდის წმ. გიორგის საყდარსაც, რაც ადასტურებს ამ ეპარქიების დიდ მნიშვნელობას. გარდა ამისა, ქვეყნის ორი ტერიტორიულად უკიდურესი კათედრის (აფხაზეთის და კახეთ-ჰერეთის) გაერთიანება იყო გამოვლინება საქართველოს საეკლესიო კონსოლი-

<sup>1</sup> რ. ხარაძე, ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987, გვ. 154-155.

<sup>2</sup> ზ. გამსახურდია, „ეფუხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ., 1991, გვ. 172.

<sup>3</sup> არსენ ბერი, „წინოს ცხოვრება“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, დასაბუჯდალ მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ე. გაბისაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოღლაქიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ, თბ., 1971, გვ. 11.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ხ. ყაუხჩაშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 341.

<sup>5</sup> С. Аверинцев, Георгий Победоносец, Мифы народов мира, I, Москва, 1991, стр. 275.

დაციისა, რაც ინტენსიურად მიმდინარეობდა X-XII საუკუნეებში<sup>1</sup>.

წმ. გიორგის შესახებ შემონახულია მრავალი თხზულება, რომლებიც ქართველ მწიგნობრებს უთარგმნიათ X-XIII საუკუნეებში. არსებობს „წმ. გიორგის წამების“ ოთხი რედაქციის<sup>2</sup>, და სასწაულთა ორი ციკლის ქართული თარგმანები: „უწყებთაჲ საკურველებათათჳს წმიდისა და ღიდებულისა ქრისტეს მოწამისა გიორგისთა“ (ბერძნული) და „სასწაულნი წმიდისა ღიდისა მოწამისა გიორგისი“ (სირიული სასწაულები)<sup>3</sup>. ქართულად თარგმნილი იყო ასევე 10 ბერძნული საგალობელი წმ. გიორგის შესახებ<sup>4</sup>.

წმ. გიორგის ორიგინალურ საგალობელს უძღვნის იოანე მინჩხი<sup>5</sup>. „წმ. გიორგის წამების“ ლიტერატურული გავლენით არის დაწერილი „დავით და კოსტანტინეს წამების“ მეტაფორასული რედაქცია<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ე. კეკელიძე, ალავერდის საემისკოპოსო, ქუთაისი, „ქართული ენისა“, 1991, №1, გვ. 52.

<sup>2</sup> ცნობილი ბიზანტინისტი კ. კრუმბახერი გამოყოფდა „წმიდა გიორგის წამების“ ოთხ რედაქციას: დადიანის ტიპს, დიოკლეტიანეს ძველ ტიპს, დიოკლეტიანეს ახალ ტიპს და მეტაფორასული რედაქციას. პირველი ორი ეკლესიამ უარყო და ცნობილი Decretum Gelasianum-ით ასოცირაციად გამოაცხადა. მიხედავად სასწაულებრივ ეპისოდთა სიუხვე იყო (K. Krumbacher, Der heilige Georg in der griechischen Ueberlieferung, Munchen, 1911, S. 281-301). იგივე აკრძალავს მეორედება ექსკომიუნია წმ. გიორგის წამების ინტერპრეტაციის - იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 433.

<sup>3</sup> ქართულად თარგმნილი იყო „წმ. გიორგის წამების“ ოთხივე რედაქცია - წმინდა გიორგი ძველ რედაქციას ლიტერატურაში, გამოხატავდა მოამბად და გამოკვლევა დაურთო ვ. გაბაშვილი, თბ., 1991.

<sup>4</sup> სირიაში ხდება ასევე „სასწაული წმიდისა და ღიდებულისა გიორგისი აღდგინებისათჳს მნათისა მერ მარკელისა მკვდრისა“ (წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, გვ. 199-204). აღსანიშნავია, რომ სირიული „სასწაულები“ გამოირჩევა თხრობის სიღალით, ისევე როგორც ბასილ ვანესის და ტბელ აბუსერიძის ტექსტები. მაგ., „სასწაულნი წმიდისა ღიდისა მოწამისა გიორგისი“ შეიცავს ამგვარ შედარებებს: ქრისტეს თხოვნა წმ. გიორგიმ თითო ისე წააწერა ქვის სვეტზე, „ეთარცა რომელსამე თხიერსა ზედა“; სარკინოს „განსუიდა ქული მისი, ეთარცა გულა“ და სხვა. მიკაელს შედარებები ხშირია „შოის სასწაულებში“; „მეისა შინა განეცილდე ეთარცა თხიერს“ (გვ. 201).

<sup>5</sup> J. Kaurikjashvili, Вопросы византийской и грузинской гимнографии (Песнопения о Георгии великомученике), Автореферат кандидата филологических наук, Тб., 1970.

<sup>6</sup> იოანე მინჩხის პოეზია, ტექსტი გამოხატავდა მოამბად და გამოკვლევა დაურთო ვ. გაბაშვილი, თბ., 1987, გვ. 335-348.

<sup>7</sup> დავით და კოსტანტინე „წაბათა შინა გამოცდილი“ მეომრები არიან (იხ. „დავით და კოსტანტინეს წამება“, ძველები, III, გვ. 253), ისევე როგორც წმ. გიორგი. მათი „მრავალგვარის ტანჯვანი“ ანალოგიურობა კაბადოკიელი წმინდანის წამებისა; მაგ., მეკრძნე მძიმე ლოდის დაღება (იქვე, გვ. 256). სიკეთლის წინ უფლისადმი თხოვნა „რომელთა ხადონ სახელთა რეუნითა სახელთა შენსა წმიდასა, მსწრავლ ეწიენ წყალობაჲ შენი“ (იქვე, გვ. 260) მსგავსია დავითის მიერ წმ. გიორგიზე მიცემული აღოქმისა (იხ. წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, გვ. 159).

„გიორგი მთაწმინდელის ცხორებაში“ აღწერილია წმ. გიორგის ქართული სასწაულები: გიორგი მთაწმინდელის დაბადება და სახელის შერქმევა საღვთო სასწაულით ხდება და, ამდენად, გასაგებია, რომ ბავშვობიდანვე მას მთარველობს ზეციური „სეხნა“ – „ჭაბუკი შუენიერი, ამხედრებული ცხენსა ზედა სპეტაკსა“. წმინდა გიორგი – „სპეტაკითა მოსილი იგი ანგელოზი“, ეშმაკის საცდურისაგან დაიხსნის და ხანძრიდან უვნებლად გაიყვანს მცირეწლოვან გიორგის. შემდგომ კი, მდინარეს გადაალახვინებს გიორგი ათონელს მთაწმინდის გზაზე, რის შესახებაც გიორგი მცირისთვის თავად უამბია: „გულსავსებით ვცან, ვითარმედ გამოჩინებული იგი, რომელმან წყალთა შინა სიკუდილისაგან მიჯსნა, დიდებული მთავარმოწამე იყო“<sup>1</sup>. გიორგი მცირის ლიტერატურულ ტრადიციას ტბელ აბუსერისძე ავითარებს და წმ. გიორგის ქართულ სასწაულებს ცალკე თხზულებას უძღვნის.

საერო ლიტერატურის ძეგლების მთავარი პერსონაჟები „წმიდა მხედართა“ კონტექსტში მოიაზრებოდნენ. ამის დასტურია ლაშთხვეურის მთავარანგელოზის ეკლესიის იკონოგრაფია, სადაც დადასტურებულია სამი სცენა „ამირანდარეჯანიანიდან“<sup>2</sup>. „ვეფხისტყაოსანი“, ამ მხრივ, საზრდოობს, როგორც ლიტერატურული, ასევე ქართული მითოსური ტრადიციებით<sup>3</sup>.

ტბელ აბუსერისძის ტექსტში წმ. გიორგის სასწაულები ქართულ გარემოშია გადმოტანილი. ავტორს ერთ-ერთ მთავარ წყაროდ გამოუყენებია ბერძნულ და სირიულ ლიტერატურაში არსებული წმ. გიორგის სასწაულთა ციკლები. ამგვარი ინტერტექსტის გათვალისწინებით მას თხზულებისთვის შესაფერისი სათაურიც გამოუძებნია

<sup>1</sup> გიორგი მცირე. „გიორგი მთაწმინდელის ცხორება“. ძველი ქართული აგონოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, გვ. 114-115.

<sup>2</sup> ლ. შერვაშიძე, კედლის მხატვრობა „ამირანდარეჯანიანის“ სიუჟეტით სქანეთში, ჟურნ. „სახელთა ხელოვნება“, №1, 1957, გვ. 60-61; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, გვ. 82.

<sup>3</sup> Н. Сургуладзе, Св. Георгий в грузинских народных верованиях, Тб., 1983; ზ. ნასახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, გვ. 162-217; რ. ხარაძე, წმინდა გიორგის „ქართული“ სასწაულები, ჟურნ. „სიოლა და ცხოვრება“, 1991, №8, გვ. 37.

– „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“. ეს სათაური A-85 ხელნაწერის ზანდუკშია მოცემული<sup>1</sup>. თუმცა თვით ტექსტში აბუსერისძე თხზულებას ორჯერ სახელდება სხვა სათაურით: დასაწყისში – „ესე არიან სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“, და დასასრულს – „დავიდუმნე სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ (39). თხზულების სახისმეტყველებაში წმ. გიორგის „მთავარმოწამეობას“ განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება, რაც წინასიტყვაობაშივე ხდება საცნაური.

## 2. „სასწაულნის“ წინასიტყვაობა

„სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნის“ წინასიტყვაობაში აბუსერისძე საუბრობს წმიდათა ღვთისათა ადგილზე ლოგოსურ შესაქმეში: ღვთის სიტყვამ „არავე აკმაა შობად ქალწულისაგან უბიწოვსა და გუემსგავსა, თზნიერ ცოდვისა, და გამოიცადებოდა ეშმაკისაგან... და ივნო ჩუენთუს... და მოგუენიჭა უკუდაეებად ცხოველსმყოფელითა აღდგომითა მისითა... ამანვე წმიდანი თუსნი... განაჩინა მეოხებად ჩუენთუს“ (1). „მეოხება“ გულისხმობს შუამდგომლობასაც და შეძწეობასაც. ღვთის წინაშე წმინდანთა მეოხება უპირატესად ლოცვასა და ვედრებაში მდგომარეობს. შუამდგომლობის განსაკუთრებული ძალა და მოქმედება კი ღვთისმშობელს გააჩნია, რადგან, როგორც სერაფიმებზე და ქერუბიმებზე აღმატებული, თავის ძესთან – უფალ იესო ქრისტესთან ყველაზე ახლოს იმყოფება<sup>2</sup>.

„სასწაულნის“ წინასიტყვაობაში ზეციური იერარქია წარმოდგენილია სრულად – „ცხრანივე დასნი წმიდათა ანგელოზთა და მეთაენი კაცთანი“. წმ. კაცთა „დასს“ აბუსერისძე ორ სამყაროდ ჰყოფს. ესენი არიან – ძველ აღთქმაში („პირველსა სჯულსა შინა“): მამათმთავარნი

<sup>1</sup> აბუსერისძე ტბელი, ოხსულებანი, გვ. 334.

<sup>2</sup> გ. კოლატაძე, გ. რუხაძე, „საგიორგრაიის ღვთისმეტყველება“, თბ., 1997, გვ. 52.

და წინასწარმეტყველნი; ხოლო ახალ აღთქმაში („ახალსა შინა“): მოციქულები და მღვდელთმოძღვარნი, მოწამენი და წმ. დედანი და მამანი. ცალკე გამოიყოფა ღვთისმშობელი და ნათლისმცემელი (შდრ. „ღვისუსის“ იკონოგრაფიული ტრადიცია), რითაც ავტორი ქართული აგიოლოგიური მასალიდან ეხმიანება „შიო მღვიმელის ცხორებას“<sup>1</sup>.

წმინდანები ღვთის მიერ შემზადებული სულიერი სამყაროს, ეკლესიის ბრწყინვალე მნათობებად მოიაზრებიან ქრისტიანულ სწავლებაში. აბუსერისძე „ეკლესიის სამყაროზე“ საუბრობს საგალობელშიც:

„ეკლესიისა

სამყაროსა შინა

სიძემან მისმან ქრისტემან

წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ ა ღ

აღგამაღლა, ღირსო წინამორბედო, ხოლო

მ ო ც ი ქ უ ლ ა ღ დიდად

– ღმრთისმეტყუელი ბრძენი

ღ ა მ ო ძ ღ უ რ ა ღ ოქრომდინარედ

ოქროფსა წყაროფ,

ოქროანთ ჳმათა

ღმრთივ-ცემული ორღანოფ“. (VIII,3)

წინასიტყვაობის მომდევნო ნაწილში ავტორი ავითარებს ეკლესიის ერთიანობის იდეას, რისთვისაც სიტყვაგამარებაში ამკვიდრებს „ერთ ეკლესიის“ ცნებას. აბუსერისძისეული „ერთეკლესია“ მნიშვნელობით უახლოვდება არსენ ბერის „ერთსარწმუნოებას“ (შდრ. ეფეს. 4.6) და შეიცავს ქრისტეს მისტიურ სხეულზე (ეკლესიაზე) მინიშნებას (შდრ. 1 კორ. 12.12-30).

<sup>1</sup> შიო მღვიმელს ღვთისმშობელი და ნათლისმცემელი ეცხადებიან ანგელოზთა „მწეობრთან“ ერთად („შიოს ცხობება“, გვ. 94-95). ამ ფაქტს ეძღვნება შიო მღვიმელის ორი „ოხითაფ“ – იხ. ზ. ინგოროფა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. იუზ-იუჯ.

სიწმინდის უოელისმომცემელი იერარქია ყოველთვის იგულისხმება სხეადასხეა აგიოგრაფიულ ტექსტში, მაგრამ საგანგებოდ ეს გეაქეს „აბოს წამებაში“ – იხ. რ. ხარაფე, წმინდა გიორგის „ქართული“ სასწაულები, გვ. 32.

ეკლესიის ერთიანობის თემა ერთ-ერთი უმთავრესია მღვდელმო-  
წამე კვიპრიანეს შემოქმედებაში, რომელსაც უნდა უკავშირდებოდეს  
აბუსერისძის „ერთეკლესია“: „ერთ არს ღმერთი, ერთ არს ქრისტე,  
ერთ არს მისი ეკლესია, ერთ არს სარწმუნოება და ერთ არს ერი,  
რომელიც სხეულის მთლიანობაშია შეერთებული თანხმობის კავში-  
რით“<sup>1</sup>.

„ერთეკლესია“ აერთიანებს წმიდათა ღმერთისათა სახელზე აშენე-  
ბულ ეკლესიებს: „ამათსა (ე. ი. წმიდათა ღმერთისათა) სახელსა ზედა  
აღეშენეს ეკლესიანი, ერთეკლესიად წოდებულნი“<sup>(2)</sup> – წერს  
აბუსერისძე.

მოულოდნელი არ ჩანს, რომ მწერალი ამ კონტექსტში ცალკე  
იხსენიებს პეტრე მოციქულს და მის მიმართ მაცხოვრის მიერ თქმულ  
სიტყვებს: „შენ ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“ (მთ. 16.18). ალგო-  
რიულ ეტიმოლოგიზმს მწერალი ამჯერად არ მიმართავს, „სამთა  
იოვანეთა“ საგალობლისაგან განსხვავებით, მაგრამ სახელ „პეტრეს“  
ეტიმოლოგიური მნიშვნელობა („პეტროს“ ბერძნ. – „ქვა“) გამოძა-  
ხილს პოულობს ნაწარმოების სახისმეტყველებაში, სადაც ქვის ქრის-  
ტიანული სიმბოლიკა ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს.

პეტრე იყო მოციქულთა მთავარი – ასე გაიზრება მაცხოვრის  
დამოწმებული სიტყვები ეკლესიის მამათა მიერ: „ასეთი იყო პეტრე,  
უმაღლესი მათ გუნდში, ბაგე ყველა მოციქულის, ამ საძმოს მეთა-  
ური, მთელი სამყაროს წინამძღოლი, საფუძველი ეკლესიისა“<sup>2</sup> – წერს  
იოანე ოქროპირი.

ტბელ აბუსერისძის ნაწარმოებში წმ. გიორგის მოწამებაც  
ამგვარ ასპექტში გაიზრება. იგი არის „მთავარი მოწამეთა“, რაც  
განსაკუთრებულად აქცენტირებულია წინასიტყვაობაში. აღსანიშნა-  
ვია, რომ ნიკოლოზ დვალის სვინაქსარულ „წამებაში“ (XIV ს.) წმ.  
გიორგის მთავარმოწამეთა უკვე სახეობრივად არის გააზრებული:  
„გუნდნი წმიდათა მოწამეთაჲ, ბრწყინვალედ შემკობილი, და მთა-

<sup>1</sup> სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, I, თბ., 1990, გვ. 78.

<sup>2</sup> Иоанн Златоуст, Творения, Изд. С.-Петербург. Дух. Академии, т. VI, СПб, 1900, стр. 571.

ვარმოწამე გიორგი უმაღლეს და უბრწყინვალეს იყო მათ ყოველთავე<sup>1</sup>.

უფრო აღრეულია პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონში დადასტურებული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც წმ. გიორგი არის „მთავარ-მოწამე და თავი ქრისტეს მარტულთა“<sup>2</sup>. აბუსერიძის თხზულების წინასიტყვაობა პეტრიწონულ ტიპიკონს სხვა მხრივაც ენათესავება. ორივე ტექსტში წმ. გიორგი ცალკე გამოიყოფა წმ. ლეთისმშობელთან და იოანე ნათლისმცემელთან ერთად<sup>3</sup>. შეინიშნება ფრაზეოლოგიური თანხვედრაც. ამგვარია სახარების პერიფრაზი ორივე ტექსტში (მათე 12,11, ლუკა 7,28).

აბუსერიძეს წინასიტყვაობაში მოჰყავს მაცხოვრის აღთქმა წმ. გიორგისადმი: „რომელმან ავსენოს წმიდად სამებად შენ მიერ ჩემდა მომართითა მეოხებითა და სახელსა შენსა ზედა აღშენებითა ეკლესიისადთა და აღმართებითა ჯუარისა გინა ხატისადთა და გინა სხვთა შესაწირავითა, მსგავსად სარწმუნოებისა მათისა, მდიდართა და გლახაკთა, კაცად-კაცადმან ძალისაებრ, ქურივის მწულილებით, რომელმანმე ჳელთანაპრობით, რომელმანმე ცრემლით და მჭურვალედ თაყუანის-ცემით, მას აღესრულოს ყოველივე თხოვად ორისავე კერძოდ-სადო და თავისაცა თვისისათჳს გინა სსუათათჳს“<sup>(3)</sup>. აქ იგულისხმება ცნობილი ეპიზოდი „წმ. გიორგის წამების“ აპოკრიფული რედაქციიდან: წამების წინ წმინდანს მაცხოვარი აღუთქვამს, რომ ყველას შეუსრულებს თხოვნას, ვინც გიორგის სახელს ახსენებს<sup>4</sup>. ტელ აბუსერიძემ იძლევა მაცხოვრის სიტყვების პერიფრაზს და შემოაქვს ახალი თემები, რომლებიც ვითარდება როგორც თხზულების სიუჟეტში, ასევე „ანდერძში“

<sup>1</sup> „ნიკოლოზ დეილის წამება“, იველები, IV, გვ. 350.

<sup>2</sup> ა. შანაძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, თბ., 1986, გვ. 62.

<sup>3</sup> პეტრიწონში პირველი ეკლესიების აგებას წმ. ლეთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლის და წმ. გიორგის („საიოთა ამაო ზეშთა საკრეველთა“) სახელზე ათონური (ივირონის) ტრადიციით ხსნიან - იხ. რ. ხარაძე, ლიტერატურულ-ესოთეტური ნარკვევები, თბ., 1987, გვ. 109-110.

<sup>4</sup> А. И. Кирпичников, Св. Георгий и Егорий Храбрый. Исследованиях литературной истории христианской легенды. СПб, 1879, стр. 279.



მაცხოვრის აღთქმის პერიფრაზში მწერალი აქცენტს აკეთებს სახარებისეულ თხრობაზე ქვრივის შესახებ (მარკოზი 13.41-44; ლუკა 21.1-4), რომელმაც ტაძრის საგანძურში ჩადო ორი „მწულილი“ (სპილენძის ყველაზე მცირე მონეტა). ქრისტეს სწავლების მიხედვით, ღარიბმა ქვრივმა ყველა მდიდარზე მეტი გაიღო, რადგან საგანძურში ჩადო ყველაფერი, რაც გააჩნდა. აბუსერისძის ტექსტშიც „ქვრივის მწულილებად“ გულისხმობს მაქსიმალურ ძალისხმევას და მინდობას.

### 3. ჭვის სივრლიკა

„სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნის“ წინასიტყვაობის მომდევნო ნაწილში აბუსერისძე ახსენებს ქვრივის სვეტს, რომელიც წმ. გიორგიმ თავის ტაძარში აღმართა – „რომელმან სუეტი იგი ქვრივისაჲ მიითულა ტაძარსა შინა თჳსსა“<sup>(4)</sup>. ქვრივის სვეტი არის განსახიერება „ქვრივის მწულილებისა“. გარდა ამისა, სვეტის ამბავი „წმ. გიორგის სასწაულთა“ თარგმნილ ციკლებში ერთადერთი მოთხრობაა, რომელიც ტაძრის მშენებლობას შეეხება. აბუსერისძის თხზულების მთავარი თემატა ტაძრის მშენებლობაა<sup>1</sup>. ქვრივის სვეტის სასწაულს აბუსერისძის თხზულება სახისმეტყველებითაც ენათესავება.

„სვეტის სასწაული“ ლუდიის (ზოგი ვარიანტით რამლეს – „რამელა“)<sup>2</sup> ტაძრის მშენებლობას შეეხება: საჭირო სვეტებს ტაძრისაგან

<sup>1</sup> რ. ზაღვაძე. „სასწაულნი წმიდისა გიორგისანი“. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტოა პირველი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 1994, გვ. 10; აბუსერისძე ტბელა, თხზულებანი, გვ. 337.

<sup>2</sup> წმ. გიორგი წარმოშობით კაბადოკიელი იყო და დედუღეთი ქალესტინაში აქონდა. ამის შესახებ „წამების“ აპოკრიფული რედაქცია გეაწვდის (ცნობებს ც. კრუმბახერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 110). გადმოცემის მიხედვით, წმინდანი დაუსვენებიათ ქალესტინის ქალაქ ლუდი-აში (დღევანდელი ლოდი, ყოფილი დიოსპოლი), სადაც კონსტანტინე დიდის დროს მისი სახე-ღოსის ტაძარი ააგეს (Иосиф Аримафитский, Сказание о построении первой церкви в городе Лудде, грузинский текст по рукописям X-XI вв. исследовал, издал и перевел Н. Марр, Текст и размышления по армяно-грузинской филологии, т. 2-3, СПб, 1900, стр. 3). გარდა ამისა, ცნობილია სირიის ქალაქ რამლეს წმ. გიორგის ტაძარი, საიდანაც წმინდანის ხატი სასწაულებრივად გადასახულა ისოგრაფის ეკლესიაში (ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, ელ. მერტველის გამოცემა, თბ., 1956, გვ. 112-

მიშორებით ამზადებდნენ. ერთმა ქვრივმა დედაკაცმა თავისი ფულით შეიძინა სვეტი, მაგრამ იგი სამეფო ხავით არ წაიღეს. დამწუხრებულ ქვრივს წმ. გიორგი გამოეცხადა და თხოვნა შეუსრულა. ქვრივის სვეტი აღიმართა „მეორედ სუეტად მარჯვენესა კერძსა ტაძრისასა“<sup>1</sup>. ქვრივის სვეტში ალეგორიულად იგულისხმება „ლოდის“ ბიბლიური სიმბოლო (მათე 21.42): იგი არ წაიღეს სამეფო ხავით (ე. ი. „მშენებლებმა დაიწუნეს“), მაგრამ აღიმართა „მეორედ სუეტად“ (ე. ი. „ქვაკუთხედად იქმნა“).

ანალოგიურ სიმბოლიკას ტბელ აბუსერისძეც მიმართავს, კერძოდ, „სასწაულში ერთისა ქვისათჳს“, რომელსაც თხზულების პირველ ნაწილში ცენტრალური ადგილი უჭირავს: „ვითარცა გაუწყო თქუენ სასწაული ერთისა ქვისათჳს, ესრეთვე ყოველთა სამუშაკოთათჳს ქვათა, გინა სხუათა ნივთათათჳს თვითოეულად, ესრეთ გულისწმამყავით, რათა გრძელად მეტყუელებითა არღა საწყინო იქმნას“ (13) - წერს ავტორი.

„ქვის სასწაულში“ გადმოცემულია, რომ ბოლოკ-ბასილმა ზაქარწმიდის მთაზე „შექვაზმა ქვაჲ დიდი და მძიმე ფრიად“, რომელიც „დადვა ბალაჲვრად“ დიდი და მძიმე ქვა იგივე „ლოდია“ ბალავარი საძირკვლის ქვაჲ, ე. ი. იგივე ქვაკუთხედია (შდრ. მათე 21.42). ქვითხუროს, წმ. გიორგის გამოცხადების მიხედვით, ტაძარი მარტოს უხდა აეგო, რაც უგულებელყო მან და სასწაულებრივი ქვის დასმისას შვილი - იოანე „შეიწია“ ამის გამო იგი დაისაჯა: „მეყსეულად ეცა ქვაჲ ბასილის და იქმნა ვითარცა მკუდარი მყუარ ქამ“ (17). ბალავრის ქვა ასე იქცევა ნაწარმოებში „ლოდად შებრკოლებისა და კლდედ საცდურისა“ (1 პეტრე 2.7).

„სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნის“ სახისმეტ-

113). ეს გადმოცემა მოუვავონებს იოსებ არიმათიელის სახელით ცნობილ „საქითხაყს“, ხოლოც მთაბრძოლია ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის შესახებ, რომელიც ღუდის ტაძრის სივრცე გამოისახა (Иосиф Аримафитский, Сказание о построении первой церкви в городе Лиде, стр. 67-71).

<sup>1</sup> „პირველი სვეტი“. შესაძლოა, სიმბოლურად უკავშირდებოდა ღვთისმშობლის ხელთუქმნელ ხატს, რომელიც ღუდის ტაძარში გამოისახა.

ყველებაში ქვის ქრისტიანულ სიმბოლიკას წამყვანი ადგილი უჭირავს. ასე ერთიანდება ტექსტში „სუეტი ქურივისაჲ“<sup>(3)</sup>, იგივე „სუეტი ქვისაჲ“, „ქვაჲ დიდი და მძიმე ფრიად“<sup>(15)</sup> - „სასწაული ერთისა ქვისათჳს“; შუარტყლის წმ. გიორგის „ტაძარი საკურველი“ - „დიდად შუენიერი და წმიდად გებული ქვებითა ფრიად დიდითა და მრავალთა მიერ სატურთავადცა ძნიად წესადლებულითა“<sup>(16)</sup>; „სასანთლე ქვისაჲ“<sup>(22)</sup>; „ჯუარი ქვისაჲ“.

ქართულ აგიოგრაფიაში მხოლოდ ასურულ მამათა აგიოგრაფიულ ციკლის ახასიათებს ქვის სიმბოლიკის ამგვარი აქცენტირება. „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ გადმოცემულია სამი ქვის სასწაული: წმინდა მიწის მოსანახულებლად წასულმა დავით გარეჯელმა „მადლოვნების“ ქელიდან „აღიხუნა სამნი ქვანი და შთაისხნა მახალაკსა ევლოგიად და უკუნიქცა“. იერუსალიმის პატრიარქს, ელიას ხილვაში ეუწყება, რომ დავითმა „სარწმუნოებითა მისითა წარიღო სრულიად მადლი იერუსალჴმისა“<sup>1</sup>.

ამ სასწაულის სიმბოლიური მნიშვნელობა ცნაურდება „ლოდის“ სიმბოლოსთან „ქვის“ მიმართებით: „მოუხუნენ მახალაკისაგან ლოდნი იგი“, „ლოდი ეგე ერთი იყოს მოსაჯსენებელი ჟამისა ამის“<sup>2</sup>.

აქვე მოვიგონოთ 12 სამახსოვრო ქვის ბიბლიური ისტორია, რომლის მიხედვით, მდინარე იორდანეს გადაღაბვისას უფალმა, იესო ნავეს ძეს გამოუცხადა, რომ 12 ქვა (ისრაელის შტოთა რიცხვის მიხედვით) დაეწყო მდინარის შუაგულში, სადაც „მტკიცედ ედგათ ფეხი“ მოწმობის კიდობნის მტვირთველ მღვდლებს. იორდანეს შუაგულიდან აკრეფილი ამღენივე ქვა ისრაელებს სამახსოვროდ უნდა ჰქონოდათ უკუნისამდე (იესო ნავეს ძე 4). მოცემული ბიბლიური სიმბოლიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ტბელ აბუსერისძის ნაწარმოებში, სადაც ქვის ჯვრის ტვირთვა და ეკლესიაში შესვენება მღვდლის პრეროგატივას წარმოადგენს.

<sup>1</sup> „დავით გარეჯელის ცხოვრება“, ასურულ მილქაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 179-182.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 180.

#### 4. „რჩეული ერი“ და რჩეული ოჯახი

ტბელ აბუსერისძის ნაწარმოების მთავარი გმირები ერთი ოჯახის წევრები არიან: მამა – ბასილი, შვილი – იოანე და შვილიშვილი – იოსები. წმ. გიორგიმ ბასილი ისევე ამოიჩინა, როგორც უფალმა – აბრაამი. ბასილის ოჯახის ისტორია ემსგავსება „რჩეული ერის“ ბიბლიურ ისტორიას.

ქვითხუროს „რჩეულობაზე“ ავტორი წინასიტყვაობაშივე ამახვილებს ყურადღებას. ბასილი წმ. გიორგის გამოცხადებით აგებს ეკლესიას. მუშაობაშიც წმინდანი თავად შეეწევა. თუ ვინმე მოკიდებდა ხელს სამშენებლო ქვას – „არა აქუნდის ყოვლადვე შეძლება ძრვისაჲ“ მაშინ როცა, მარტოდ მომუშავე ქვითხურო დიდ ღოდებს ძრავდა ადგილიდან – „რომელი ფრიად მრავალთა კაცთა მიერცა მძიმე არს ტურთვად“. ქვის დასმის ძალაც მარტო მას შესწევდა და როცა ვინმე დაეხმარებოდა – „ვერცა ერთისა კაცისა მიერ სატურთავისა შემძლებელ იყენიან შეძრვად, რაოდენცა მრავლად შეკრიბიან“<sup>(4)</sup>.

თხზულებაში რამდენიმე ბიბლიური მოდელია რეალიზებული. მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია „გამოსვლა“, რითაც ბასილის სახე სიმბოლურ-ალეგორიულად უკავშირდება ბიბლიური მამათმთავრის აბრაამის სახეს: „პრქუა უფალმან ღმერთმან აბრაამს: გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა“ (დაბ. 12.1). ამ კონკრეტულ აქტში კონცენტრირებულია წინაცხოვრებისაგან და ნათესაური კავშირების ინერციისგან მოწყვეტის მთელი დრამატიზმი, ღმერთზე მინდობის და მიკუთვნების მიზნით<sup>1</sup>.

მსგავსი „გამოსვლა“ ხდება ბასილის ცხოვრებაშიც: „ნუ გაქუნს მოცალეობაჲ მოსარეწლისათვის სიგლახაკისა შენისა“<sup>(5)</sup> – ეუბნება წმ. გიორგი ქვითხუროს. სიმბოლურია, რომ ბასილი თბილისის მახლობელი სომხთიდან წასვლის შემდეგ, სადაც საშოვარზე იყო და უცხოთა ეკლესიას აგებდა, თავის ოჯახში გაივლის, სადაც „პგო-

<sup>1</sup> С. Аверинцев, Авраам, Мифы народов мира, I, с. 25.

ნეს ცნობითა ვნებული განცუბრებისა მიერ”(7). საშოვარზე სიარულის დათმობის და ახლობელთა მიერ გიჟად მიჩნევის ფაქტით ნაჩვენებია „წინა ცხოვრებისგან და საგვარეულო ურთიერთობებისგან მოწყვეტა“.

წმ. გიორგი ბასილს დაავალებს ეკლესიის მარტოდ აგებას: „აღმიშენე ტაძარი ჴელთა მიერ ოდენ შენთა, და ნუმცა ვინ კადნიერ იქმნების მუშაკობად და შუელად შენ თანა“ („მარტოება“ სიწმინდის ნიშანია). ეს სიტყვები ქეთხუროს დიდი გარდატეხის წინაშე დააყენებს. მას უჭირს ცხოვრების წესის შეცვლა: „მომიტევე, ჰ წმიდაო მოწამეო, რადთა აღვასრულო ჴელით მუშაკობად ამის უცხოთა ეკლესიისა და ვცოცხლობდე ჴელთა მიერ ოდენ შენთა“(5). „რჩეულობა“, უპირატესად, არის სამსახური, მოვალეობა, მძიმე ტვირთი ღვთის მცნებათა აღსრულებისა<sup>1</sup>. სწორედ ამგვარ ტვირთს გაურბის ბასილი.

გარდა იმისა, რომ ბასილს არ სურს ცხოვრების წესის შეცვლა, იგი აცხადებს: მარტოდ ეკლესიის აგება „დასაბამითგან არადოდეს ვისგან ქმნილ არს“(5). საბოლოოდ მაინც ხდება ბასილის შემობრუნება. მაგრამ არა საკუთარი ნებით, არამედ მუქართ.

„გამოსვლა“ გარკვეული გზის გადალახვას გულისხმობს: „მოვედ ქუეყანად, რომელიცა გიჩუენო შენ“ (ღაბ. 12.1) – ეუბნება უფალი აბრამს. ასევეა ტბელ აბუსერისძის ნაწარმოებშიც. წმინდა გიორგიმ ბასილს უბრძანა: „წარვედ უდაბნოსა კლარჯეთისსა, რომელსა ჰრქუან ოპიზად“(6). „გამოსვლის“ შემდეგ ასე აღმოჩნდება ბასილი ახალ სამყაროში.

ძველი აღთქმის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ცნობიერებასთან ერთად ადამიანთა მოდგმაში აღეზარდა თანმიმდევრული, მემკვიდრეობითი სიწმინდე, შემოეთარგლა რჩეული საგვარეულო, რომელშიც ღვთის მადლის მეოხებით, თაობების მანძილზე შეინახებოდა, გაძლიერდებოდა და განმტკიცდებოდა პიროვნული სიწმინდე. ამიტომ გადააქონდათ მახარებლებს ძველი აღთქმის

<sup>1</sup> ზ. კიკნაძე, რჩეული ვრი, იურნ. „რელიგია“, 1992, №1-2, გვ. 121-122.

ისტორია მაცხოვრის საგვარეულო ნუსხაზე (მათე 1.1-17, ლუკა 3.23-38)<sup>1</sup>.

„მეშვედრობითი სიწმინდე“ უნდა აღზრდილიყო ბასილის ოჯახში. მისი „გამოსვლა“ „წიაღის“ გამზადებაა, საიდანაც უნდა იშვას მღვდელი იოსები და „ტაძარი საკურველი“

**ჰვის ჯვარი და „აღთქმის კიდობანი“.**

საეკლესიო ქვეები, აბუსერისძის თხზულების მიხედვით, მხოლოდ ბასილს ემორჩილება. სხვა ვითარებაა ალავერდის მთავარმონაწილის ჯვარის დასვენებისას – იგი არც ბასილს „ემორჩილება“ და არც მის ძეს – იოანეს. ორივე შემთხვევაში მწერალი მიმართავს „აღთქმის კიდობნის“ ბიბლიურ პარადიგმას.

დავით წინასწარმეტყველს აღთქმის კიდობანი ურმით და ხარებით გადააქვს (2 მეფეთა 6.1-6), როგორც ბასილს – „ქვაჲ დიდი და მძაჲ ფრიად“ სხვათა მიერ კიდობანზე ხელის შეხება მიუტევებელია, რაც უფლის განრისხებას იწვევს (2 მეფეთა 6.6-7). ანალოგიურად, ბასილიც ისჯება წმინდანის პირობის დარღვევისათვის (16).

„აღთქმის კიდობნის“ სიმბოლიკასთან მიმართებანი უფრო თვალნათლივია „ქვის ჯვრის“ ისტორიაში: კიდობანს მღვდლები დაასვენებენ „წმიდათა წმიდაში“ (3 მეფ 8.6, 2 ნეშტთა 5.7) – ჯვრის დასვენება იოსების „მღვდლობასა და მონოზონებასა ეპატევა“ (36).

აბუსერისძის ნაწარმოების სახისმეტყველებაში ალავერდის მთავარმონაწილის სახელზე არსებული ქვის ჯვარი იქცევა საღვთო მოწმობის სიმბოლოდ: „ნეტარსა იოსებს... ჩუენებით ეზრახებოდის წმიდაჲ ესე... და ყოვლადვე არა უკვრდის, ვითარცა ჯორციელისა მეკობრისაჲ“ – წერს აბუსერისძე ქვის ჯვრის „ნამუშავესა თჳსსა“ დასვენებისადმი მიძღვნილ თავში. ძველი აღთქმის მიხედვითაც, „ეტყიდა მოსეს უფალი პირისპირ, ვითარცა-იგი ვინ ზრახან თჳსსა მეკობარსა“ (გამოსვლათა 33.11). აგიოგრაფიული ტექსტის ფრაზე

<sup>1</sup> С. Булгаков, Очерки истории о Церкви, журн. «Путь», №1, 1925, с. 48.

ოლოგიური თანხვედრა მოყვანილ ბიბლიურ ადგილთან ნათელია („ზრახვა ვითარცა მეგობართან“).

წმ. გიორგის სასწაულთა ბერძნულ და სირიულ ციკლებში სასწაულთა წყაროდ გვევლინებიან წმინდა ნაწილები („ქვრივის სვეტის სასწაული“), წმ. გიორგის სახელობის ტაძარი და დღესასწაული (ტყვეთა გამოხსნის სასწაულები). ტბელ აბუსერისძის ტექსტში კი ცხოველმოქმედია ჯვარი, რომელიც „სახელსა ზედა არს აღავერდისა მთავარმოწამისსა“.

#### წყალობა.

აბუსერისძის ტექსტში წმ. გიორგი მოწყალეა ბასილის მიმართ: პირობის დარღვევის გამო არ კლავს, რითაც თავდაპირველად ემუქრებოდა („აღგაოჯრო და მოგკლა ყოვლით სახლეულით შენითურთ“); შიმშილობის დროს ბავშვივით ეფერება და ხილს მიართმევს(13); მეორე ტაძრის მშენებლობისას კი კაცთა „თანაშეწევნა“ შეუხდო და „მოკლებასა შინა ჯორცისასა ირემიცა წარმოუდგინა წმიდამან ბოლოკ-ბასილის და მის თანავე მუშაკთა“(21). ამავე კონტექსტშია განსახილველი წმინდანის სიცილი და ხუმრობა.

მთავარმოწამე განსაკუთრებულად წყალობს იოანეს: „ამან სახლი აღაშენა სახლეულთა თვისთა, გამოცხადებითა წმიდისაჲთა, დაღაცათუ კაცთა შეწევნად შეუხდო წმიდამან“(16). სხვაგან ნათქვამია, რომ იოანეს „ვალისა მისისა წილ, ერთი ძელი წარუღო უნებლიეთ ვინჲე კაცმან“, რომელსაც წმინდანმა „სხუად უმძიმესი ძელი“ ზურგით ჩატანინა უდედან (მესხეთი) შუარტყალში (აჭარა). აქ წყალობაც ჩანს და „რჩეულთა“ პრივილეგიაც.

დასახელებული სასწაულები, რაშიც წმ. გიორგის წყალობაზეა გამახვილებული ყურადღება, ტექსტში ერთად არის ლოკალიზებული და მოსდევს იოანეს გამოჩენას: ბლავრის ქვის დასმისას ბასილჲა „შვილი მისი იოვანე შეიწია, რომელი იყო უსწავლელი და ერისკაცი, ვითარცა მამად მისი ბოლოკ-ბასილი“ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც. იოანეს მწერალი სახელს უცვლის - „ამან

შინა (ე. ი. ტექსტში) აღწერისათვის“ უწოდებს იოანეს (იოვანეს), ისე კი მას ივანე ჰრქმევიან(28).

აბუსერისძე ცალკე საგალობელს უძღვნის სახელ „იოვანეს“ და მის მნიშვნელობას - ებრაულად „ღვთის მადლი“. ეს არის „გალობანი სამთა იოვანეთანი“. საგალობელში იოანე ნათლისმცემელი არის „დასასრული სჯულისაჲ სამყაროდ მამისა“ (IX,3) და „სჯულისა წესთა დასავალს შინა მადლითა აღმობრწყინებული მზე“ (VIII,1). იგი ორი სამყაროს გზაჯვარედინზე დგას. ერთი მხრივ, ამთავრებს რჯულის (კანონის) სამყაროს და მეორე მხრივ, იწყებს მადლის სამყაროს. ის ფაქტი, რომ სახელი იოანე („ღვთის მადლი“) ნათლისმცემელს ღვთის ჩაგონებით შეერქვა (ლუკა 1.13), უკვე მიუთითებს მის ადგილს და როლს ხსნის მისტერიაში.

ორი სამყაროს გზაჯვარედინზე დგას ივანე-იოანეც. იგია შვილი „უსწავლელისა და ერისკაცისა“, ამავე დროს – მამა მღვდელმონაზონისა.

#### „შიში შიშიჲს სიყვარულსა“.

ბასილი შიშის გამო შეუდგა ტაძრის შენებას. ტექსტში იგი ხშირად წარმოგვიდგება „შეპყრობილი შიშითა დიდითა“, „შეძრწუნებული“ და „ზარგანხდილიც“ კი.

შუარტყლის წმ. გიორგის ტაძრის მშენებლობის ისტორია ამ მხრივ ემსგავსება წმინდანის სასწაულთა ბერძნული ციკლის მოთხრობას თეოფისტეს შესახებ. აბუსერისძის თხზულებაში წმ. გიორგი ბასილს ემუქრება პირველი გამოცხადებისთანავე: „აღმიშენე ტაძარი ჯელთა მიერ ოდენ შენთა, და ნუმცა ვინ კადნიერ იქმნების მუშაკობად და შუელად შენ თანა და უკუეთუ არა ესრეთ აჩუენო გულსმოდგინებაჲ, აღგაოწრო და მოგკლა ყოვლით სახლეულით შენითურთ“(5). მსგავს მუქარას შეიცავს „თეოფისტეს სასწაულიც“: „უკუეთუ ესე არა ჰქმნა... ვითხოო უფლისაგან და შენ და სახლი შენი ცე“



ცხლითა დაგწუნე“<sup>1</sup>. ამგვარად, წმ. გიორგის მუქარას „თეოფისტეს სასწაულიც“ შეიცავს, მაგრამ, აბუსერისძის ტექსტისაგან განსხვავებულად, არ არის ხაზგასმული პერსონაჟის შიში.

იოანე მახარებელი წერს: „სიყვარულში არ არის შიში, ხოლო სრულყოფილი სიყვარული სდევნის შიშს, ვინაიდან შიშში არის ტანჯვა, ხოლო შიშშია სრულყოფილი არ არის სიყვარულში“ (1 იოანე 4.18). ამდენად, ბასილის შიში არ არის წმ. გიორგის მიზანი. ეს უფრო საშუალებაა ტაძრის მშენებლის ახალ ცხოვრებაში შესაყვანად, რათა იგი სიყვარულში სრულყოფილი გახდეს.

ძველი აღთქმა ხშირად წარმოგვიდგენს განრისხებული უფლის სახეს, რასთანაც უთუოდ კავშირშია წმ. გიორგის მუქარა. ვ. ბიჩკოვი წერს: „თუკი ძველ აღთქმაში ღვთისა და ადამიანის ურთიერთობქმედების მთავარი პრინციპია შიში, ახალ აღთქმაში იგი შეცვალა სიყვარულმა, რომელმაც მთლად კი არ განდევნა „ღვთის მოშიშება“, არამედ დაიმორჩილა“<sup>2</sup>. რუსთველის სიტყვები – „მართალს იტყვის მოციქული: შიში შეიქმს სიყვარულსა“ (იოანე მახარებლის სიტყვათა პერიფრაზი)<sup>3</sup> სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რადგან ძველი აღთქმა მიზანმიმართული სვლაა ახალი აღთქმისაკენ.

„სასწაულში ერთისა ქვისათჳს“, როგორც ითქვა, ხორცშესხმულია „ლოდის“ სიმბოლო. „ქვაჲ დიდი და მძიმე ფრიად“ სწორედ ბასილისთვის იქცა „ლოდად შებრკოლებისა და კლდედ საცთურისა“ თვით ეს სიმბოლო ბიბლიაში უკავშირდება ისრაელს, რომელმაც ვერ მიაღწია „სამართლის სჯულს“, რადგან რწმენაში კი არ ეძებდა მას, არამედ „სჯულის საქმეებში“. ამიტომ შებრკოლდა იგი „შებრკოლების ლოდზე“ (რომ. 9.22).

ტბელ აბუსერისძე ტექსტის დასასრულს გვამცნობს: „ნეტარსა იოსებს... ოდესმე წმად ესმოდის მოწამისაჲ და ოდესმე თუალითა იხილის სხუთა და სხუთა სახითა. და ყოვლადვე არა უკვრდის,

<sup>1</sup> წინადა ვიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, გვ. 130.

<sup>2</sup> В. Бычков, Идеал любви христианско-византийского мира, в кн. Философия любви, Москва, 1990, стр. 71.

<sup>3</sup> შტრ. გ. ნოზაძე, „ეფესოსეპისტოლის“ ღვთისმეტყველება, პარიზი, 1963, გვ. 495-496

ვითარცა ჯორციელისა მეგობრისაჲ”(38). ასე სრულდება „რჩეული ოჯახის“ ისტორია. ამგვარი მეგობრობა იდეალთა ქრისტიანული სიყვარულისა: „თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოთ, რომელსა გამცნებ თქუენ, არღარა გეტყვ თქუენ: „მონა“, რამეთუ მონამან არა უწყინ, რასა ჰყოფნ უფალი მისი. ხოლო თქუენ გარქუ: „მეგობარ“, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქუენ“ (იოვანე 15.14-15).

ამგვარად, თუკი ბასილი აღეგორიულად განასახოვნებს „ისრაელს“, შიშის სამყაროს („ძველი აღთქმა“), ხოლო იოანე – ნათლისმცემელს (წყალობის სამყარო), მღვდელი იოსები აღეგორიულად განასახიერებს სიყვარულის სამყაროს („ახალი აღთქმა“). ასე წარმოგვიდგება „რჩეული ოჯახის“ სულიერი გენეალოგია პარადიგმულ პლანში.

## 5. „ეკლესიის სამყარო“

„ნინოს ცხორების“ კვალობაზე აბუსერისძე ნაწარმოებში გამოპყობს ტაძრის მშენებლობის და ჯვრის ციკლებს. ალავერდის მთავარმოწამის ჯვრის სასწაულით ავტორს ტაძრის ინტერიერში შევყავართ. თხზულებაში ტაძრის და ჯვრის ციკლებს შორის გარდამავალია ტყვეთა გამოხსნის სასწაულები.

მღვდელ იოსებს „ეპატივება“ ალავერდის მთავარმოწამის სახელობის ჯვრის ტაძარში დასვენება<sup>1</sup>. ნაწარმოებში წმ. გიორგის ტაძარიც „იოსების ეკლესიად“ იწოდება: „დავიდუმნე სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი, ვინაფთგან ვერცა ყოველი სოფელი აღპრაცხავს აღწერილსა წიგნებსა თუთოეულისა ეკლესიისასა, რაოდენცა არს სახელსა. ზედა წმიდისა გიორგისსა, ვერცა თუ ნეტარისა ამის

<sup>1</sup> ჩვეულება ჯვრის ეკლესიაში დასვენებისა (მღრ: „ნინოს ცხობრება“) უკანასკნელ დრომდე შეუნარჩუნებიათ სეანეთში, რასაც კ. კეკელიძე იერუსალიმურო ტრადიციის გაქდენათ ხსნის - K. Kekelidze, Ierusalimskii Kaitopar' VI veka (gruzniskaja versija), Tiflis, 1912, str. 3.

იოსების ეკლესიისასა, სიტყსაებს წმიდისა სახარებისა“ (39) – წერს ავტორი.

წმ. გიორგი იოსებს ისე ელაპარაკებოდა, „ვითარცა ნივთიერი და ხილულთა წორცთა შინა მყოფი“ მღვდლის წოდების უაღრესი მნიშვნელობის ხაზგასმით აბუსერისძე იოანე ოქროპირის სწავლებას მისდევს: „მღვდლის ტახტი ღვას ცათა შინა“. აღსანიშნავია, რომ ოქროპირი მღვდლობას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ბერობას, რადგან „მოძღვრის მსახურებაში უფრო მეტი სიყვარულია, ვიდრე მონასტრულ განმარტობაში“<sup>1</sup>.

ნაწარმოებში არ ისმის იოსების „მადლითა, ვითარცა მარილითა შეზავებული“ (კოლ. 4,6) სიტყვა თუმცა ტექსტში აღწერილი ისტორია სწორედ მას მოუყვლია, „მახლობლებთან“ ერთად, ავტორისათვის.

გარდა ამისა, ტბელ აბუსერისძის ტექსტში მოძღვრის სახედ არის გააზრებული წმ. გიორგი: „თუთ დიდი იგი ახოანი თუალითა იხილის მის თანავე მუშაკობად ამან ნეტარმან ბასილი და აღწევად ქვისა მძიმისა და ოდესმე თვნიერ მუშაკობისაცა სწავებით განაძლიერებდის და მისცემდის სასოებასა საკურველისა ამის აღშენებისასა“ (4). ამგვარი „სწავების“ შესანიშნავი მაგალითია „ემმაკის სასწაული“: „ხოლო სუმასა შინა წყლისასა დააყუდა პირი თვისი წყაროსა ზედა. მეყსეულად მოვიდა წმიდაჲ მოწამე და აღმოზინდა მიყოფითა ჴელისადათა და პრქუა: „არა ჯერ-არს, რადთამცა სუი ეგე, თვნიერ ჯუარის გამოსახვისა, რამეთუ არიან მანდა ემმაკნი ჩემ მიერ შთათხეულნი. და ესრეთვე სხუათა აუწყე, რადთა თვნიერ ამისსა არავენ სუას ამის წყაროდსაგან“ (12). ამავე კონტექსტშია განსახილველი წმ. გიორგის სხვა სასწაულები.

ალავერდის წმ. გიორგის მიერ განძიდან (განძა) ტყვის გამოხსნის ეპიზოდი წარმოადგენს თხზულების ეიკონურ ცენტრს. „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნის“ იკონოგრაფიულ ტრადიციასთან კავშირი ამით არ ამოიწურება. აბუსერისძეს „ტაძრული შემეცნების“ ელემენტები წინასიტყვაობაშივე შემოაქვს. ასეთია სიწ-

<sup>1</sup> I. Фроловский, Восточные Отцы IV-го Века, Париж, 1931, с. 206.

მინდის ყოვლისმომცველი იერარქია (სიტყვა ღვთისა და „წმიდანი თჳსნი, სათნო ყოფილნი ღმრთეებისა მისისანი: ცხრანივე დასნი წმიდათა ანგელოზთანი და მეათენი კაცთანი“), რომელიც ანალოგიურია ტაძრის საკურთხეველის და გუმბათის იკონოგრაფიული პროგრამისა. ეკლესიის სულიერი, უხილავი სამყაროს ხილული გამოხატულებაა წმიდათა სახელზე აგებული ტაძრები – „ერთეკლესიად წოდებულნი“. ეკლესია ბასილისთვის იქცევა „აღთქმულ ქუეყანად“ – იგი წმინდანის ჩავიხებით პირველად ოპიზის მონასტერში მიდის, საიდანაც, პრაგმატული ინტერესებისგან განდგომილი, სულიერი მსახურების გზას დაადგება.

თხზულებაში წმ. გიორგის სასწაულები იკონოგრაფიასა და ლიტურგიაში დამკვიდრებულ „კანონზომიერ“ თანმიმდევრობას იმეორებს: „გველის სასწაულს“ მოსდევს „ეშმაკის სასწაული“, შემდეგ მოდის „სასწაული ერთისა ქვისათჳს“. ანალოგიური თანმიმდევრობა ახასიათებს წმ. გიორგის სასწაულთა თარგმნილ ციკლს: „დრაკონის დამარცხების სასწაულს“ მოსდევს „ეშმაკის ქუესკნელში ჩავიდების“, „ქვრივის სვეტის“, „განგმირული ხატის“, „ტყვეთა გამოხსნის“ და თეოფისტეს სასწაულები. მსგავსი ვითარებაა იკონოგრაფიაშიც<sup>1</sup>.

თხზულებაში გეოგრაფიული ადგილები და ეკლესიის გარემო წმ. გიორგის სასწაულთა მიერ არის საკრალიზებული<sup>2</sup>. სახლი „საყოფელად სახლეულთა თჳსთა“ ბასილის შვილმა, იოანემ ააშენა „გამოცხადებითავე წმიდისაჲთა“. ქვის სასანთლე „ვინმე მკედართაგანმა“ ააგო წმ. გიორგის მიერ მისი ყმის ტყვეობიდან განთავისუფლების ნიშნად. „ძელი“ სოფელ უდეს მკვიდრმა („ვინმე კაცმან“) ზურგით მიიტანა შუარტყლის ტაძართან, წმ. გიორგის გამოცხადების შემდეგ<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Е. Привалова, Павлиси, стр. 32.

<sup>2</sup> რ. ზარაძე, წმ. გიორგის „ქართული“ სასწაულები, გვ. 33-35.

<sup>3</sup> სავარაუდოა, რომ „ძელი“ შუარტყლის ტაძრის „წინაშე“ არ იდგა უუუნკციოდ. „ძელს“ იყენებდნენ მორწმუნეთა ღვთისმსახურებაზე მოსახმობად (შდრ. „პრეკონ ძელსა“) – იხ. კ. კაკაბაძე, ძეგლები, XIV, გვ. 215.

წმ. გიორგის სასწაულთა აღრე ჩამოყალიბებული ციკლები აბუსერისძის ტექსტში პარადიგმის დანიშნულებას იძენს<sup>1</sup>. ალავერდის მთავარმოწამის სასწაულში ლიტერატურულ პარალელიზმზე თვითავტორი მიუთითებს: „ესე ჯგუარი წმიდისა მოწამისაჲ სახელსა ზედა არს ალავერდისა მთავარმოწამისასა, რომელმან ჩემგან თუალით ხოლოლი და ამის სასწაულისა მომხბრობელი ყრმაჲ ვინმე გამოიყვანა, ვითარცა ძუელ ოდესმე ბორღალეთით, აღიტაცა განძაჲთ და დასუა ალავერდს, კარსა წმიდისა მოწამისასა“<sup>(29)</sup>.

სასწაულის პარადიგმა „პატრიარქის ტაძრის მნის ტყვეობიდან გამოსხნა“, რომელთანაც მრავალი ფრაზეოლოგიური თანხვედრა შეინიშნება. ამის ნათელსაყოფად სასწაული მოგვეყავს სრული სახით. ლიტერატურული წყაროდან პარალელურ ადგილებს ვიმოწმებთ: გაბიძაშვილის გამოცემის მიხედვით<sup>2</sup>:

„ხოლო იხილეს რაჲ ეკლესიად მისრულთა ლოცვისათჳს ქა მ ს ა ც ი ს კ რ ი ს ს ა <sup>3</sup>, შებორკილებული რკინითა, განძას დაძინებული და მუნ მდებარე, შიშისა და საკურველებისაგან ვითარცა მკუდარი, და აღ-რაჲ-ადგინეს ძლით, და მრავალგზის ჳმობით გონებასა ზედა და მოგებულსა დასცუვდეს რკინანი, და აღიდებდეს ღმერთსა ყოველნივე, შიშითა და სიხარულითა შექყრობილნი, და დიდსა მას მოწამესა გიორგის<sup>4</sup>. და ესე ყრმაჲ იმყოფებოდა ეკლესიასა შინა წმიდისა ვიდრე მსგეფსადმდე, და მოვიდა წმიდაჲ ახოვანი და მისცა ცხენი თჳსი ჳარმაგი და ჳრქუა: „არებდი ეკლესიასა ამას შინა ჩემსა, ვიდრემდის კუალად წარვიყვანდო“.

<sup>1</sup> რ. ზალუვაშვილი, ტბელ აბუსერისძის „სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“ და მისი მიმართება ლიტერატურულ-იკონოგრაფიულ ტრადიციასთან, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, II, 1998, გვ. 173-179.

<sup>2</sup> წმიდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, თბ., 1991.

<sup>3</sup> შდრ. „ხოლო ქა მ ს ა ც ი ს კ რ ი ს ს ა შევიდა ვინმე სახლსა მას საწლითა და ერთარ აგრძნა ჳაბუქსან მან, აღჲა იგი შემთხვევად მისა“ (გვ. 97).

<sup>4</sup> შდრ. „და რაჲმს ჳეშარიტებით იცნეს იგი, კმითა დიდითა აღიდეს ღმერთსა, რომელი წმიდისა მოწამისა მიერ ესევეითართა სასწაულთა აღასრულებს“ (გვ. 97).

„და ესე ცხენი თუთ მომღვედის, რეცა თუ ჩუენების სახელ საღვეთა ჳელთ მქონებლობისადათა და შეხებითა ჳელისადათა ვერ ვაგრძნაო“, იტყოდა ყრმაჲ იგი: „ვითარცა შეჰგაგეს ნივთიერსა და თუალით სახილაგსა, და ჳელთა შინა ჩემთა იყუნეს საღვეენი იგი ცხენითურთ და ვითარცა ეკლესიასა შინა ვიქტეოდუ, ჰონე<sup>1</sup> იგიცა ჩემ თანავე ვიღოდის, რომელსა თუალით ვხედღვედი, და ჳელით განსახიღველად იყო, ვითარცა ჰოროლი მზისაჲ; რომელსა მე ოღენ ვხედღვედი და სხუაჲ ვერაფინ და რაჟამს მთხოვა წმიდამან გიორგი, უწუერულისა ჳაბუკისა სახითა მყოფმან, ვითარცა ვიხიღუ განძადთ აღტაცებისა ჟამსა“. და იტყოდა ესრეთ: „ოდეს მოვიდა ძიღად მწოღარუ ვიყავ და წარმომიღდა ზეღა ჳაბუკი შუენიერი<sup>2</sup>, ნათლით შემოსიღი სრულღებით და მრქუა: „ამას მათრანსა მიჰყრობიღსა ჳელი მოყავ და მევეღრუ და წარგიყვანო უეჭვეღლიღ“. და მე, ამისსა ურწმუნო ქმნიღსა, მრქუა მე კუღლადმცა მრავალღზის იგივე. და რაჟამს მივეყავ ჳელი, ვაგრძენ ჰამოდ აღყვანებაჲ და მოგსწყდი მიწასა, წარმიტაცა გონებამან, რეცა თუ ძიღის სახელ<sup>3</sup> და ოღეს ჳმა მიყვეს კარსა წმიღისა მოწამისსა, კახეთს, ეკლესიასა აღავეღრღისასა, მაშინღა ძლით მოვეღე გონებასა“. „და მითვე სახითა მყოფმან შემომვეღრა ცხენი და მერმე წარგიყუნა ჰუნე თუსი წმიდამან. მაშინ მე წარმოვეღ ტაძრით წმიღით ახოვნისადათ“

ტყვეთა გამოხსნის თარგმნიღ სასწაულღებში წმ. გიორგი ჳაბუკებს ცხენზე შემოისვამს, რომელთაც იკონოგრაფიაში წმინღანის ზურგს უკან გამოსახავღნენ. ტბელ აბუსერისძესთან არ გვაქვს ამგვარი თანაამხედრება. აქ წმ. გიორგი გამოეცხადება „ყრმას“ და ეტყვის: „ამას მათრანსა მოჰყრობიღსა ჳელი მოყავ და მევეღრუ

<sup>1</sup> შღრ. „კუნესა ზეღა იღღოღარეღმან, რომელისანცა შემოისღვა მე ცხენსა ზეღა თუისა“ (გვ. 208).

<sup>2</sup> შღრ: „იხიღა მხედარი ვინმე საკერეღლი, კასაკითა ჳაბუკი და ხიღვეითა ფრიად შუენიერი“ (გვ. 95).

<sup>3</sup> შღრ: „ხოღლო ჳაბუკი იგი საქმისა მის საკერეღლეღბასა ზეღა განკროთა და ვითარცა კანღებრბული სრულიად ღაიქუნა და ძიღითა ღრმითა შეკერობიღ იქმნა“ (გვ. 96).

და წარგიყვანო უეჭველადო". „ყრმა“ ასეც მოიქცევა: „და რაქამს მიყვავ ველი, ვაგრძენ ჰამოდ აღყვანებად და მოვსწყდი მიწასა, წარმიტაცა გონებაჲმან, რეცა თუ ძილის სახედ“.

გარდა ამისა, აბუსერიისძის სახისმეტყველების სპეციფიკას ქმნის წმინდანის „მ ა თ რ ა ნ ი“ (შ უ ბ ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ), ასევე ყრმაზე ცხენის გადაცემა. სიტყვების („ცხენი“ და „ჰონე“) მონაცვლეობით ეპიზოდი ენათესავება „წმ. გიორგის სასწაულთა“ სირიულ ციკლს<sup>1</sup>

ტბელ აბუსერიისძე გვიხატავს „ყრმის“ ალავერდში გადმოსმის სცენას. ტყვეობიდან გამოხსნა („გამოყუანა“) ამ ეპიზოდში „გამოსვლაც“ არის და მატერიაზე ამაღლებაც: „ვაგრძენ ჰამოდ აღყვანებად და მოვსწყდი მიწასა“. ამგვარი სიმბოლიკის მომცველია ალავერდის მთავარმოწამის „ჭარმაგი“ ცხენი. მისი სადავეების ხელში დაჭერა („სადვეთა ველთმქონებლობა“) და „დამორჩილება“ აქრობს საზღვარს მატერიალურსა და სულიერს შორის - „ველით განსახილველი იყო ვითარცა ჰოროლი მზისაჲ“. მატერიაზე ამაღლების ანალოგიური სურათია მოცემული დემეტრე-დამიანეს იამბიკოში, რომელიც შიო მღვიმელს ეძღვნება:

„ცასა ბეწუთა ეკიდა, ვნახე, კაცი,

და მასვე კაცსა შუბის წუერს ეღგნეს დარბაზნი,

მუმლსა ზედა ჯდა, მინდორს სდევდა ქურციკითა, —

და ზღუასა ზედა მოარბევდა ცხენითა,

და ესრეთ დაღადებდა: ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ!“<sup>2</sup>

ტბელ აბუსერიისძის „ყრმაჲ ვინმე“ სწორედ ამგვარ სამყაროსთან მისტიური შეერთების განცდის ღრმა სუბიექტურობაზე („მე ოდენ ვხედვედი და სხუაჲ ვერაფინ“) და ნეტარებაზე („ჰამოდ აღყვანება“) მოგვითხრობს.

განძიდან გამოხსნილი „ყრმაჲ ვინმე“ მწერალს თვალთ უხილავს და „ამის სასწაულისა მომთხრობელიც“ იგი ყოფილა. პირველ პირში

<sup>1</sup> ალავერდის მთავარმოწამის სასწაულის ლიტერატურულ წყაროსთან მიმართების შესახებ ირსეზობს განსხვავებული აზრიც - იხ.: შ. ჩაქვანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 75b

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 315.

წარმართული თხრობა მკითხველს უშუალოდ განაცდევინებს სასწაულის არსს – სულის მდგომარეობას, რომელიც ეზიარა სულიერების სამყაროს.

ალავერდის მთავარმოწამის სასწაულში სიტყვის ყოველი მოძრაობა გასულიერებულია. ამგვარ განწყობას ეხმიანება წმ. გიორგის ხილვა ანგელოზის სახით: „წარმომიდგა ზედა ჭაბუკი შუენიერი, ნათლით შემოსილი სრულებით“. იგი ისევე გამოიყურება, როგორც ანგელოზი, რომელმაც წმ. ნინოს ლოცვის შემდეგ სვეტი-ცხოველი აღმართა: „მოადგა ჭაბუკი ვინმე შუენიერი, ყოკლად ნათლითა შემკული“<sup>1</sup> (მღრ.: მათე 28.3, მარკოზი 16.5).

ამის შემდეგ აბუსერისძე აღწერს ორი ცხმორისელი კაცის გამოხსნას სპარსთა ტყვეობიდან. სასწაულის შინაარსი ასეთია: საშოვარზე წასულ ორ ცხმორისელ კაცს სპარსები დაატყვევებენ. დადგება წმ. გიორგის დღესასწაული. ერთი მათგანი, კუანილი, გულმოდგინედ იმარხულებს, მეორე – პონილი, „მცირედ ურწმუნო იქმნა“. წმინდანმა ორივე აღიტაცა. კუანილი ეკლესიის კართან დასვა, „ხოლო მეორე, ურწმუნო ქმნისათჳს, დაღაცათუ არავე უგულებელს ყო წმიდამან, გარნა არღარა მეყსეულად მოაწია აჭარას, ქუეყანასა მისსა, და დასუა საზღვარსა ქრისტეანეთა და წარმართთასა, და ძლითლა სლვით მოაწია წინაშე წმიდისა მოწამისა“ (32). თუკი წინა „მოთხრობილში“ მთავარი იყო ანაგოგიური მნიშვნელობა, აქ მორალურ მხარეზეა გამახვილებული ყურადღება. ერთმანეთს უპირისპირდება „გულსმოდგინებით“ რწმენისა და „მცირედ ურწმუნო-ქმნის“ გზა.

მღვდელი იოსები უკვე თავად არის სასწაულთა მადლის მატარებელი – იგი წინასწარმეტყველებს. მასთან დაკავშირებულ ისტორიაში ქრება წმ. გიორგის სიცილიც და ლაღობაც, რაც საჭირო იყო „უსწავლელი და ერისკაცი“ ბოლოკუბასილისთვის, რადგან მღვდელი აღარ არის „ხოციელი, ვითარცა ქრისტეში ჩვილი“ (1 კორ. 3.1), არამედ თავად არის წყარო ღვთივსულიერი

<sup>1</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძეგლები, I, გვ. 141.



მოძღვრებისა, რომელიც „რძედ“ უნდა მიეწოდოს „ხორციელთ“ (1 კორ. 3.2).

ტბელ აბუსერისძის თხზულების სახისმეტყველების გააზრებაში გვეხმარება პავლე მოციქულის ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, სადაც მოცემულია „სიტყვა ჯვრის შესახებ“:

„რამეთუ სიტყუად იგი ჯუარისად წარწყმედულთა მათთვის სიცოფე არს, ხოლო ჩუენ ცხორებულთა ამათთვის ძალი ღმრთისა არს.

რამეთუ წერილ არს: წარვწყმიდო სიბრძნე იგი ბრძენთად და მეცნიერებად იგი მეცნიერთად შეურაცხ-ვეო.

სადა არს ბრძენი? სადა არს მწიგნობარი? სადა არს გამომეძიებელი იგი ამის სოფლისად? ანუ არა განაცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისად?

რამეთუ ვინადვთან სიბრძნითა მით ღმრთისადთა ვერ იცნა სოფელმან სიბრძნითა თუსითა ღმერთი, ჯერ-იჩინა ღმერთმან ქადაგებითა მით სისულელისადთა ცხორებად მათ.

ვინადვთან ჰურიანიცა სასწაულს ითხოვენ, და წარმართნი (ბერძნები) სიბრძნესა ეძებენ“ (1 კორ. 1.18-22).

ეპისტოლეში გატარებული აზრით, ჯვარცმული ქრისტე იუდეველთათვის საცდურია, ბერძნებისთვის – უგუნურება. მოწოდებულთათვის კი – ღვთის ძალა და ღვთის სიბრძნე, რადგან უგუნურება ღვთისა ადამიანებზე უბრძენისა, და სისუსტე ღვთისა – ადამიანებზე უძლიერესი (1 კორ. 1.18-31). აბუსერისძე პარალელს ავლებს „სისულელითა გამორჩეულ“ მოციქულებთან (შდრ. 1 კორ. 4.10) და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ჯვრის ეკლესიაში დასვენება იყო „ნ ე ტ ი ს ა ს წ ა უ ლ ი ს ა“ და რომ მღვდელ-მონაზონ იოსებს „ ყ ო - გ ლ ა დ ი ე ი ა რ ა უ კ ჯ რ დ ი ს “ წმინდანის გამოცხადება.

## ტექსტიკის

### ტელ აბუსერიის ხელნაწერის „ანდერძი“

„სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ მხოლოდ A-85 ხელნაწერმა შემოგვინახა, სადაც თხზულებას უშუალოდ მოსდევს ხელნაწერის „ანდერძი“ (იწყება შემდეგი სიტყვებით: „უწყი, რამეთუ არა ვარ შესარაცხავი“). მკვლევარები ამ ორ ტექსტს უკანასკნელ დრომდე ერთიან თხზულებად მიიჩნევდნენ, რაც აისახა კიდევ დღემდე განხორციელებულ ყველა გამოცემაში<sup>1</sup>.

ტელ აბუსერისძე „ანდერძის“ აგიოგრაფიულ ტექსტთან ერთად გადანუსხვას გადამწერთა ნებას მიანდობს: „ამას (იგულისხმება „ანდერძი“ – რ.ხ.) ზემოთსა სასწაულთავე თანა აღსწერლით წმიდისა გიორგისთა, ვისცა გენებოს“<sup>2</sup>, – ნათქვამია კომენტარში, რომელიც ხელნაწერში „ანდერძის“ ტექსტის დასაწყისთან, მარცხენა აშიაზეა მიწერილი. ასე განაცალკევებს ერთმანეთისაგან ავტორი აგიოგრაფიულ ტექსტს და „ანდერძს“

ხელნაწერში „სასწაულნის“ წარდგინებისას აბუსერისძე აგიოგრაფიულ ტექსტს და „ანდერძს“ ერთიან კონტექსტში მოიხსენებს (გამომცემლები სწორედ ამ კომენტარს ემყარებიან): „ჯერ არს ჳსენებად შუენიერისა და ღიდისა ახოვანისაჲ, რამეთუ ესე არიან სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი და ანდერძი მისისა სასოებით შევედრებულისა და ამათ სიტყუათა შესაკადრებელად ღირსე ბისაებრ მთქუმელისაჲ“ საჭიროა გაფიქვალისწინოთ, რომ დამოწმე-

<sup>1</sup> ი. ფორძანა, ქრონიკები, II, 1897; აბუსერისძე ტელი, ბოლოკუბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგეოგრაფიული მარტიანი, 1233 წ., ტექსტი, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, 1941; ტელ აბუსერისძე, ცხოვრება ქეთხუროისა ბასილისა, გამოსაცემად მოამზადა და გამოცულეჲა დაურთო ა. ხახარულაძემ, ბათუმი, 1982; აბუსერისძე ტელი, თხზულებანი, 1998.

<sup>2</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, კოიფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I, გვ. 292; აბუსერისძე ტელი, თხზულებანი, გვ. 298-299.

ბულ კომენტარში გამონათქვამი „ამათ სიტყუათა“ გულისხმობს მწერლის სხვა რედაქტორულ შენიშვნებსაც. იგივე სიტყვები მეორდება „ანდერძში“ („მე, ღირსებისაებრ ამათ სიტყუათა კადნიერი“). ასე რომ, „ანდერძი“ მიერთვის როგორც „სასწაულებს“, ასევე ხელნაწერში არსებულ ყველა შენიშვნას და განმარტებას, რომლებიც ტბელ აბუსერისძეს ეკუთვნის<sup>1</sup>.

გარდა ამისა, „ანდერძი“ შინაარსობრივად დამოკიდებულია „სასწაულთა“ ტექსტის და ხელნაწერის მონაცემებზე. მაგალითად, „ანდერძის“ დასაწყისში, – „უწყი, რამეთუ არა ვარ შესარაცხაფი ღმრთიე მონიჭებულისა კეთილისაჲ, გარნა ამათ წმიდათა ღმრთისათა მეოხებამან მეცა მომანიჭოს სრულ-ქმნაჲ ჩემგან კადრებულისა ხიხათა ეკლესიისაჲ“, ± სიტყვები „ამათ წმიდათა“ გულისხმობს აგიოგრაფიული ტექსტის დასკვნით ნაწილს („დიდებაჲ მადიდებელსა წმიდათა მისთასა“). ხოლო წინადადებაში, – „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დაგსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა“, – იგულისხმება მთლიანად ხელნაწერი.

„სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნის“ ტექსტში კი, არ მოგვეპოვება ისეთი ფრაზა, რომელიც ხელნაწერისეულ ინტერტექსტზე მიგვანიშნებდეს. ამ მხრივ, „სასწაულნი“, „ანდერძისაგან“ განსხვავებით, სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებს.

ამასთანავე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აბუსერისძის ლიტურგიკულ კრებულში გაბნეული რედაქტორული შენიშვნები და კომენტარები „ანდერძის“ არსებობის აუცილებლობას ქმნიან. სხვაგვარად ჩვენთვის უცნობი დარჩებოდა, თუ ვინ იყო ხელნაწერის შემდგენელი და რედაქტორი. A - 85 ხელნაწერში „ანდერძი“ ერთადერთი ადგილია, სადაც ავტორი თავის ვინაობას გვიმხელს და წერს, რომ ის იყო

<sup>1</sup> ტბელ აბუსერისძის რედაქტორული შენიშვნები ცალკეა თავმოყრილი და შესწავლილი გ. კიკნაძის, მ. ქავთარიას და რ. ჩაგუნაძის წიგნში.

„აბუსერისძე ტბელი, ძე ერისთავთ-ერისთავისა ივანესი“

„ანდერძში“ ავტორი გვამცნობს: „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დაესხენ ამით ყოვლითა შემატებულითა და ვირე ცოცხალ ვარ, ოდესცა მისიდან, მე მოვიწმარებ“. აქ საუბარია ხელნაწერის სტრუქტურაზე, რომ კრებული შეიცავს საგალობლებს („ძლისპირნი და სტიქარონნი“) და „შემატებულ“ ტექსტებს, რომლებშიც იგულისხმება ტბელის და მისი ძმების (აბუსერისა და ვარდანის) შეკვეთით დაწერილი თხზულებები, ასევე სხვა ტექსტები, მის შემოქმედებასთან ერთად. მოცემული სიტყვები ნათელი ხდება ისიც, რომ ტბელ აბუსერისძე სასულიერო პირი იყო, რადგან იგი სიცოცხლის ბოლომდე მოიხმარდა ხელნაწერს, რომელსაც „სტურგიკული დანიშნულება გააჩნია.“

„ანდერძის“ მიხედვით, ტბელ აბუსერისძე ლიტერატურულ-მწიგნობრულ მოღვაწეობასთან ერთად მშენებლობასაც ეწეოდა ხიხათა (დღევანდელი ხირხათის მთის) ძნელად მისადგომ ციხესიმაგრეში, სადაც წმ. გიორგის ეკლესია აუგია. ამ საქმეს იგი შედგომია თავისი ძმების, ერისთავთ-ერისთავების აბუსერისა და ვარდანის დავალებით. მანამდე აბუსეროსძეებს მრავალი „უცალობისგან და დამართებისგან“ ვერ მოუკლიათ. გარდა ამისა, გარკვეული დროის განმავლობაში ხიხანი მტრის ხელში ჩავარდნილა და იმდენად დიდი ყოფილა ციხესიმაგრის მნიშვნელობა, რომ მისი გამოსხნით საქართველოს მეფეები („ღმრთის სწორი პატრონები“) დაინტერესებულან. მეფეთა დავალებით ხიხანი მტრისაგან ტბელის პაპებს – აბუსერსა და სანანოს გაუთავისუფლებიათ. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა და მათ ზეციურ მფარველად წმ. გიორგი მოვლენია – „წმიდაჲ იგი ახოანი გიორგი. დამით ვარსკულავის სახედ გამოუწნდის და ჳმა-უყვის, ვითარცა ჳორციელმან და ასწავის გზად შესასულელი. ესრეთ დაიცვნა ამას საზარელსა კლდესა ჩაჭრისაგან და გუბოძნა ხიხანი ჳელთავე“ – წერს აბუსერისძე.

ამ ამბების შედეგად ხიხანზე „ერისთვის“ განკუთვნილი სამყოფელი („სახლოვანი“) დაიშალა, რასაც თან დაერთო ეკლესიის სიმცირე, რის

გამოც მრევლის გულმოდგინებამ იკლო ამიტომ ტბელ აბუსერისძეს გაუთვალისწინებია „მამულის“ მოსახლეობის, კერძოდ, ხიხათა ძირში მდებარე სოფლის, ბაკოს მკვიდრთა რჩევადმუდარა და, ეკლესიის გაფართოებასთან ერთად, „მრავალი სახლოვანიც“ აუშენებია. ამით ხიხათა ეკლესია „მამულის კაცთა“ მიმართ მზრუნველობის გამოხატულებად იქცა, სადაც ყოველ გიორგობაზე ერისთავთ-ერისთავების გვარის ხსენება უნდა აღსრულებულიყო: „ველ-ვყავ შენებად ეკლესიისაჲ, სალოცველად გარდასულთა ჩუენთა და ცოცხალთა და მშობელთა ჩუენთა და საჯსენებელად ჰაზისა ჩუენისა აბუსერისსა და ძმისა მისისა სანანოღსთჲს“.

ტბელ აბუსერისძე ეკლესიის მშენებლობის განმავლობაში ხშირად ლიტანიობდა ხიხათა წმ. გიორგის წინაშე, რომელსაც მფარველობას და ხვარაზმელთა მძვინვარებისგან „სრულისა საქართველოს“ ხსნას ვეღერებოდა<sup>1</sup>.

ეკლესიის მშენებლობის დროს „მრავალთა კაცთა ფათერაკთაგან წსნა“ თუ „სრულისა საქართველოს“ მტერთაგან გათავისუფლება აბუსერისძისთვის სასწაულებია, რომლებსაც იგი გულმოდგინებით ჩამოთვლის: „ქვისა, დასაცემელად განმზადებულისა, მრავალთა არღარა მოსაწყყედელად გარეუკუქცევანი; და წამოქცეულთა კლდეთაგან მშუდობით წსნანი მრავალთანი; და ზარის განსაჯდელად მალალსა და ტიალსა ადგილსა შთასაჭრელად განმზადებულთა კაცთა და ფერჯჩაცთუმილთა აღმოყვანებით წსნანი; და მრავალთა მუშაკობით მოქმედთა, ქვისმქნელთა და თანაშემწეთა მათთა, ხანგძლად სასნეულოდ განმზადებულთა, მეცსეულნი კურნებანი; და კაცის მჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოდსათა წინაშე მისსა ლიტანიობითა“. აბუსერისძის თხზულებათა სრული კრებულის ავტორები „ანდერძის“ მოცემულ მონაკვეთს „წმ. გიორგის უახლეს სასწაულებს“ უწოდებენ და მას განიხილავენ როგორც აგიოგრაფიული თხზულების ბოლოსიტყვაობას<sup>2</sup>.

<sup>1</sup> აბუსერისძის თხზულებათა სრული კრებულის ავტორთა აზრით, ხიხათა ეკლესიის წინ ლიტანიობდა არა ტბელი, არამედ მისი ძედა მონაზონი ეპატერინე აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 305.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 299.

ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ტბელ აბუსერისძეს ლიტანიობის დროს ეკლესიის გარეთ „გაპყავდა“ წმ. გიორგის ხატთან ერთად, მისთვის დედას დაუტოვებია – „ანდერძობით, მფარველად ორისავე ცხოვრებისა“ მწერალი მოგვითხრობს, თუ როგორ სასოებდა მისი დედა ღვთისმშობელს „გამოუთქმელითა სარწმუნოებითა და სამარადისოდთა წინაშემდგომარეობითა და დაუღუშებელითა კითხვითა წმიდისა სახარებისადათა, ფსალმუნებითა და ლოცვითა“.

ღედისადმი მიძღვნილი მონაკვეთი „ანდერძის“ ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწილია. ტბელის ამგვარ განსაკუთრებულ ყურადღებას მისი დედის უაღრესი მორწმუნოება განაპირობებდა, დიოთვალ-დიოთვალი ხათუთა ქმრის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ მონაზვნად აღკვეცილა, სახელი ეკატერინე მიუღია და მთელი არსებით ჩაღრმავებია რელიგიურ ცხოვრებას. მისი მეუღლე, ტბელის მამა, ერისთავთ-ერისთავი ივანე „თურქთა ჳელთა აღესრულა“<sup>1</sup>.

აბუსერის, ვარდანის და ტბელის გარდა, საეკლესიო ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმულა მონაზონ ეკატერინეს ქალიშვილი – დიოთვალ-დიოთვალი ვანენი, „რომელმან ეკლესიად აღაშენა წმიდისა იოვანე მასარებლისადა და ღმრთისმეტყუელისადა“. ვანენის მიერ აშენებული ეკლესია აბუსერისძეთა „სამკვდრებელი“ გამხდარა<sup>2</sup>.

რაც შეეხება ხიხათა ეკლესიას, მისი შემკობისთვის უზრუნია ერისთავთ-ერისთავს – აბუსერს. ტბელის მეუღლეს, ბაგულოს კი მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია მშენებლობის გასრულებაში.

<sup>1</sup> ლ. მუსხელიშვილი თ. ვორდანისა აზრს იხიარებს და თვლის, რომ ივანე უნდა გარდაცვლილიყო 1206 წელს, ბასიანის ბრძოლაში – იხ.: მისი წიგნი, გვ. 22. განსხვავებულ მოსაზრებას გუთავაზობს ა. სხარულიძე – იხ. მისი „ნათელი დაუღამებელი“. ბათუმი, 1979, გვ. 15-16.

<sup>2</sup> ვანენმა ეკლესია ააშენა და „აღავსო საწყაული კეთილი“ - გვიჩვენებს ტბელი. ერისთავთ-ერისთავ აბუსერისძეთა „სამკვდრებულ“ ეკლესიაში უნდა იკვლიოს ხმებოდეს სხალთის ტაძარი, ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი. შეკლევარები მას XII-XIII საუკუნეებით ათარიღებენ. მ. თამარაშვილის ცნობით, სხალთა იოანე მახარებლის სახელსუ იყო აგებული და ერთ დროს წარმოადგენდა ეპარქიის ცენტრს (იხ. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესიის ისტორია დასაბამიდან დღემდე, გვ. 469). ამგვარივე შინაარსის ცნობას გვაწვდის დ. ბაქრაძე წიგნში: „არქეოლოგიური მოგზაურობა გურჯისტანსა და აჭარაში“. ბათუმი, 1987, გვ. 57.

„ჩემთა შეილთა დედამან ბაგულ ჰაშტად წააგო საშენსა შინა წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისსა და მას და მისთა შეილთაცა აწესნებლით – რუსუდანს, ზაქარიას, ივანეს, ონოფრეს და აღსაართანს. და თულა რად მიუცეს, სხუასა ანდერძსა შინა აღვსწერ, თუ წადილი იყოს ღრმთისად და წმიდისა მთავარმოწამისად – და ორნი ჩვილნი ქალაყრმანი ჩემნი მარჩბიენი მიიწოდნა ზენამან სუფევამან“ – „ანდერძის“ მოყვანილი ადგილი მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს<sup>1</sup>. აქედან ირკვევა, რომ ტბელს და მის მეუღლეს ჰყოლიათ შეიდი შეილი, მათ შორის ორი, ტყუპი ქალ-ვაჟი, ადრე გარდაცვლილან. გარდა ამისა, მწერალი არ ჩანს მეუღლესთან გაყრილი, რასაც ადასტურებს სიტყვები: „თულა რად მიუცეს, სხუასა ანდერძსა შინა აღვსწერ“. მეტიც, ბაგული მას გვერდში უდგას და ხიხათა ეკლესიის მშენებლობისათვის საკმაოდაც გარჯილა („ჰაშტად წააგო“). თვით ეს ფაქტი საგულოვებელს ხდის, რომ მწერალი მიეკუთვნებოდა თეთრ სამღვდელეობას. ტბელ აბუსერიძის შემოქმედების სასულიერო-სამოძღვრებო ხასიათთან ერთად, ამის დასტურია „სასწაულის“ და „ანდერძის“ ტექსტებში განმეორებული ავტორისეული ფრაზა: „იე, ღირსებისაებრ ამათ სიტყუათა კადნიერი“, რითაც, ჩვენი აზრით, აბუსეროძეს სურს ხაზი გაუსვას მღვდლის წოდების მაღალ ღირსებას (სხვათა შორის, იგივე თემა ვითარდება აგიოგრაფიულ ტექსტშიც, როცა ალავერდის მთავარმოწამის ჯვარი მხოლოდ მღვდელს „ემორჩილება“). მაგრამ, როცა საქმე პიროვნულს შეეხება მწერალი უკიდურეს თავმდაბლობას იჩენს: „მე, არა ღირსი და შეურაცხი შესაძრწუნებელთა ამათ სიტყუათად და სიყუარულისათჳს იბულებული და არასაკადრებელად ვერმომთმინე, აბუსერიძე ტბელი“.

„ანდერძის“ მნიშვნელოვანი ნაწილია სულთა მატიაზე, რომლის შესახებ ნაწილობრივ უკვე ითქვა. იგი ხიხათა ეკლესიის მშენებლობის

<sup>1</sup> ლ. მუხხელისშვილის აზრით, „ანდერძის“ დაწერის დროს ტბელი ოჯახთან გაყრილია, ხოლო მისი მიუღწევი – იმეორედ გათხოვილი (ლ. მუხხელისშვილის დასახელებული წიგნი, გვ. 14). ი. სიხარულიძის აზრით, ტბელ აბუსერიძეს ბაგულის მეორე ქმარია. პირველი ქმრისგან ბაგულს შექენია 5 შვილი, ტბელისგან კი – ტყუპი ქალ-ვაჟი (ა. სიხარულიძე, ტბელ აბუსერიძის, XIII საუკუნის მწერალი, გვ. 29-30). რ. ჩაგუნაია და მ. ქაეთარია კი მიიჩნევენ, რომ ტბელი ალექსიტილია ბერად და ვაცილებულია ოჯახს – იხ. აბუსერიძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 80-81.

ამბების შემდეგ იწყება და წარმოადგენს ტიპიურ „მოსახსენებელთა წიგნს“ აბუსერისძეს „ანდერძის“ ორივე ნაწილი ერთ, განუყოფელ მთლიანობად ჩაუფიქრებია, რასაც ადასტურებს ის, რომ ხიხათა ეკლესიის მშენებლობაში მოხსენებულ პირთა სახელები სულთა მატრიანეში აღარ მეორდება<sup>1</sup>. ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად, „მოსახსენებელთა წიგნი“ გამოცალკევებულია „ანდერძის“ პირველი ნაწილისაგან და მასში საგანგებოდაა ჩამოთვლილი აბუსერისძეთა ფეოდალური სახლის ყველა წარმომადგენელი. ისინი მოიხსენიებიან გარკვეული იერარქიის დაცვით. მწერალი თანმიმდევრობით ჩამოთვლის მშობელთა დიდ ოჯახს. აბუსერის ოჯახის წინ ასახელებს თავისი ოჯახის წევრებს, ვარდანის ოჯახის წინ კი – გარდაცვლილებს.

მოცემულ თანმიმდევრობაში ტბელ აბუსერისძეს შიგადაშიგ კორექტივები შეაქვს: ძმისწულ გრიგოლს ასახელებს თავის ოჯახთან ერთად, მაგრამ თხოულობს მის მოხსენიებას მათ „სამთავე თანა“ (იგულისხმება აბუსერი, ვარდანი, ტბელი); გარდაცვლილებს ვარდანის ოჯახის წინ ასახელებს, თუმცა იქვე წერს: „ესე უწინარეს ჯერ იყო“, ესე იგი, საჭირო იყო მათი პირველ რიგში მოხსენიება.

„მოსახსენებელთა წიგნი“ სტრუქტურულად მთლიანი ტექსტია, იგი სრულყოფილებას ბოლომდე ინარჩუნებს იმის მიუხედავად, რომ ხელნაწერის ამ მონაკვეთში ამოთხეკილია 22 სტრიქონი. ამონაშალის წინ ტბელ აბუსერისძე გვაცნობს ხელნაწერის კრებულის შედგენისათვის მის მიერ გაწეულ სამუშაოს. ამონაშალის შემდეგ მოცემულია მწერლის ოჯახის (მეუღლის და შვილების) მოსახსენებელი.

ანალოგიური სტრუქტურითაა მოცემული აბუსერის ოჯახის მოსახსენებელი. ტბელი ამ შემთხვევაშიც თავდაპირველად თავისი ძმის მიერ გაწეულ ღვაწლზე მოგვითხრობს: „პატრონმან ძმამა ჩემმან აბუსერი

<sup>1</sup> ლ. მუსხელიშვილი ხიხათა ეკლესიის მშენებლობისადმი მიძღვნილ მონაკვეთს („უწიო, რამეთუ არა ვარ შესარაცხაეი ღმრთიე მონიჭებულისა კეთილისაჲ... მუნ შინა მისრულთა ხალოცაჲად, კიდრთებისა მათისა ნუგეშინის-საცემელად“) „სასწაულების“ და „ანდერძის“ გარდასაყვედ ნაწილად მიიჩნევდა. შეკვლევარის აზრით, სხვა მხრივ ეს ორი ნაწილი „არაერთარ დამოკიდებულებას ურთიერთობის არ გვიჩვენებენ“ – ლ. მუსხელიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 1. მღრ. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 298-311, 321-322.



მრავალნი კარგი ხატნი დაასუენნა ღიდრუნანი: ერთი წმიდისა გრიგოლი პართეველისაჲ და მეორე წმიდისა დიმიტრისი, მესამე წმიდისა გიორგისი, მეოთხე წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ... მეხუთე ხატი საღრმთოჲსა პიროსაჲ და მეექუსე ყოვლად წმინდისა ღმრთისმშობლისაჲ ჩკლელი". შემდეგ ითხოვს აბუსერის მიუღწევის მოხსენიებას.

„ანდერძის“ დანიშნულება და სპეციფიკა გარეშე პირისაგან ჩარევას გამორიცხავს. ამდენად, ტექსტიდან 22 სტრიქონის ამოღება მხოლოდ ტბელ აბუსერისძეს შეეძლო დაახლოებით შეიძლება კიდევ „ანდერძის“ გაუქმებული მონაკვეთის შინაარსის დადგენა. კონტექსტიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ მწერალი აქ ვრცლად საუბრობდა მის მიერ შედგენილი ხელნაწერის შესახებ და დასაგულგებლად („დასაგულგებლად განაღამცა“) ჩამოთვლიდა შეტანილი თხზულებების სიას. ამგვარი შინაარსის ტექსტი (ზანდუკი) შეტანილია ხელნაწერში და მოთავსებულია „ანდერძის“ შემდეგ<sup>1</sup>. ზანდუკის გადაადგილებით ტბელ აბუსერისძეს შეუძლებია ღვთისმსახურების დროს წასაკითხი ტექსტი, თანაც თავისი დეაწლის შესახებ „დადუმების“ ხარჯზე არ არის გამორიცხული, რომ გადაფხევილ 22 სტრიქონში აბუსერისძე საუბრობდა ხელნაწერი კრებულის და ხისათა ახლად აშენებული ეკლესიის ურთიერთმიმართების შესახებ<sup>2</sup>.

„მოსახსენებელთა წიგნს“ ანდერძისთვის დამახასიათებელი ყველა

<sup>1</sup> ზანდუკის სრული ტექსტი გამოცემულია – აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 73-75.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე იცნობდა A-85 ხელნაწერის ზანდუკს, რომლის მიზანმიმართულ დაჯერდობითაც გამოიქცა ეარაული „სამთა იოვანეთა“ პიზნოგრაფიული კანონის ავტორის შესახებ და დასაოთაურა აბუსერისძის „ახსკალურ-კალენდარული თხზულება („ქრონიკონი სრული მისითა საუნქებლითა და განგებითა“) – იქვე, გვ. 154, 186, 322.

გარდა ამისა, როგორც ჩანს, კ. კეკელიძისთვის ცნობილი იყო A-85 ხელნაწერის დენის შედგენის თარიღი – 1172 წელი. ამ წელს იღებდა იგი „მწეალებელთა ყოველთა შერუნებისა“ გაღობის დაწერის ქვემო ქრონოლოგიურ საზღვრად – იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, გვ. 244.

აღნიშნული საგალობლის ავტორის კინაობა დღემდე დაუდგენელია. მისი უძველესი ნუსხა კი დაკუთვლია A-85 ხელნაწერში, სადაც ტექსტს ახლავს შინაწერი: „ესე „გალობანი მწეალებელთა ყოველთა შერუნებისანი“ ითქუნნ განქიქებასა მათისათვის, უკუთუ ყიხმე გენებოსს. სირქელსა კერიაკესა წმიდათა მარხეთასა“. საგალობლის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, იტრუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, გვ. 263-265.

რაც შეეხება A-85 ხელნაწერის დენას, შესაძლოა, იგი რაიმეგოი უკავშირდებოდეს იკონოსის ტაძარს, რომელიც ასევე 1172 წლით თარიღდება.

<sup>2</sup> აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 322

ატრიბუტი გააჩნია ტბელ აბუსერისძე ხშირად იმეორებს სიტყვებს: „გუა-  
 წსენებლით“, „დაგულოცევლით“. იგივე თხოვნა „ანდერძის“ დასასრუ-  
 ლსაც მეორდება („და ვითარცა სოფლისა დასასრული მოგვწო-  
 დებდეს, გინა თუ ცოცხალ ვიყუნეთ რომელნიმე სადამდინცალა, წა-  
 კითხვითა ამისითა ყოველთა დღესასწაულთა წმიდისა გიორგისთა  
 დაგულოცევლით“), რის შემდეგაც მწერალი მღვდლებს განუმარ-  
 ტავს, თუ როგორ უნდა დაელოცათ მოხსენიებული პირები: თავდა-  
 პირველად ეკლესიაში უნდა წაკითხულიყო „ანდერძის“ ტექსტი –  
 ტბელის თხოვნით, ეს უნდა გაეკეთებინა კარგ მკითხველს („უკუეთუ  
 ვინმე მღვდელი არ კარგი მკითხველი დახუდებოდეთ... კარგსა მკითხ-  
 ველსა წაკითხვებლით“). „მოსახსენებელთა წიგნის“ წაკითხვის შემ-  
 დეგ კი მღვდელს „ერისაგან ამინის მთქუმელობითა“ უნდა წარმოეთ-  
 ქვა: „ამათ ყოველთა ზემოწსენებულთა, მეოხებითა წმიდისა მთავარ-  
 მოწამისადათა და ყოველთა წმიდათადათა, მიუტევენ, მეუფეო იესუ  
 ქრისტე, ღმერთო ჩუენო, თანაარსო მამისაო და ყოვლად წმიდისა  
 სულისაო“. ხსენება უნდა აღსრულებულიყო წმ. გიორგის ორივე  
 დღესასწაულზე: 23 აპრილს და 10 ნოემბერს, – „ცისკრად“.

აბუსერისძეთა ხსენება დაწესებული ყოფილა ასევე ჰალესტინის  
 ჯვრის მონასტერში, სადაც 28 ოქტომბერს სრულდებოდა „აღაპი და  
 წირვაჲ აბუსერისძისა ივანესი“. მკვლევართა ვარაუდით, აღაპის ივანე  
 აბუსერისძე უნდა იყოს სახელოვანი მწერლის მამა<sup>1</sup>.

„კლარჯულ სვინაქსარში“ (A-97, XI საუკუნე) შემონახულია საკუ-  
 თრივ ტბელ აბუსერისძის აღაპი. ხელნაწერის მარხვანის ნაწილში  
 მეექვსე კვირიაკის დასაწყისში იგი მიუწერიათ XVI საუკუნეში:  
 „ამასვე დღესა აღაპი ტბელისა აბუსერისძისაჲ. ამის შემცვალებუ-  
 ლიცა კრულია პეტრე მოციქულისა მადლითა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ლ. მუსხელიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 26; ე. მეტრეველი, მასალები იერუსა-  
 ლიმის ქართული კოლონიის ისტორიისთვის (XI-XVII სს.), თბ., 1962, გვ. 83, 129-130.

დრტილის კრემის მონაწილე გრიგოლ აბუსერისძე მოიხსენება ათონის მონასტრის  
 აღაპებში - ლ. მუსხელიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 19-20.

<sup>2</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა,  
 ტ. I, გვ. 446; აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 82.

1. „სასწაულნი ზმოდისა მთავარმოწამისა ზიორბინნი“ დამოუკიდებელი მხატვრული ტექსტია, რომელიც წარმოადგენს კომპოზიციურად მთლიან თხზულებას. იგი შედგება შესავალი ნაწილისაგან (წინასიტყვაობა) და ერთიანი სიუჟეტის მქონე ძირითადი თხრობისგან.

აგიოგრაფიული თხზულების ძირითადი თხრობა შეეხება შუარტყლის წმიდა გიორგის ეკლესიის მშენებლობას. თხზულების მთავარი პერსონაჟები ერთი ოჯახის წევრები არიან: ტაძრის მშენებელი ბასილი (იგივე ბოლოკ-ბასილი), მისი შვილი ივანე, რომელსაც მწერალი იოვანეს უწოდებს, და შვილიშვილი - მღვდელი იოსები. ძირითადი თხრობა იწყება შემდეგი სიტყვებით: „და იყო ესრეთ, რამეთუ ესე ბასილი იყო ქვითხუროდ, რომელსა ეწოდების გალატოზი“. მასში ჩართულია ორი „მოთხრობილი“ (ტყვეთა გამოხსნის სასწაულები ალავერდის და ცხმორისის წმინდა გიორგის მიერ). ამ ეპიზოდების შემდეგ სიუჟეტი გრძელდება: „ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ“. თხზულების ბოლოს კი საუბარია იოსების გარდაცვალებაზე, რომელიც წმ. გიორგის ტაძრის სტოის ქვეშ დაუკრძალავეთ „სათლავსავე პაპისა და მამისა თუსისა“. ტექსტის დასასრული შეესაბამება აგიოგრაფიულ შაბლონს: „დაღაცათუ არა შემძლებელ ვართ ჯეროვნად დიდებისმეტყუელებასა ჩუენტუს ვნებულისასა, გარნა დიდებაჲ მადიდებელსა წმიდათა მისთასა, რომლისა თანა მამასა შუენის დიდებაჲ ცხოველისმყოფელით წმიდით სულითურთ მიუკუნისადმდე, ამინ“ (41).

წინამდებარე წიგნში პირველად ქვეყნდება „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ დამოუკიდებელი სახით, ხელნაწერის „ანდერძის“ დაურთველად. ჩვენი აზრით, ეს ხელს შეუწყობს ტექსტის უდავო მხატვრული ღირსების წარმოჩენას<sup>1</sup>.

<sup>1</sup> პირველმა გამოცემულმა - თ. ჟორდანიამ თხზულებას უწოდა: „ისტორიული წერილი აბუსერიისის ტბელისა“ (იხ. ქრონიკები, II, გვ. 111). „სასწაულთა“ ტექსტით უმთავრესად ისტორიკოსების დაინტერესება, სწორედ ამით უნდა აიხსნას.

აბუსერისძის თხზულებათა სრული კრებულის ავტორები ანალოგიურ მოსაზრებას გეთავაზობენ ხელნაწერში დაცული ტექნიკური ნიშნების შესწავლის საფუძველზე: „სასწაულნის“ და „ანდერძის“ ტექსტში გამოყენებულია ტექნიკური ნიშნების (ჩიტისთვალების) მთელი სისტემა, რომელთა საშუალებითაც „სასწაულნი“ ერთდროულად, როგორც კრებულის ორგანულ ნაწილად, ისე სავსებით დამოუკიდებელ თხზულებად არის წარმოდგენილი. ჩიტისთვალებთან ერთად აშიაზე მოყვანილი მითითება „ამას ზემოდთსა სასწაულთავე თანა აღსწერდეთ წმიდისა გიორგისთა, ვისცა გენებოს“ უკვე თავისთავად აფიქსირებს თხზულების საზღვრებს მისი ცალკე გამოყოფის შემთხვევაში. ამავე დროს ის გადაშვების ნებასურვილს ანდობს „უახლეს სასწაულებთან“ დაკავშირებული გარდამავალი ნაწილის თხზულებაში დამატებად შეტანა-არშეტანის საკითხს“<sup>1</sup>.

ტბელ აბუსერისძეს A-85 ხელნაწერში იძლევა აგიოგრაფიული თხზულების ორგეარ დასათაურებას: „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ (ტექსტის წარდგინება-სათაურში და ბოლო აბზაცში) და „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“ (ზანდუკში). ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ პირველს, იმ მოსაზრებით, რომ წმ. გიორგის „მთავარმოწამობა“ თხზულების სახისმეტყველებაშიც ჰპოვებს ასახვას<sup>2</sup>.

თარგმანისთვის უფრო შესაფერისად ჩავთვალეთ ზანდუკისეული დასათაურება.

2. „გალობანი ჳმიღათა იოზანათა“ ოთხი ნუსხით არის ჩვენამდე მოღწეული (A-85, A-1040, ქუთ. 22, ქუთ. 94). მათგან მნიშვნელოვანია XIII საუკუნის ნუსხები – A-85 და ქუთ. 22. A-85 ხელნაწერს ავტოგრაფიული ნუსხის მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად ამისა, მასში ტბელ აბუსერისძის ტექსტი წარმოდგენილია გარკვეული ხარვეზებით. მაგალითად, გალობა „ღამითგანსას“ მეორე დასდებელში გამოტოვებულია ერთი ტაუბი („და ღმრთივ მღელვარედ“), რომელიც მოცემულია ქუთ. 22 ნუსხაში:

<sup>1</sup> აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 321.

<sup>2</sup> თხზულების სათაური „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ სამეცნიერო ლიტერატურაში კ. კეკელიძემ შემოიტანა – იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 330.

„ღმრთივე აღმომდინარედ წყაროდ  
ღმრთივე ბრწყინვალისა ქადაგებისად,  
და ღმრთივე მოძრავად მდინარედ  
ღმრთივე სწავლულისა ღმრთისმეტყუელებისად,  
და ღმრთივე მღელვარედ  
ზღუად ღმრთივე წმოვნისა  
მოძღურებისად ვიცნობთ სამთა სეხნათა“.

გადამწერის შეცდომით უნდა აიხსნას იოანე ნათლისმცემელთან დაკავშირებით ეპიტეტის – „უფლებული (sic) ვნებათაგან“ გამოყენება გალობა „კურთხეულ არსას“ მეორე დასდებულში (A-85), სადაც „სამი იოვანე“ ანგელოზთა მეორე იერარქიის წევრებთან არიან შედარებულინი. ქუთ. 22-ში ეს ადგილიც გამართულია:

„და მეორეთა  
შორის უფლებად, ვითარცა  
უ უ ფ ლ ო ს ა ვნებათაგან  
– სიტჳსა წმასა,  
და ძალად – ღმრთისმეტყუელსა,  
ვითარცა ნიშთა  
ძალისა სიმღიდრესა,  
და ჳელმწიფეთა მწყობრად – მოძღუარსა“.

თავისთავად, ეს თაქტები კიდევ ერთი საბუთია ტბელ აბუსერიძის უშუალო კავშირისა გელათის საფანესთან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქუთ. 22 ხელნაწერი აბუსერიძის საგალობლით იწყება.

A-85 ხელნაწერში საგალობელს დართული აქვს „ღმრთისმშობლისანი“. ისინი არ არიან ორიგინალური, ამიტომ გალობათა ბოლოს მხოლოდ მათი დასაწყისი სიტყვებია მოყვანილი. გაუგებრობას იწვევს მეექვსე გალობის „ღმრთისმშობლისაჲ“ – „ქრისტეს ღმრთეებაჲ“. დღეისათვის უკვე გამოცემულ „ძლისპირთა“ კრებულებში მის ნაცვლად

გვხვდება „ჭ სასწაული, რომელმან“<sup>1</sup>.

უკანასკნელ ღრომდე უცნობი იყო ასევე მეხუთე გალობის („ღამით განსას“) ძლისპირი „სიყუარულისა საკრველთა“. მიკვლეულია მისი ფრაგმენტი<sup>2</sup>.

„გალობანი წმიდათა იოვანეთა“ ორჯერ გამოიცა. ტბელ აბუსერისძის თხზულებათა სრულ კრებულში (1998 წ.) საგალობელი გამოქვეყნდა მხოლოდ ერთი ნუსხის (A-85) მიხედვით. ჩვენ ტექსტს ვაქვეყნებთ XIII საუკუნის ორივე ნუსხით (A – A-85, B – ქუთ. 22), რითაც ვიმეორებთ 1992 წლის გამოცემას.

---

<sup>1</sup> ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მისხედვით, გამოიცა და გამოკვლევა დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1971; ნეემირბული ძლისპირნი (ხელნაწერი A-603), გამოიცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ, თბ., 1982, გვ. 577.

<sup>2</sup> აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 155-156.  
ქუთ. 22 ხელნაწერში ტბელ აბუსერისძის საგალობელი „ღმრთისმშობლისათა“ მითითების გარეშეა მოცემული. გამოჩაყლისია მეცხრე გალობა „ადიდებდითსა“, სადაც „ღმრთისმშობლისაჯ“ ჩაუწერიათ ძლისპირის ადგილზე. ამის მიზეზია ის, რომ ძლისპირი „ნუ მტირ მე, დედაო“ აბუსერისძის კიმნოგრაფიულ კანონში ერთადერთია, რომელსაც ირმოლოგონებში ახლავს სამი „ღმრთისმშობლისაჯ“.

## სასწაულნი ვჰიღისა მთავარმოწამისა გიორგისნი\*1

1. ვინადთგან თანაარსმან სიტყუამან, სიბრძნემან და ძალმან თანადაუსაბამომან დაუსაბამოდსა მამისამან არავე აკმაა შობად ქალწულისაგან უბოწოდსა და გუემსგაესა, თუნეირ ცოდვისა, განგებულებითა და ჯერ-ჩინებითა სულისა წმიდისადთა, რომელი გამოვალს დაუსაბამოდ თანაარსებით დაუსაბამოდსა მამისაგან. და გამოიცადებოდა ეშმაკისაგან სიტყუად ღმრთისად, კაცქმნილი ნუესით, და იენო ჩუენთუს სიკუდილითა ჯუარისადოა, რომლითა განიკურნა ცთომილებად ხისამიერი, და მოგუენიჭა უკუდავებად ცხოველსმყოფელითა აღდგომითა მისითა, რომლითა დაითრგუნა ეშმაკი დასითურთ მისით. ამანვე წმიდანი თუსნი, სათნო ყოფილნი ღმრთეებისა მისისანი, ცხრანივე დასნი წმიდათა ანგელოზთანი და მეათენი კაცთანი, – ჰირველსა სჯულსა შინა: მამადმთავართა და წინასწარმეტყუელთანი, ახალსა შინა: მოციქულთა და მღვდელთმოდღუართანი, მოწამეთა და წმიდათა მამათა და დედათანი, – განაჩინნა მეოხებად ჩუენთუს, თანა წმიდასავე ქალწულისა, საკუთრად მშობელსა მისსა, და ყოველთა ნაშობთა უმეტესსა თავადსა იოვანეს, ქადაგსა სიტყუსა ღმრთისასა, წინამორბედსა და ნათლისმცემელსა.

2. და ამათსაცა სახელსა ზედა აღეშენნეს ეკლესიანი, ერთეკლესიად წოდებულნი, ვითარცა აღუთქუა პეტრეს, ვითარამედ: „შენ ზედა აღვაშენო ეკლესიად ჩემო“<sup>1</sup>, და შემდგომითი-შემდგომად წმიდათა მისთა;

3. და დიდსა მას ახოვანსა და მთავარსა მოწამეთასა გიორგის, – „რომელმან აჯსენოს წმიდად სამებად შენ მიერ ჩემდა მოძარბითა მეოხებითა

\*1 ხელნაწერში სათაურად მოცემულია შემდეგი კომენტარი: „ჯერ-არს კსენებად შუენიერისა და დიდისა ახოვანისაჲ, რამეთუ ესე არიან სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი და ანდერძი მისისა სასოებით შეუედრებულისა და ამით სიტყუათა შესაკადრებლად ღირსებისაებრ მოქუმელისაჲ“. ზანდუკში გვაქვს სხვაგვარი დასათაურება: „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“.

<sup>1</sup> მდრ.: მათე 11.11, ლუკა 7.28.

<sup>2</sup> მათე 16.18.

და სახელსა შენსა ზედა აღშენებთა ეკლესიისაგთა და აღმართებთა ჯუჲ-  
რისა გინა ხატისაგთა და გინა სხუთა შესაწირავითა, მსგავსად სარწმუნო-  
ებისა მათისა, მდიდართა და გლახაკთა, კაცად-კაცადმან ძალისაგებრ, ქურო-  
ვის მწულოლებით რომელმანმე წელთგანპყრობით, რომელმანმე ცრემლით  
და მწურვალედ თაყუანის-ცემით, მას აღესრულოს ყოველივე თხოვად  
ორისავე კერძოდსაგო და თავისაცა თვისსათუს გინა სხუათათუს“, – რომ-  
ლისათუს არს მიზეზი სიტყუსა ამის ჩემისაგ.

4. რომელმან სუეტი იგი ქუროვისაგ მიითუალა ტაძარსა შინა თუსსა,  
ესერა ჟამთაცა ამით ჩუენთა შინა ერთსა ერისაკაცთაგანსაცა ვისმე აღაშე-  
ნებინა ეკლესიაგ მისი გამოცხადებითა თუსითა დიდებულითა და საკურვე-  
ლითა ამან წმიდამან მოწამემან გიორგი, ქვისაგან და კირისა და თუნიერ  
მისსა ვინცა წელყვის შეწვენად, ქვისა გინა სხუსა რადსმე ნივთისა არა  
აქუნდის ყოვლადვე შეძლებად ძრვისაგ, და შერისხვით აჩუენის ოდესმე  
ძილსა შინა და ოდესმე დღისით და ცხადად. და უკუეთუ მხოლოდ ოდენ  
ბასილი მუშაკობდის, თუნიერ ვისისაცა თანაშეწვენისა, რაოდენ გინა მძიმე  
ქვად იტურთის ქვასა ზედა დასასუმელად, რომელი ფრიად მრავალთა კაც-  
თა მიერცა მძიმე არს ტურთვად და თუალით სახილველად საკურველ. და  
სხუთაგან წელ-ყოფით შეწვენასა შინა ვერცა ერთისა კაცისა მიერ  
სატურთავისა შემძლებელ იყვნინა შეძრვად, რაოდენცა მრავლად შეე-  
რბიან. და თუთ დიდი იგი ახოანი თუალითა იხილის მის თანავე მუშაკობად  
ამან ნეტარმან ბასილი და აღწევად ქვისა მძიმისა და ოდესმე თუნიერ მუშ-  
აკობისაცა სწავებით განაძლიერებდის და მისცემდის სასოებასა საკურვე-  
ლისა ამის აღშენებისასა და არცა ღორღისა და კირისა შთასხმად მიუტე-  
ვდის და არცა ვის მოღებად და ზელად ქუშისა კირსავე თანა, თუნიერ  
მისსა.

5. და იყო ესრეთ, რამეთუ ესე ბასილი იყო ქვეთხუროდ, რომელსა  
ეწოდების გალატოზი. და წარვიდა ქუეყანასა სომხითისასა, მახლობელად  
თფილისისასა. და გამოეცხადა დიდი იგი ახოვანი და ჰრქუა: „ნუ გაქუნს  
მოკალეზად მოსარეწელისათუს სიგლახაკისა შენისა და აღმიშენე ტაძარი

\* მარკ. 12.41-44, ლუკა 21.1-4.



ველთა მიერ ოდენ შენთა და ნუმცა ვინ კადნიერ იქმნების მუშაკობად და შეუელად შენ თანა. და უკუეთუ ესე ესრეთ არა აჩუენო გულისმოდინებად, აღვავრო და მოვკლა ყოვლით სახლეულით შენითურთ“. ხოლო ამან ნე ტარმან ბასილი ჰრქუა, რომელსა მახლობელნი მისნი ბოლოკ-ბასილობით უწოდდეს: „ჰ წმიდაო გიორგი, რადმე ვყო საწყალობელმან და ყოვლად უბადრუკმან? პირველად, ვითარ შესაძლებელ არს ჩემთა ოდენ ველთა მიერ აღშენებად ტაძრისა შენისაჲ, რომელი სოფლის დასაბამითგან არაოდეს ვისგან ქმნილ არს? და მე ესრეთ გლახაკსა ნუგეშინის-საცემლად ჩემდა მაქუნდა უცხოებასა მუშაკობად, რადთა მოვირეწო დასარჩენელი სახლეულთა ჩემთაჲ. და მომიტევე, ჰ წმიდაო მოწამეო, რადთა აღვასრულო ველით მუშაკობად ამის უცხოთა ეკლესიისაჲ და ვცოცხლობდე ველთა მიერ ოდენ ჩემთა, სათარველითავე შენითა“.

6. ხოლო წმიდამან კულადცა მრავალგზის აჩუენა და იგივე ჰრქუა მხილებითა შერისხვისა და ამოწყუედისა ქადილისაჲთა: „ისმინე ჩემი, ბოლოკ-ბასილი, და წარვედ უდაბნოსა კლარჯეთისსა, რომელსა ჰრქუან ოპიზაჲ. და მუნ არს ვინმე ბერი მონაზონთაგანი, რომელსა ეწოდების სტეფანე. და არს კაცი იგი უბიწოჲ და წმიდაჲ, რომელი სნეულებითა დიდითა შეპყრობილ არს, და აუთქუ ჩემმიერი კურნებაჲ. და მას უთქს ერთი კერძო კარაული, რომელ არს ჯგორი, და უც რკინაჲცა, და აუთქუ ჩემშიერი კურნებაჲ. და იგიცა მოითხოვე ჯგორითურთ და შექმენ მის რკინისა ჭურჭელნი ქვისსათლელნი ველითავე შენითა, თუნიერ კაცთა შეწევნისა და უღლეულნი წართა შენთანი რომელ არიან, თუნიერ მათსა ნუმცა მოიჭმარებ საზიდავსა სამუშაკოსა ქეიასა, გინა სხუსა რადსმე ნივთისსა და ამით კარაულითა კრებდი ქუშასა და თუნიერ ამათსა სხუად ნუმცა ვინ არს კადნიერ შეუელად შენდა და თანაშეწევნად კაციოგან და პირუტყუადმდე“.

7. და მოიწია ბასილი სახიდ თუსსა, განკურნებული და შეპყრობილი შიშითა დიდითა, მმათა შორის თუსთა და ყოველთა სახლეულთა მისთა. ხოლო მათ ამის ყოვლისავე მათდა მიმართ მომთხრობელი ამის საკურნელებისაჲ ჰგონეს ცნობითა ვნებული განკურნებისა მიერ, ურწმუნო ქმნილთა.

8 და მიიწია რად ბასილი მონასტერსა მას ობიზისასა, სენაკსა ნეტარისა სტეფანესსა, და მიუთხრა მას ყოველივე ესრეთ, ვითარცა პრქუა წმიდამან მოწამემან. და მოსცა რად კარაული თვისი და რკინად შესაქმნელი ქვის საოღელთა ჭურჭელთად, მექსეულად განიკურნა, სიტყუსაებრ წმიდისა ახოვანისა.

9. და მო-რად-იწია ბასილი სახიდ თვისსა, იწყო მუშაკობად საკვრეველისა ამის ტაძრისა კერძოკარაულსავე თანა უღლეულითა მით წართა თვსთადთა, რომელთა სახელითცა უწოდდის: ერთსა „ქურდაობით“ და მეორესა „პირქუეობით“.

10. და ესრეთ უწყებულ იყო წმიდისა მიერ: „ქვასა, რომელსაცა მიწით აღმოიღებდე, ანუ კლდისაგან აღმოჰკაფდე, მას აღგიღოსა მფრინველი დაჯდების, უკუეთუ განგეძარჯუებოდეს. და თვნიერ მის მფრინველისა გამოჩინებისა და მუნ ზედა დაჯდომისა ცუდ იქმნას ყოველი ჭირი შენი, რაოდენ გინა დიდითა იძულებითა იმუშაკო“. და სახეცა მის მფრინველისად ეუწყა და ვითარებად წმიდისა მიერ, და მისი ხილვადცა მისცემდის სასოებასა ამის საკვრეველისა მუშაკობისასა.

11. ხოლო კაშმასა შინა ქვისასა აღგიღოსა და უბანსა, რომელსა ეწოდების ჯალე, გამოუჩნდა საოცარი სახითა საზარელისა გუელისადთა, რომელსა ესხნეს თუალნი დიდისა დარაკისა ოდენნი. და ფრიად შეძრწუნებულსა ნეტარსა ბასილის გამოუჩნდა წმიდად იგი ახოვანი, მთავარი მოწამეთად და უღალადა წმა-ყოფით ნუგეშინს-ცემად და პრქუა: „ნუ შეძრწუნებულხარ, შ ბასილი! საოცარი ესე ხიხათა ზურგით მოძავალ არს მუნითცა ჩემ მიერვე ოტებული მთასა, რომელსა პრქვან პრასინაული, და მე ზავრი არს ექსორიობით“. და იტყოდა: „ვხედევდიო წარსრულსა აღმოსავალით კერძო და გარდაეფარა თუალთაგან ჩემთა, რაჟამს გარდავლო მთად იგი ჭარაღისად“.

12. ხოლო სუმასა შინა წყლისასა დააყუდა პირი თვისი წყაროსა ზედა. მექსეულად მოვიდა წმიდად მოწამე და აღმოზინდა მიყოფითა ჴელთადთა და პრქუა: „არა ჯერ-არს, რადთამცა სუი ეგე, თვნიერ ჯუარის გამოსახვისა, რამეთუ არიან მანდა ეშმაკნი ჩემ მიერ შთათხეულნი. და

ესრეთვე სხუათა აუწყე, რადთა თჳნიერ ამისსა არავინ სუას ამის წყაროდსაგან“.

13. ვითარცა გაუწყო თქუენ სასწაული ერთისა ქვისათჳს, ესრეთვე ყოველთა სამუშაკოთათჳს ქვათა, გინა სხუათა ნივთთათჳს თჳთოყუელად, ესრეთ გულისწმა-ყავით, რადთა გრძელად მეტყუელებითა არლა საწყინო იქმნას, ჭ ღმრთისმოყუარენო, ამის საკურველისა აღშენებისა სასოებით მსძენელნო!

